619
1965

# დროშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 1 იანვარი 1965





ტყვარჩელი. მეშახტეთა უბანი.

ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (162) იანვარი 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# მარად შთამაგონებელი სახე

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა შექმნეს არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლებშიც ნათლად გამოიკვეთა ვ. ი. ლენინის უკვდავი სახე, მისი მჩქეფარე ცხოვრება და მოღვაწეობა. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ამ მხრივ ქართულმა სახვით ხელოვნებამ. არაჩვეულებრივი სიყვარულითა და შთაგონებით ქმნიდნენ ბელადის სახეს ქართველი ფერმწერლები, გრაფიკოსები, სკულპტორები. ამ ნაწარმოებებზე მოგვითხრობს ო. ჭიაურელის დოკუმენტური ფილმი „ლენინი ქართულ სახვით ხელოვნებაში“.

9775



ი. ნიკოლაძე — „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. გელოვანი — „ლენინი რაზლივში“.

ფილმი შექმნილია მ. თოფურიას სცენარის მიხედვით, ოპერატორია შ. შიოშვილი.

ფილმი იწყება პროლოგით; მასში ერთმანეთს ცვლიან უნიკალური დოკუმენტური კინოკადრები, რომლებმაც შთამომავლობისათვის შემოინახეს ცოცხალი ილიჩის დაუვიწყარი სახე. მათ მოჰყვება ტიტრები. და აი, ეკრანზეა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფერწერული ნამუშევრები: უ. ჯაფარიძისა და ა. ბაჟბეუკ-მელიქოვის მიერ შექმნილი პორტრეტები, ი. ნიკოლაძის ცნობილი სკულპტურა — „ისკრის“ პერიოდის ახალგაზრდა ლენინი“, კ. მერაბიშვილის, ს. კაკაბაძის, შ. მიქატაძის, ვ. თოფურიძის, კ. სანაძის, რ. სტურუას, ი. ვეფხვაძის, დ. ქუთათელაძის, რ. კეშელაძის და ბევრი სხვა მოქანდაკისა და მხატვარის ნამუშევარი.

ფილმის ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ოსტატურად დასძლიეს დასახული ამოცანა. მათ გულმოდგინედ შეუგროვებიათ და გაუანალიზებიათ ყველაფერი, რაც კი ბელადზე დახატეს და გამოძერწეს ქართველმა მხატვრებმა და სკულპტორებმა. ხელოვნების ამ ნიმუშების ფონზე ფილმი საინტერესოდ მოუთხრობს მაყურებელს დიდი ლენინის ცხოვრების, მოღვაწეობისა და ბრძოლის შესახებ.

ქართველმა დოკუმენტალისტებმა შექმნეს მეტად საინტერესო ნაწარმოები, რომელიც, უეჭველია, ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს შორის.

ნ. ზურაბიშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



1

# იგზავნება მრავალ ქვეყანაში

ფოტო თ. არჩვაძისა


ეროვნული ბიბლიოთეკა

2



3



4

თბილისის ლითონსაჭრელი იარაღების ქარხანას ახალგაზრდულ ქარხანას ეძახიან; მართლაც, ქარხნის სული და გული — ახალგაზრდობაა. უზარმაზარ საამქროებში ოთხმოც პროცენტზე მეტი თმაქოჩორა ჭაბუკები და ქალიშვილები დასტრიალებენ დაზგებს. ისინი მუდამ პირნათლად გამოდიან დამკვეთელთა წინაშე.

ხოლო დაკვეთები საიდან არ მოდის? მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, რიგა, ტაშკენტი, სოფია, ბუდაპეშტი, ვარშავა, პრაღა და კიდევ ვინ მოსთვლის. ქარხნის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მაინც რას ამზადებს ეს ქარხანა?

აი, თუ გნებავთ ეს თორმეტიოდე სანტიმეტრის სიგრძის თავმოკაუჭებული საჭრისები... მანქანათმშენებლობაში დეტალების ოთხმოც პროცენტზე მეტი სახარატო დაზგებზე მზადდება. სახარატო დაზგები კი, ასეთი საჭრისების გარეშე, ვერ იმუშავებენ; რომ არ არსებობდეს საჭრისები, შეუძლებელი იქნებოდა ლითონის დაზგებისა და მანქანა-იარაღების დამზადება, ვერ მოიქსოვებოდა ვერც ერთი მეტრი ქსოვილი, ვერ დავამზადებდით გემებს, ტრაქტორებს, ავტომანქანებს, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს...

თბილისის საიარაღო ქარხანაში, საჭრისების გარდა, მღარავებსა და ხრახნმჭრელებსაც უშვებენ. მღარავები ლითონის დეტალზე სხვადასხვა სისქისა და ფორმის ღარებს ავლებენ. ხრახნმჭრელები საბურღავ დაზგებზე იდგმება. მათი საშუალებით ხდება მანქანის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება და აწყობა...

შესვენება დამთავრდა. მუშები დაზგებისაკენ მიიჩქარიან (სურათი №1).

* * *

საჭრისების საამქრო ქარხანაში ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო უბანია. ამიტომ არის, რომ ცვლის ოსტატი ასე ფხიზლად დასტრიალებს თავზე ბიჭებს. გაუჭირდება ვინმეს რაიმე და არიქა, გვიშველეო, მაშინვე გივისთან მირბიან დახმარების სათხოვნელად. ახალგაზრდა ოსტატს დროცა ჰყოფნის, ცოდნაც და გამოცდილებაც, რომ ყველას დახმარების ხელი გაუწოდოს.

აი ახლაც გივი ქართველიშვილი (მარცხნივ) ამოწმებს მღარავ რობერტ მელიქსეტიანის მიერ დამზადებულ დეტალს (სურათი №2).

* * *

უფრო ხშირად, ესა თუ ის პროფესია თაობიდან თაობას გადაეცემა; მეზღვაურის შვილი შორეულ ოკეანეებში მოგზაურობაზე ოცნებობს, მეფოლადისა — ახალ შენადნობებზე. ამ ქარხნის მოწინავე მუშის ნინა შინკარენკოს ქალიშვილიც დედის კვალზე წავიდა. დედა-შვილი ერთ საამქროში მუშაობენ (სურათი №3).

* * *

მთავარი ინჟინრის კაბინეტის კარი კომუნისტური შრომის ბრიგადირმა მაგული ნოზაძემ შემოაღო.

— პატივცემულო შოთა, — დაიწყო მაგულიმ, — მეგარდეერობე აბრამოვას ბავშვი ქარხანაში მოუყვანია... არავინ ჰყავს შინ, რომ დაუტოვოს...

— დაწყნარდი, მაგული, ეგ ძნელი გადასაჭრელი საკითხი არ არის...

მთავარმა ინჟინერმა ტელეფონის მილი აიღო და საბავშვო ბაღს დაურეკა...

მთელი ქარხანა ერთი დიდი ოჯახია, სადაც ყველას გულთან მიაქვს ურთიერთის სიხარულიც და გაჭირვებაც. აქაც მაგალითს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები იძლევიან (სურათი №4).

# სიკვდილის მიჯნაზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარპე მუმლაძე

ეს ის დღეები იყო, როცა საბჭოთა ჯარებმა პრუტი გადალახეს და კარგი, საკმაოდ ფართო პლაცდარმი შექმნეს რუმინეთის ტერიტორიაზე.

ფრონტის სარდლობა იასი-კიშინიოვის ოპერაციას ამზადებდა. საერთო ხელმძღვანელობისათვის გამოგზავნილი იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი, მარშალი სემიონ ტიმოშენკო.

მტერი შემოდგომის ბუზსა ჰგავდა. იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და მწარედ იკბინებოდა, ყოველდღე იერიში მოჰქონდა. ჩვენ კი გადაწყვეტილი გვქონდა ერთი ნაბიჯით არ დაგვეხია უკან, როგორმე გაგვეძლო ჩვენი ჯარების ახალი შეტევის მომზადებამდე. ეს შეტევაც მალე დაიწყება— ხვალ, შეიძლება — ზეგ, ამას გრძნობენ გერმანელ-რუმინელები და ცდილობენ განაზრახი ჩაგვიმალონ.

ჯერ კიდევ გუშინ შეეტყოთ გააქტიურება. მარცხენა ფლანგი შეგვივიწროვეს. ცა დაფარული იყო თვითმფრინავებით: „იუნკერსები“, „ჰაინკელები“, „ფოკერები“, ოცი-ოცდაათი ბომბდამშენი და მათი მოდარაჯე გამანადგურებლები ყოველ ხუთ-ათ წუთში მოფრინავდნენ.

არც ჩვენები იხევენ უკან, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა მტრის მხარეზეა.

საღამოს მტრის არტილერია შეიშალა. ყუმბარების ლაწა-ლუწს ბოლო არ უჩანდა.

მებრძოლებს ვარიგებ, ვამხნევებ. განწყობილება შედარებით მაღალია, მაგრამ ომი ომია, სიკვდილი ცხვირწინ არის და სულ სასიმღერო გუნებაზე ყოფნა ძნელია.

დილით ბატალიონში პოლკის აგიტატორი, მაიორი პაპენკო მოვიდა, ერთად წავიმუშავეთ, მომავალი ბრძოლისათვის ბევრი რამ გავითვალისწინეთ.

ასე, ცხრა საათზე დაგვბომბეს. შუადღისას თითქოს ცოტა მიწყნარდა იქაურობა.

უძილობისაგან ქანცგაწყვეტილები ვიყავით და თვალის მოტყუება გადავწყვიტეთ.

ჩემი ორდინარეცი ვასილ რეგოტუნი გავაფრთხილე, თუ მანამდე არაფერი მოხდეს, ორმოცი წუთის შემდეგ გაგვაღვიძე-მეთქი.

პაპენკოს ჩემი ლოგინი შევთავაზე, მე კი ჩექმები და კიტელი გავიძვრე და რეგოტუნის ფიცარნაგზე გავიშოტე.

ჩვენ კი ჩაგვეძინა, მაგრამ თითქოს ამას უცდიდა მტერი. თურმე საიდანღაც გაჩნდნენ ბომბდამშენები. მეზენიტეების შიშით, ძალიან დაბლა ჩამოვიდნენ და ბატალიონის საკომანდო პუნქტს ტონიანი ბომბები დააყარეს.

როცა ბომბების თავსხმამ გადაიკარა და ხალხი ბლინდაჟებიდან გამოვიდა, ყველაფერი თავდაყირა დახვდა.

ცოდვის კითხვა დატრიალებულიყო.

დაჭრილიყო ათასმეთაურიც, გვარდიის კაპიტანი თევდორე ბატენკოვი.

აფეთქებათა კვამლი ჯერ კიდევ გაფანტული არ იყო, რომ კომორგი გლადიშევი სანგრიდან ამოვარდა. უცებ მიმოიხედა, ჩემი ბლინდაჟი ველარსად დაინახა და ცივად იყვირა, კომისრები დაუმარხავსო.

საზრისიანი ბიჭი იყო და როდი დაიბნა, უმალ მოიშველია ამხანაგები. წამოავლეს ხელი ბარებს და დაიწყეს თხრა.

გლადიშევმა იცოდა, ვინ როგორ ვიწექით. ფიცრებამდე რომ დავიდნენ. ისევ იყვირა, აქ იქნებიანო. თურმე ჯერ ჩემი თმა გამოჩნდა, მერე სახე. ახლა ხელებით დაიწყეს მიწის პოტნა. მიმოწიეს ფიცრები და ამოიღეს მკვდარი, ესე იგი ამომიღეს მე. თურმე ერთი ჩავისუნთქე, და, რომ იტყვიან, წავიღე ბარათი.

გადამაბრუნეს, გადმომაბრუნეს, დაასკვნეს, მკვდარიაო, და ჩაიქნიეს ხელი. დამტაცეს ხელი თავსა და ფეხებში, შემიტანეს სხვა ბლინდაჟში და დამაგდეს.

თურმე ასევე ამოთხარეს პაპენკოც. როცა იგი ჰაერს შეეხო, ჩაისუნთქა, კიდეც წაიბურდღუნა რაღაც და გული შეუწუხდა, მაგრამ ჩქარა გამობრუნდა. სახე დაშავებული ჰქონდა, თუმცა უიმედო არ იყო. მალე იგი ზურგში გაგზავნეს და მისი შემდგომი ბედის აღარაფერი გამიგია.

მერე თურმე ფერშალი მოვიდა, ამხედ-დამხედა, ერთი შემაჯინჯგალა, მანაც დაასკვნა, მკვდარიაო, და გაეშურა სხვა საქმეზე.

პოლკში ცნობა გაგზავნეს: „დაბომბვისას დაიჭრა ათასმეთაური... დაიღუპა ათასმეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში“...

ბრძოლაში დაჭრა და სიკვდილი ხომ ჩვეულებრივი ამბავია. ეს შემთხვევაც ასე მიიღეს. რას იზამ: ერთი მოკვდა, მის ადგილს მეორე დაიჭერს, ბლინდაჟში კი იმ აზრით დამტოვეს, დაღამდება და მერე დავმარხოთო.

მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ ჩემი კეთილმოსურნეები, კომორგი სერგეი გლადიშევი, ორდინარეცი ვასილ რეგოტუნი, სანინსტრუქტორი არმენ ბაბაჯანოვი. ისინი ვერ შერიგებოდნენ ჩემს სიკვდილს, თურმე მორიგეობით მისხდნენ თავთან და უხმოდ სლუკუნებდნენ, მუჭისსისხო ცრემლებს ყრიდნენ.

რით დავიმსახურე ეს ცრემლები? რაღაც განსაკუთრებული ხომ არ ვიყავი? რა თქმა უნდა, არა. მე მიყვარს ადამიანები, მათთვის სიკეთე მინდა და ამას სამაგიერო მოსდევს.

ორდინარეცთან მეგობრულად ვიყავი, თუმცა ჩემი სიტყვა მისთვის კანონი იყო. ასე ვექცეოდი გლადიშევსაც. ბაბაჯანოვი ახალი მოსული იყო, მაგრამ ისიც გრძნობდა იმ სიყვარულის სითბოს, რომელიც ჩვენ გვაერთიანებდა.

გადის ხანი. თურმე არავითარი ცვლილება არ მეტყობა.

მერე....

გახსოვთ ქართული ზღაპარი?

ჭაბუკს მოკლავენ, შემდეგ გაცოცხლდება. თითქოს ნამძინარევ თვალებს მოიფშვნეტს და იტყვის, უჰ, რამდენ ხანს მძინებიაო.

ჰოდა, მეც ასე დამემართა.

ჯერ ჩავისუნთქე, მერე შევინძერი.

ბაბაჯანოვს თან გაეხარდა, თან შეეშინდა, გავარდა გარეთ და მორთო ყვირილი: სუნთქავს, სუნთქავსო, გაინძრა, გაინძრაო...

შემოცვივდნენ რეგოტუნი, გლადიშევი, სხვები და მათაც იყვირეს: ცოცხლდება, ცოცხლდებაო...

თვალები ავახილე, საკაციდან წამოვიწიე და მიმოვიხედე.

ჩემი პირველი კითხვები იყო:

— რა მოუვიდა ბატალიონს?

— ბატალიონი აქ არის. ნუ გეშინიათ, მას არაფერი გაუჭირდება, — მესმის ვიღაცის პასუხი.

— სად არის ათასმეთაური?

— დაიჭრა და წაიყვანეს.

— პაპენკო?

— ისიც დაიჭრა, მაგრამ არა უშავს რა.

ვიღაცის ნაცნობი სახე მომიახლოვდა, დამიწყო ძალზე მგრძნობიარე სიტყვებით დამშვიდება. აღარ ვიცი, რა მითხრა. მახსოვს მხოლოდ: წამოვიწიე, ვაკოცე, ცრემლები გადმომცვივდა. თავი ისევ საკაცეზე დამივარდა და გონება წამერთვა.

ალბათ, ფიქრობთ, სად არიან ექიმებიო?

არა, ამხანაგებო! აქ წინა ხაზია. ფერშალსა და სანინსტრუქტორს აქვთ ბინტი, იოდი და შეიძლება ცოტა კიდევ რაღაც. არც ნემსებია, არც სასუნთქი ბალიში. დაიჭრები, — შეგიხვევენ, მოკვდები, — დაგმარხავენ, ხოლო გონს მოსვლა თუ გინდა, შენით უნდა მოხვიდე.

ჰოდა, მეც მოვედი გონს, მაგრამ უკვე მეორე სანგარში, ბიჭები ვერ შემელევიან და ტელეფონთან გადაუტანივართ.

აბა, ეს იყო ამბავი!

მთელ ბატალიონს მოედო ხმა: გაცოცხლდაო.

წამოვდექი, გარეთ გავიხედე. ყოფილი ბინა შევათვალიერე. ყოველივე ერთმანეთში იყო არეული. მებრძოლები ნივთებს თხრიდნენ.

ფერწასული, სხეულდამტვრეული, თავბრუდახვეული — მაინც დალაჯებით ვლაპარაკობ.

მომიტანეს საბუთები. პარტბილეთი მყისვე ავიღე და მაგრად მოვუჭირე ხელი, თითქოს წართმევას მიპირებდა ვინმე. მომიტანეს ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. ბლინდაჟში შევბრუნდი, ჩავიცვი. მერე ტელეფონი ავკრიფე, მეთორმეტე გამოვიძახე. ეს არის პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, მაიორი პეტრე ბუზულაევი. იგი გაკვირვებით მისმენს და არ სჯერა. არ სჯერა და მაინც მისმენს.

— როგორ?! მართლა კარგადა ხარ?

— კარგადა ვარ, ამხანაგო, მეთორმეტე, კარგად.

— მე მომახსენეს თქვენი ევაკუაციის შესახებ და ძალიან მეწყინა.

— ეგ არაფერია.

ამ შემთხვევაში მაიორი აშკარად ტყუის, იმიტომ, რომ კარგი კაცია: მას მოახსენეს არა ჩემი ევაკუაცია, არამედ — დაღუპვა და არ უნდა ეს საშინელი სიტყვა ხელახლა გაიმეოროს, არ უნდა გუნება მომიწამლოს.

— დიდად სასიხარულოა. თავს როგორ გრძნობთ? ხომ არაფერი გტკივათ? ჭრილობა თუ გაქვთ?

— თავს კარგად ვგრძნობ, არაფერი არ მტკივა. ჭრილობა არა მაქვს.

— რომ დაღამდეს, მაინც ჩამოდით ჩვენთან, ექიმებს გაესინჯეთ, რამდენიმე დღეს დაისვენეთ.

ბრძანება ბრძანებაა.

პათოლოგიური ცვლილება არ აღმომაჩნდა. ერთ კვირას მაინც დამასვენეს ექიმების მეთვალყურეობით.

აღარ იკითხავთ, ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?

აი, რა.

თვითმფრინავების მოსვლა, ბომბების ჩამოყრა და უკან გაფრენა ერთი იყო. ყუმბარა პირდაპირ ჩემს ბლინდაჟს კი არ დაცემია (მაშინ ასე თამამად ველარ ვილაპარაკებდი). იგი გვერდით გასკდა და სანგარი მთლიანად მიწაში ჩამარხა.

მერე ბიჭები მეკითხებოდნენ ხუმრობით, ბომბი გასკდა და ვერ გაიღვიძეო.

გავიღვიძებდი, შორს რომ გამსკდარიყო, მაგრამ, როცა აფეთქების ხმა გაისმა, მე უკვე დამარხული ვიყავი.

ტანზე დამეყარა ამდენი მიწა, ფიცრები, ხეები და მაინც გადავრჩი!

ფიცრები ერთმანეთს გადაეხლართა, გადაეხიდა. მათში იმგვარად გავიჩხირე, რომ კი არ გამჭყლიტეს, პირიქით დამიცვეს...

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. მერედა — ეს ხომ ხელოვნების ფაქტი არაა, ცხოვრების ფაქტია, ცხოვრებაში კი ბევრი რამ ხდება უცნაური.

ბომბის ნამსხვრევი არ მომხვედრია, მაშ რატომ წავედი საიქიოსკენ?

უჰაეროდ მოვიგუდე. ოდნავ მიშველა ფიცრებს შორის დარჩენილმა ჰაერმა და მიწიდან მალე ამოღებამ.

მახსოვს თუ არა რამე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნიდან?

მახსოვს, ახლაც კარგად მახსოვს.

გამეღვიძა. მინდა თვალი გავახილო, ვერ ვახელ. მინდა წამოვდგე, ვერ ვდგები. მინდა ვიყვირო, პირს ვერ ვაღებ. მაჯლაჯუნა მაწევს გულზე და სული მეხუთება. ვხვდები, რომ დამარხული ვარ. ეს გრძნობა საშინელია. თუ ისე მოვკვდები, რომ ვერ გავიგებ, ჯანდაბას, მაგრამ, ვიცი, რომ მიწაში ვარ, მშველელი კი არსაიდან ჩანს.

ყვირილს მივეძალე, იქნებ კაციშვილს ხმა მივაწვდინო-მეთქი, მაგრამ რის ყვირილი, რა ყვირილი! ხმაჩახლეჩილი კვნესა ამომხდა.

მერე რაღაც ბურანში მოვხვდი. ბოლოს უფსკრულში გადავეშვი და კიდეც გავთავდი.

რამდენ ხანს შეიძლება იცოცხლოს უჰაეროდ დარჩენილმა, გონწასულმა კაცმა?

არ ვიცი, ეს ფიზიოლოგების საქმეა.

ერთი შეხედვით, მკვდარი ვიყავი (როგორც მითხრეს, არც ვსუნთქავდი, არც მაჯა მქონდა), მაგრამ ალბათ კიდევ იყო რაღაც იმ მიჯნამდე, რომლის იქითაც საბოლოო სიკვდილია.

და თუ დღეს შემიძლია ყველაფერზე იოლად ვილაპარაკო, ამას ვუმადლი მეგობრებს, რომლებმაც სიცოცხლე მაჩუქეს.

კემეროველი კოლმეურნე სერგეი გლადიშევი ოცი წლის ბიჭი იყო, ძალზე კეთილი გულის ადამიანი. როცა ჩემს გადარჩენაზე მომითხრობდა, ენა ებმოდა და ცრემლები სდიოდა.

ორდინარეცი ვასილ რეგოტუნი მასზე უფროსი იყო. ჯერ კიდევ ომამდე მსახურობდა კადრში ავიომექანიკოსად. ფრონტზე ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ბანაკიდან გაიქცა და ისევ არმიას შეუერთდა. იმნაირი ვაჟკაცი იყო, სასიკეთო ქცევას არავის დაესესხებოდა.

სანინსტრუქტორ არმენ ბაბაჯანოვის ახლოს გაცნობა კი თავის დროზე ვერ მოვასწარი და ძალზე ვნანობ.

ნეტავ სადა ხართ ახლა ბიჭებო, ჩემო გადამრჩენელებო!

ხმა მომაწვდინეთ!

კიდევ მანახვეთ თქვენი თავი, რომ მაგრად გადაგეხვიოთ და გადაგკოცნოთ.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ იმავე იასის მისადგომებზე დავიჭერი. ჭრილობები ძალზე მძიმე იყო. სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

როცა ექიმებმა სიკვდილს გამომტაცეს, მერე ფეხის საკითხი დადგა. ამპუტაცია? ჰო, თუ არა? დიდი წვალების შემდეგ ფეხიც შემრჩა.

და თუ დღეს ცოცხალიც და ჯანზეც ვარ, ეს არის ჩვენი სახელოვანი ექიმების დამსახურება, საბჭოთა მედიცინის დამსახურება. უზომოდ, უზომოდ ვუმადლი მიხეილ ეიჩისს, ეთელ როზენბაუმს, ეკატერინე ბარანოვას, იზოლდა ფაინბერგს და სხვა დასტაქრებს, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ნაწილი მალამოდ დაადვეს ჩემს იარებს და ცხელი გული შემინარჩუნეს. არ შეიძლება აგრეთვე მარია კატინას დავიწყებაც, რომლის პირველი ჯგუფის სისხლი ჩემს ძარღვებში დის.

ჰოდა, სადა ხართ, ძვირფასო მეგობრებო? მოდით, მოდით, ერთხელ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ არა საოპერაციო მაგიდაზე, არამედ ქართულ სუფრაზე. სულითა და გულით გეპატიჟებით საყვარელ საქართველოში.

შემდეგში, როცა თბილისში დავბრუნდი და ჩვენს მწერლებს ვუამბე, იასის სანახებში ვიბრძოდი-მეთქი, თითქოს მისაყვედურეს კიდეც: ბიჭო, იქ ბესიკი მარხია და რატომ არ ნახეო!

კინაღამ მართლა ვნახე, ისე იყო ჩემი საქმე!

**გრიგოლ გვაძაბია**

## მე მიყვარს...

ლუკმა პურივით კეთილი გული,
მე მინდა ყველას გავუნაწილო,
სიყვარულივით ამაღლებული,
სი[illegible]ულივით ვარ უნაპირო.

ათასი მზით მაქვს თვალები სავსე,
ძარღვებში სისხლის მდინარე მივლის,
ახლა მტკვარივით უნდა ავჯანყდე
და სიმღერებით მოვაწყდე თბილისს;

სადაც ნიადაგ ქარი შრიალებს
და არ სცილდება მთაწმინდას მთვარე,
მოდის ღამე და მოაბრიალებს
ლამპიონებში გახელილ თვალებს.

ახმაურებულ ქუჩებს ჩავუვლი,
ქუჩებს, რომლებსაც არასდროს სძინავთ,
დამეუფლება განცდა ფარული
და ნაცნობ პროსპექტს გავყვები ფრთხილად;

მერე ლამაზად დავთვრები ფიქრით,
მე მიყვარს ფიქრით სულის აკლება...
არ მოვიშორებ ბაგიდან ღიმილს
და ღამეც ხელში შემომაკვდება...





# სიყვარულით ლაპარაკი თუ გინდა...

გაჩირაღდნებული დარბაზი სავსეა მაყურებლებით, სცენაზეც აუარებელ ხალხს მოუყრია თავი; აქ სხედან ცნობილი ქართველი და სომეხი მწერლები, მსახიობები, რეჟისორები... უცებ სცენაზე საიათნოვა შემოდის, უკან მეგობრები მოსდევენ.

— რა ამბავია, ხალხნო, ეს რა ზეიმია, რაზე შეყრილხართ? — განცვიფრებით კითხულობს სახელგანთქმული აშუღი.

— იუბილეა, სურენ ავჩიანის იუბილე! — უპასუხებენ მას.

— სურენი? — ჩაფიქრდა საიათნოვა, — არ გამიგონია, ვინ არის?

— მწერალია, დრამატურგი, პიესა დაწერა შენზე, სომეხ-ქართველთა ძმობაზე... სწორედ ამ თეატრში დავდგით... ამას გარდა, ბევრი შრომა და ჯაფა გასწია. ახლა სამოცი წელი შეუსრულდა და იუბილეს ვუხდით.

— მაშ მაჩვენეთ რომელია, ერთი მაგრად ჩავკოცნო!.. — წამოიძახებს საიათნოვა.

და იგი სიყვარულით ეხვევა მწერალს.

ეს ეპიზოდი გაითამაშეს თბილისის სომხური თეატრის სცენაზე რესპუბლიკის დამსახ. მსახიობებმა რაფიკ პაპოვიანმა და რაჩიკ სიმონიანმა.

სცენიდან ისმოდა საიათნოვას ცეცხლოვანი სიტყვები, კითხულობდნენ დიდი აშუღის ლექსებს და ამ ზეიმს ეხმაურებოდა ეს სტრიქონებიც:

სიყვარულით ლაპარაკი თუ გინდა,
საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული.

ეს ურთიერთ სიყვარული ორი მოძმე ხალხისა გამოსჭვივოდა ყოველი ორატორის გამოსვლაში. თბილისის საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა სურენ ავჩიანის იუბილე. ღვაწლმოსილ მწერალს მიესალმნენ პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და რესპ. სახალხო არტისტი დოდო ანთაძე, მსახიობი დ. გულაზიანი და მწერალი ბენიკ სეირანიანი, საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისისა და ერევნის თეატრების, მწერალთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალ-გაზეთების და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები.

სურენ ავჩიანმა დიდი ამაგი დასდო ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ურთიერთდაახლოების საქმეს. მან ქართულიდან სომხურ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელი“ და „ხევისბერი გოჩა“, ეგ. ნინოშვილის „ქრისტინე“, ვ. ბარნოვის „ისნის ციხკარი“, ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, ნ. ლომოურის „ქაჯანა“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ი. ლისაშვილის „კეცხოველი“ და სხვ.

სურენ ავჩიანი ასევე სიყვარულით თარგმნის ქართველ პოეტთა ნაწარმოებებსაც. მან გააცნო სომეხ მკითხველს ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ა. მირცხულავას და სხვათა ლექსები და პოემები.

გარდა ამისა, სომხურ ენაზე მან თარგმნა შემდეგი პიესები: ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ გ. ბააზოვის „იცკა რიქინაშვილი“, ა. აბშილავას „კაცი დაბრუნდა“ გ. ბერიაშვილის „ტირიფები მტკვრის პირას“. გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, „ჭინჭრაქა“ და სხვ.

ქართველმა მკითხველმა სურენ ავჩიანის თარგმანებით გაიცნო ოვ. თუმანიანის, ავეტიკ ისააკიანის, ვ. ტერიანის, ე. ჩარენცის, ს. კაპუტიკიანის, დ. დემირჭიანის, არაქსის და სხვა გამოჩენილი სომეხი მწერლების შესანიშნავი ქმნილებანი.

სურენ ავჩიანი ავტორია მრავალი კარგი ორიგინალური პიესისა, რომელთა შორის აქ უნდა მოვიხსენიოთ „სოსი და ვარდითერი“, „საიათნოვა“, „ქორ-ოღლი“ და სხვები. ეს პიესები წარმატებით იდგმება, როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ქართული და სომხური საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი ამ მნიშვნელოვანი წვლილის აღსანიშნავად, დაბადების სამოცი წლის თავზე, სურენ ავჩიანს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ივანე დავითიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთია იოსელიანი

მხატვარი თ. სამსონაძე

მოთხრობა

ვინ იცის უკვე მერამდენედ ვიცვლიდი ბინას. ამჯერად გადაწყვეტილი მქონდა, რაც შეიძლება პატარა ოთახი მეშოვა, ფასში იოლად გამოვსულიყავი და არც სიშორეს დაგიდევდით.

ბევრი ძებნა დამჭირდა, მაგრამ მაინც ვიშოვე.

საკმაოდ მქონდა ფეხით სასიარულო აღმართზე. ორასიოდე მეტრი ტალახიანი გზაც უნდა გამევლო. ბოლოს პაწია, მშვენიერ ეზოში შევდიოდი. ჭიშკართან ლეღვის ხე იდგა, უფრო შიგნით — ორიოდე მაღლარი ვაზი, ვაზის ძირას ონკანი, რომელშიაც ლამლამობით, იშვიათად დღისითაც, მოდიოდა წყალი.

სახლი დიდი იყო, მაგრამ ამ პატარა ეზოში ერთი აივანი გამოდიოდა, აივნის შიგნით მოზრდილი და აივნის თავში პაწია, სულ პაწია ოთახი იყო, ეტყობოდა მერე მიშენებული. ოთახში ერთი ხის საწოლი ძლივს იმართებოდა. საწოლის თავში, ფანჯარასთან მაგიდა იდგა, პატარა მაგიდა და ტაბურეტი, რომელიც არ ჭრიალებდა.

დიასახლისი მოხუცი იყო, რომელთანაც ლაპარაკი, სურდათ თუ არ სურდათ, აუცილებლად მეზობლებს უნდა გაეგონათ.

დიასახლისს ორი შვილი დაღუპოდა ომში. მარტო ერთისა დარჩენოდა ქალიშვილი, ერთი შეხედვით [illegible], მაგრამ თვალებციმციმა ცირა. ცირას დედა მეორედ გათხოვილიყო. თვითონ ყოფილ დედამთილთან მოსვლა ეუხერხულებოდა, მაგრამ ცირა სკოლიდან აუცილებლად ბებიასთან გამოივლიდა, ხშირად მთელი დღით რჩებოდა, ზოგჯერ ღამითაც.

პირველად, როცა ოთახი ვნახე და ფასზე შეთანხმებაა იყო საჭირო, ცირამ ოთახის კარი მოხურა.

— რა ეღირება, ბებია, თქვენი დარბაზი? — ვეხუმრე მოხუცს.

ცირა გაწითლდა ჩემს ხუმრობაზე და ჩემგან ისე დადგა, სახეში არ შემეხედა.

— რა მინდაო ამ ყმაწვილმა? — ცირას მიუბრუნდა მოხუცი, მაგრამ მიხვდა და თვითონვე განაგრძო, — ფასს იკითხავდა.

ცირამ თავი დაუქნია, მაგრამ ამჯერადაც ეცადა არ დამენახა.

დიასახლისმა თავისი თქვა, მე — ჩემი.

მოხუცი ვერ დამხვდა ხელგაშლილი, მაგრამ მომჭირნეობა თქვენ ჩემი უნდა გენახათ.

ცირა მალულად თითებით აჩვენებდა ბებიას ჩემს მიერ შეძლეულ ფასს.

ბოლოს, უკანასკნელი სიტყვა ვთქვი და ავდექი.

ბებიამ შორს დაიჭირა.

ცირა თავს უქნევდა მოხუცს, ანიშნებდა: დათანხმდი, კარგი ფასიაო.

მე ბინების გამოცვლის საკმაო პრაქტიკა მქონდა და, როცა კიბეებზე ჩამოვდიოდი, მივხვდი: დიასახლისი უკან აღარ დამაბრუნებდა და ვინანე, რომ ცოტა კიდევ არ წავუმატე.

ჭიშკართან ცირა მომყვა და გადაღმა გადასულს კარებში თავგამოყოფილმა მითხრა:

— თუ მართლა მოგწონთ ოთახი... — და ისევ გაწითლდა, — გადმოდით, ბებიას მე დავითანხმებ.

— ოთახი... — მინდოდა მეთქვა რა ოთახია-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და განგებ ცოტა შევაქე კიდეც, — რატომ, ოთახი... ჩემთვის საკმარისია; ამას გარდა, აქ ჰაერია კარგი.

— ჰაერი კარგია, — თავი დამიქნია ცირამ, — ჰაერი კარგია და ბებიას მე დავითანხმებ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მე როგორ გავიგო, რომ დაითანხმებ?

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ, როცა გინდათ, გადმოდით. მე ბებიას ძალიან ვუყვარვარ.

— ეს შენ, მაგრამ მე!..

— არა, მე ვიცი, რომ მეტი არ ღირს, არც ამდენი.

— ღირს თუ არ ღირს, ჩემი სიტყვა ესაა.

— თუ გნებავთ, დღესვე გადმოდით, ბებია თანახმა იქნება.

რა სასახლის პატრონი მე ვიყავი, რომ იმ ღამესვე არ გავქცეულიყავ, მაგრამ იმ ღამეს გადასვლა მაინც არ ჩავთვალე საჭიროდ, აკი გითხარით, ბინების საქმეში გამოცდილი ჯახლდით-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, ცირას დახმარებით ეს საქმე მოგვარდა და დავიწყე ცხოვრება პერანგივით მორგებულ ოთახში, ბებია სალომეს გვერდით, სადაც ყოველდღე გვყავდა სტუმრად კეთილი და მორცხვი ცირა.

სამუშაოდ პირდაპირ იდეალური პირობები იყო. დიასახლისს ხშირად ეძინა, ან ქვევით სარდაფში ჩადიოდა და საათობით თავისთვის ფუსფუსებდა, მატყლს ჩეჩდა ან ართავდა. ცირას ჯემპრს უქსოვდა თუ წინდებს, თუმცა ცირა იმ წინდებს აღარ ჩაიცვამდა, მაგრამ მაინც უქსოვდა, ან ნემსი ეჭირა ხელში და საათობით უყრიდა ძაფს.

ნაცნობ-მეგობრები საგანგებოდ რომ მოგეწვია, მაშინაც საეჭვო იყო მოვიდოდნენ თუ არა.

მეზობლებიდანაც განსაკუთრებული ხმაური ან ხმამაღალი ლაპარაკი არ გამიგონია.

ერთი სიტყვით, თუ ლექციებზე, ან სადმე წასასვლელი არ იყავი, დამჯდარიყავი და გეკითხა, გეკითხა და გეწერა.

მართლაც ბევრს ვკითხულობდი. უმაღლესში ვსწავლობდი, როცა დავამთავრებდი, არ ვიცი რას ვაპირებდი, მაგრამ ვკითხულობდი ყველაფერს და ვუმიზნებდი რაღაცას, ხომ გეუბნებით, ახლაც არ ვიცი რას. მაშინ კი კარგი სტუდენტი ვიყავი. ვიცოდი, რომ ამხანაგები უნდა მყვარებოდა და არ მძულდა. უმეტესად მაინც ჩემთვის ვიყავი და ვკითხულობდი.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შემოივლიდა ცირა. ეზოს წინ ალიზით შეთითხნილი ყორე ჰქონდა, რომელიც გზიდან უფრო მაღალი იყო. ამ ყორის მიღმა ჯერ ჩამოივლიდა დიდი პეპელა — ცირას თეთრი ბაფთი, მერე გაიჟღრიალებდა კარის დაჟანგული ზამბარა და ცირა ეზოში შემოჰყოფდა თავს.

ბებია ყოველდღე ისე ხვდებოდა შვილიშვილს, თითქოს წლობით უნახავი ჰყოლოდეს. ეფერებოდა, თავს ევლებოდა, სიცოცხლეს, სულისდგმასა და მაცხონებელს ეძახდა. ცირა ცოტას ლაპარაკობდა, ძალიან ცოტას, მაგრამ თვითონაც ჭკუის დასაკარგავად უყვარდა ბებია.

ეს იყო და ეს. მე მათ ცხოვრებაში არ ვერეოდი და ბოლოს ისე გავერთე ჩემი საქმეებით, თვალყურსაც აღარ ვადევნებდი, მაგრამ, ჩვენ მაინც მალე დავმეგობრდით.

იმ დღეებში, არ ვიცი, სახლში აწყენინეს თუ... მგონი, რომ აწყენინეს. სკოლიდან მოსული აღარსად წასულა და ის ღამეც ბებიასთან გაათია. მეორე დღეც... მთელი კვირა, გარდა სკოლისა, ფეხი არსად გაუდგამს. ერთ დღეს, როცა მისმა თეთრმა ბაფთმა ფარფატით ჩაიარა ყორის იქით, ზამბარის დაჟღრიალებამ დაიგვიანა; მერე კი ფრთხილად შემოჰყო ცირამ თავი კარებში. რატომღაც მივხვდი — ნამტირალევი იყო.

შემეცოდა. გათხოვილი დედა, მამინაცვალი, მოხუცი ბებია... იქნებ მამინაცვალი აღარც კი აყენებს სახლში, იქნებ დედას არც კი უნდა გამოუშვას ბებიასთან, იქნებ სცემეს კიდეც, იქნებ... ათასი დარდუბალაა ცხოვრებაში.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ცირა ეზოში დავინახე, აივანზე გავედი და ხელის დაქნევით მივესალმე.

— გამარჯობა, ცირა!

ცირამ თავი დამიქნია, შევატყე, ისევ უხასიათოდ იყო.

— როგორა ხარ, ცირა? — გავუცინე მე და კიბეებს ჩავყევი.

— კარგად!

— ვითომ?

ცირა აილეწა.

— მე შენს ადგილზე ახლა ვიტყოდი: არა მიშავს რა...

— რატომ, კარგად ვარ!

— ეჰ, რა ცუდია, რომ ჩვენ მეგობრები არა ვართ!

— მეგობრები?!

— ჰო, ჩვენ რომ მეგობრები ვიყოთ, შენ მეტყოდი: ნაწყენი ხარ.

ცირა დაიბნა. მან უთუოდ დაიჯერა, რომ მე ვიცოდი, ვისზე იყო გაჯავრებული.

— თუ არა ვარ ნაწყენი?

— თუ არა ხარ კი, მაგრამ მე ხომ ყველაფერი ვიცი. არა, არავის არ უთქვამს, მაგრამ ვიცი. ჩემთვის ამის გაგება სულ არ არის ძნელი.

ცირას იმ წუთში არ ესიამოვნა, რომ ვიცოდი მისი ოჯახის საიდუმლო და თანაც ამას ასე გულგრილად და დაუფარავად ვამხელდი. მერე განგებ დაჯერებულად, თითქოს აგდებულადაც კი დავუმატე:

— არაფერი არ არის ისეთი, მე რომ არ ვიცოდე, მაგრამ ამას შენს ადგილზე სულ არ ვიდარდებდი.

ცირა ახლა ჩემზეც ნაწყენი იყო.

— შენ სკოლაში ერთი კვირის წინ მიიღე ორიანი... — ვთქვი და ცირას შევხედე.

ცირას თვალები აუციმციმდა ჩემს ასეთ საშინელ შეცდომაზე.

— ორიანი მივიღე?

— ჰო, ორიანი მიიღე ერთი კვირის წინ. მაგრამ მე უფრო მეტი ვიცი.

— რა იცით?

— ხომ გეუბნები, არაფერი არ არის ისეთი, მე რომ არ ვიცოდე, შენ დღესაც მიიღე ორიანი.

ცირას სიცილი აუტყდა.

— არა, მე ის კი არ მინდა გითხრა, რომ ორიანი სასიხარულოა, სასიხარულო არ არის, მაგრამ ამისთვის... მე ისიც ვიცი რა არის საჭირო.

— მეცადინეობა! — დამასწრო ცირამ.

— კიდევ მეტს გეტყვი.

— თქვით!

— მეც მივიღე ერთხელ ორიანი, ერთი კვირის შემდეგ კიდევ მივიღე და ვიტირე, მერე დავჯექი, ვიკითხე და ვწერე, ვწერე და ვიკითხე და მივიღე ხუთიანი... ვიცინე, ასეა ცხოვრება, ჩემო ცირა, მიიღებ ორიანს — იტირებ, მიიღებ ხუთიანს — იცინებ.

ცირა ჭკვიანი გოგონა ჩანდა და, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა ჩემი ასეთი აზრი ცხოვრებაზე, მაგრამ დაიჯერა, რომ მე არაფერი არ ვიცოდი მისი სულიერი ტკივილის შესახებ.

— ასეა, თუ ადამიანებს არ დაუმტკიცე ვინა ხარ, ისე ვერავინ ვერაფერს ხვდება. მე ვიცი დღემდე რას ფიქრობდი შენ ჩემზე.

— არაფერს!

— მე ხომ ვიცი, შენ რამდენიც არ უნდა იუარო, ვიცი, ძალიანაც რომ გეწყინოს, ვიცი და რა ვქნა!

— არაფერს არ ვფიქრობდი...

— შენ ფიქრობდი: გადმოვიდა ვიღაც უცხვირპირო...

— დედა მომიკვდეს...

— მოიცა, ცირა... ვიღაც უცხვირპირო, შეიბუდრებს ოთახში, ქექავს წიგნებს და რვეულებს და სხვა ამ ქვეყნისა არაფერი აინტერესებს, არც არაფერი ესმის. თურმე საქმე ასე არ ყოფილა. მე ვიცი, რატომ ტირიან და იცინიან ადამიანები.

ცირა გუმანით მიხვდა, რომ უფრო შორს ვუმიზნებდი და იმ დღიდან მართლა შეიცვალა ჩემზე აზრი. ამის შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით, მაგრამ ცირას მე ყოველთვის ბავშვად ვთვლიდი და ჩვენი საუბარი მაინც ეს იყო:

— როგორა ხართ? — მეკითხება ცირა, როცა ჩვენ ეზოში ან აივანზე ვხვდებით ერთმანეთს.

— ცუდად, — ვეუბნები მე, — ცუდად ვარ, ცირა, წუხელი ცუდად მეძინა.

— რა თქმა უნდა, ავად არ ყოფილხართ.

— არა ცირა, მარტო ავადმყოფობა არ ნიშნავს ცუდად ყოფნას და მართლა არც ორიანის მიღებაა ქვეყნის დაქცევა.

ცირას აინტერესებს ახლა, რით ავხსნი ყოფა-არყოფნის საკითხს.



...და მე გამოვუტყდი: წუხელ ისე მკვდარივით ჩამეძინა, წყლის მოსვლა ვერ გავიგე და დღეისთვის გრაფინი და ბოცა ცარიელი მაქვს. შენ თვითონ განსაჯე, რა დაგაძინებს ადამიანს, როცა ბოცა და გრაფინი ცარიელი გაქვს.

ცირა უკვე ისე შემეჩვია, კვერს მიკრავს.

— არ დაგეძინებათ.

— უფრო მეტს გეტყვი, ყურგახვრეტილ შაურად არა ღირს კაცის ცხოვრება, თუ ბოცა წყლით შუამდე მაინც არა აქვს სავსე.

ღამით, თუ ცირა ბებიასთან არის, მოდის ჩემთან და კარებზე აკაკუნებს:

— რეზო!

— ჰაუ, რომელ.. ხარ!

— მე ვარ!... — ამბობს და ერიდება სახელის ხსენებას.

— ცირა ხარ, გოგო?

— ჰო.

მე პირდაპირ ლოგინიდანვე ვუწვდი ხელს და კარების ჩასაკეტს ვაღებ, ცირასთან არ მერიდება, ასე გაუხდელად წამოწოლილი დავხვდე.

— შემოდი, ცირა!

— არა, ის... წყალი მოვიდა.

გარეთ თუხთუხებს ონკანი, ქშინავს, უბერავს და წყლის ნაკადს უშვებს.

— აი, ცხოვრების აზრი, — ვიძახი მე, — ავავსოთ ახლა ჭურჭლები, დავწვეთ მერე, ვიძინოთ და ვიძინოთ.

ვდგები. მიმაქვს ბოცა და გრაფინი. ცირას ვედროები, თუნგი და ქვაბები მოაქვს და ვავსებთ ჭურჭლებს.

შემაქვს სავსე ჭურჭლები ოთახში და ცირას მადლობას ვუხდი.

მე არც მომდევნო წელს გამომიცვლია ბინა და როცა ზაფხულის არდადეგებიდან დავბრუნდი, ცირას ისე გაუხარდა, კინაღამ იტირა.

— როგორ ხარ, ცირა!

— რა ვიცი... არა მიშავს რა...

— რატომ კარგად არა ხარ!

— კარგად ვარ!

— დედამიწის გულზე ისეთი არაფერია, მე რომ არ ვიცოდე.

— მერე?

— მერე და შენ ამ ზაფხულს მოგეწყინა.

— კი.

— ასეა ადამიანი, ხარ ცუდ ხასიათზე, მერე მოგბეზრდება და დადგები კარგ ხასიათზე, მერე ეს ხალისიანობაც ამოგივა ყელში და დადგები ისევ ცუდ გუნებაზე.

— რატომ მელაპარაკებით ასე! — ეს იყო ცირას პირველი საყვედური, ეს თვითონაც იგრძნო და ნაცნობი სიწითლე დაეუფლა.

— აბა როგორ? — მე მასთან სხვანაირი ლაპარაკი ვერ წარმომედგინა.

— ჩვეულებრივად, უბრალოდ, როგორც საერთოდ ლაპარაკობთ...

— როგორც საერთოდ ვლაპარაკობ?

— ჰო.

— საერთოდ... როგორ არის ბებია?

თავი დამიქნია, გმადლობთო.

— რაღაც ვერ ვხედავ.

— სძინავს.

ჩემოდანი ავიტანეთ.

ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო. აივანზე გამოვედით.

— ადამიანი... არა, წამომცდა, ცირა, სოფელში ჩვენები კარგად არიან.

— ჰო, მე უნდა მეკითხა.

— შენ კარგად ხარ და ეს არის.

— კი, ახლა კარგად!

მეტი სალაპარაკო არაფერი გვქონდა. ცირამ იგრძნო ეს და თქვა:

— ილაპარაკეთ ისევ ისე...

— როგორ ისე?

— ისე როგორც...

— არაჩვეულებრივად, როგორც საერთოდ არ ვლაპარაკობ?

— ჰო, როგორც მელაპარაკებოდით.

— ასეა ადამიანი, ჩემო ცირა, გელაპარაკებიან არაჩვეულებრივად, მოგწყინდება, მერე გინდა ჩვეულებრივად გელაპარაკონ, ილაპარაკებ ჩვეულებრივად და სულ რაღაც ორ წუთში ისევ არაჩვეულებრივი მოგინდება. მე ეს ყველაფერი ვიცი, როცა გაიზრდები, შენც გეცოდინება.

— ვიცი, ამდენი ახლაც ვიცი.

— ეს თუ იცი, გაზრდილხარ და ის არის, — ავათვალიერ-ჩავათვალიერე ცირა, — მართლა გაზრდილხარ.

— წელს ვამთავრებ.

— ჰო, მართლა, შენ წელს ამთავრებ, ერთი წლის შემდეგ შენ იქნები...

— ერთი წლის შემდეგ ასე არ ილაპარაკებთ?

— არა, ერთი წლის შემდეგ ჩვენ ვილაპარაკებთ ჩვეულებრივად.

ამის შემდეგ ცირამ მოახშირა ბებიასთან ყოფნას, თვალშიაც მეტად მხვდებოდა. ერთხელ ბებიამ მომიგზავნა და ათხოვნინა, რომ ზოგჯერ სწავლაში დავხმარებოდი.

მე ამან გამაკვირვა, რადგან ცირა არ ჩანდა ისეთი გოგო, რომ თუ მოინდომებდა, რამე დარჩენოდა გაურკვეველი. მოხუცს თანხმობა განვუცხადე. ჩემი ვარაუდი გამართლდა. როცა ვუხსნიდი, თვალებში მიყურებდა, მაგრამ არ მისმენდა, მისმენდა, მაგრამ ისმენდა მარტო ხმას.

— გაიგე? — ვკითხავდი.

— კი, — მეტყოდა თვალების ციმციმით, — ახლა კარგად გავიგე, — თუ გამოვკითხავდი, მიპასუხებდა, მაგრამ ვატყობდი, ეს ჩემი ნათქვამი არ იყო.

ყველაფერი მაინც თავისი გზით მიდიოდა. ავადმყოფობას ჩემთან რა უნდოდა, მაგრამ კიბის, ხის ძველი კიბის საფეხური ჩამივარდა, როცა წყლით სავსე ბოცა ამომქონდა; ბოცას რას დავეძებდი, მაგრამ ინსტინქტით მის გადარჩენას ვეცადე და მთელი წვივი და მუხლის თავი გადავიღლიტე. მეორე დღეს სიარული გამიჭირდა, პოლიკლინიკამდე ძლივს ჩავედი. თუ ფეხი მაღლა მედო, არ მაწუხებდა, თუ ქვევით დავუშვებდი, სისხლი მაწვებოდა და პირდაპირ გულს მიწუხებდა.

ცირას ჩემი ფეხის ტკივილი ნებას აძლევდა ოთახში დაუკითხავად შემოსულიყო და, რითაც შეეძლო, დახმარება გაეწია; ანდა ჩამომჯდარიყო ერთადერთ ტაბურეტზე და რომ არ მომწყენოდა — გველაპარაკნა.

— ასეთია ცხოვრება, ჩემო ცირა... ხელში რომ პირამდე სავსე ბოცა გიჭირავს და კიბეზე მაღლა-მაღლა ადიხარ, სულ არ ელი, მაშინ ჩაგივარდება ფეხი.

— თქვენ ეს თუ იცოდით...

— ცირა, ეს ყველამ იცის.

— მაშინ უნდა გაფრთხილებულიყავით.

— განა რაც იცი, ყველაფერს გაუფრთხილდები?

— ვერა, — თქვა ცირამ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაიმეორა — ვერა, ვერ მოერიდები.

— ვერ მოერიდები, ცირა, მე ხომ ვიცი და ვიცი, ეს შენც იცი.

— ყოველთვის ხომ არ უნდა იხუმროთ? — მითხრა წყენით.

— არა, ცირა, სულ არა ვარ ხუმრობის გუნებაზე, უბრალოდ, ადამიანებზე გეუბნები... გარდა ამისა, როცა ხელში სავსე ბოცა გიჭირავს, მასზე ფიქრობ არ გამიტყდესო და არ გახსოვს, რომ შეიძლება კიბე ჩაგენგრეს. მაგალითად მე, იოლად გადავრჩი, ბოცა გადავარჩინე... ბევრს ბოცაც ემსხვრევათ და ფეხს მარტო კი არ იყვლეფენ — მთლად იტეხენ.

— ეს ძნელია.

— ძნელია იმისთვის, ვისაც ბოცა გაუტყდა და ფეხი მოტყდა,. თორემ თვითონ ცხოვრებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— სხვა რამეზე ილაპარაკეთ...

— სხვა რაზე, ჩემო ცირა?

დუმილი ჩამოვარდა.

— მოდი, რაც იყოს, იყოს, და შენ მითხარი რამე.

— მე რა უნდა გითხრათ?

— რაც შენ გინდა.

— რაც მე მინდა?..

— ჰო, შენ რაც გინდა.

— მე არაფერი არ მინდა.

— აბა ვიჯდეთ ასე, მე აგერ ლოგინზე ფეხგაჭიმული, შენ მაგ სკამზე და ვუყუროთ როგორ იპარავს სახურავებიდან წითელ სხივებს ჩამავალი მზე.

— მერე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე მთვარე ამოვა.

ცირას აღარ უთქვამს მერეო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ განვაგრძე:

— მე ვიცი, შენ გაინტერესებს და გეტყვი, მერე მთვარე ჩავა და მზე ამოვა.

— ხომ შეგეხვეწეთ, სხვა რამეზე ილაპარაკეთ-მეთქი.

— სხვა რამე... სხვა რამე... რა ვთქვა, ზღაპარი მოგიყვე, ცირა?

— მომიყევით... იცით ზღაპარი? ძალიან გთხოვთ, ზღაპარი მომიყევით.

— ჯერ ადრეა, აი, მთვარე რომ ამოვა, მოგიყვები.

— კარგი დაველოდები, ამაღამ სულ არ წავალ სახლში.

მზემ ჯერ დაბალი სახლების სახურავებს ააცალა სხივები, მერე მაღლებს, ბოლოს, მზის ჩასვლის წინ მყუდროება ჩამოწვა. უხმაურო მყუდროება კი არა, რაღაც ფერების მყუდროება, დღისა და ღამის გასაყართან რომ იცის.

მე და ცირა ხმას არ ვიღებდით.

დიდხანს დავრჩით ასე, სანამ მთვარის მკრთალი სინათლე არ ახმაურდა.

— მიამბე ზღაპარი, — მითხრა ცირამ, — აქამდე შენობით არასოდეს მოუმართავს და მივხვდი, როგორ ძალით თქვა ახლაც, ღამე რომ არ ყოფილიყო, ვერაფრით ვერ იტყოდა.

— ზღაპარი?! — განგებ გავიკვირვე.

—შენ არა თქვი, მოგიყვები ზღაპარსო!

— შენ ხომ უკვე პატარა აღარა ხარ, ცირა!

— ზღაპარი მარტო პატარებისთვის არის?

— აბა რაღა დროს შენი ზღაპარია!

ოთახში მთვარის მკრთალი ნათელი შემოცურდა და პირდაპირ თვალებში ჩამხედა.

— მთვარის ზღაპარი არ იცი?

— მთვარის ზღაპარი? როგორ არ ვიცი, ცირა, ყველა ზღაპარში ხომ ვინმე უფლისწულს უყვარს მზეთუნახავი!

— კი, მაგრამ ზღაპრები ხომ ბავშვებისათვისაა, რატომ არის შიგ სიყვარულზე ლაპარაკი?

— არ ვიცი, ცირა, ან ბავშვებმა არ იციან, რომ სიყვარულზეა ლაპარაკი ან დიდებმა.

ცირა მაგიდის თავში იჯდა და მთვარის სინათლეზე არ ჩანდა.

— თქვენ არავინ არ გიყვართ?

ჩემთვის ისე მოულოდნელი იყო ცირასაგან ასეთი შეკითხვა, ყელი გამიშრა. იგი არ ჩანდა, მაგრამ ვხედავდი, როგორ შემოედო სახეზე ალმური და მაინც მეგონა, კარების ჭუჭრუტანაში სხვა ვინმემ თუ შემომძახა-მეთქი.

— ცირა!

ხმა არ გამცა.

— ცირა, — გავიმეორე მე, — შენ ახლა მკითხე რამე?

ცირამ ისევ არ მიპასუხა, მაგრამ მე ვკითხე ჩემს თავს, მიყვარდა თუ არა ცირა. პირდაპირ, შიშვლად დავსვი ეს კითხვა, ცირას კი ვუპასუხე:

— არა, ცირა, არავინ არ მიყვარს. რა არის სიყვარული, კაცმა რომ თქვას. უნდა ადგე, შეიყვარო ვინმე და მერე მთელი ცხოვრება შენს თავს გერჩივნოს. ღამეები არ უნდა იძინო და მერე მთელი დღე თვალები გაწითლებული უნდა გქონდეს. ის კი არა და შეიძლება ლექციაზე ჩაგთვლიმოს და ლექტორმა სხვა თვალით უნდა დაგიწყოს ყურება. მე რომ მკითხო, დავიდარაბად არა ღირს. არც შენ გირჩევ.

ჯერ თავშეკავებული სლუკუნი მომესმა, მერე ქვითინი და ძლივს გავარჩიე ეს სიტყვები.

— ადრე მოგეცათ ეს რჩევა... თქვენ ხომ ყველაფერი იცით... — თქვა, ადგა და გარეთ გავარდა. შევიდა გვერდით ოთახში და არ ვიცი მართლა აღწევდა ჩემამდე ხმა თუ არა, მაგრამ მესმოდა მისი გულამოგლეჯილი ტირილი.

ასეც ვერ გაძლო დიდხანს. გავიგონე როგორ წამოვარდა ლოგინიდან და აივანზე გამოვიდა. მეგონა, ჩემთან შემოვარდებოდა, შურისძიებით თუ რაღაც ასეთი განზრახვით, რომ მე ასე ახირებულად მოვეკიდე მის პირველ, ზღვასავით მომსკდარ გრძნობას; მაგრამ არა, კიბეები ჩაირბინა და მერე აღარ ვიცი, ჭიშკრის ზამბარის ხმა არ გამიგონია.

ცირამ მარტო კი არ გამაოცა, შემაშინა და იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. გარეთ რამდენი ფოთოლი შეირხეოდა, ან დაგვიანებული ვინმე გაივლიდა, მეგონა ცირა მოდიოდა, შემოაღებდა კარებს, პირდაპირ ჩემს საწოლზე დაემხობოდა ატირებული. რატომ არ ვიცი, და კარები ვერ ჩავკეტე. ოდნავი, სულ შეუმჩნეველი ფაჩუნი და... მთელი ღამე შიშით ვუცქერდი ღია კარებს.

უმამო... მეორედ გათხოვილი დედა იგივე უდედობაა, რაღა მექნა...

ცირა... ბებიას საყვარელი ცირა...

არ ვიცოდი რა მექნა, რა გზას დავდგომოდი. ფეხი რომ არ მქონოდა ნატკენი, იქნებ იმ ღამესვე წავსულიყავ სადმე, იქნებ მაშინვე დავდგომოდი გზას...

ცირას ვუყვარდი...

მე?..

ამ კითხვამ შემაშინა, არც მიცდია მეპასუხა, იქნებ ვერც მეპასუხა, მაგრამ მეორედ არ დამისვამს ეს კითხვა. პასუხს კი არ გავურბოდი — ამ კითხვას.

მებრალებოდა, პირდაპირ ცოდვით ვიწვოდი, თავს ვწყევლიდი, რატომ ადრე არ ვიფიქრე ეს, რატომ გადმოვედი, კიბე რატომ მაშინვე არ ჩამიტყდა.

საცოდავი გოგო, ისედაც თავისი ცეცხლი არ ეყოფოდა, რომ მდუღარე არ დამესხა?

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რით ვუშველო!

...ვუშველე.

იმ ღამით ცირა დედამისთან გაქცეულიყო, ალბათ ყორეზე თუ გადახტა და დილით არ გამოჩენილა. მე ავიკაუჭე მტკივანი ფეხი და ჯოხდაბიჯგებული წავედი. აბა იმ დღეს სადღა ვიშოვიდი ბინას და საერთო საცხოვრებელში მივედი ამხანაგთან. ოთხნი იყვნენ. ერთი საწოლი გამითავისუფლეს.

— ა, ბიჭებო, ფული, — ფული ყოველთვის მქონდა, სტიპენდიას და სახლიდან გამოგზავნილს უანგარიშოდ არ ვხარჯავდი, — ჰკითხეთ რა ეკუთვნის, გადაუხადეთ და ჩემი თუ რაიმეა იქ დარჩენილი, წამოიღეთ.

ასეც მოიქცნენ.

მერე მეშინოდა ცირას იქაც არ მოეგნო. კარგა ხანს ლექციებზეც არ გამოვჩენილვარ. მერე, როცა თავისუფალი სიარული შევიძელი, სადღაც შორს დავიჭირე ბინა.

საერთო საცხოვრებელში არ გამოჩენილა ცირა, არც ინსტიტუტში მოუგნია, ბინა ხომ არ იცოდა და არ იცოდა.

გადავრჩი.

გავიდა დღეები, თვეები, წლებიც. დავამთავრე. დავამთავრე ისე როგორც სხვამ, იქნებ უკეთესი ნიშნებით, მაგრამ მაინც ისე... ახლა ვმუშაობ.

ავდგები დილას, წავალ სამსახურში, ვიქნები საღამომდე, საღამოს გამოვივლი მაღაზიებში, რაიმეს წამოვიღებ, ვჭამ და ვფიქრობ ცისას და ბრისას, ყველაზე მეტს ცირაზე... მერე შევეკითხები ხოლმე ჩემს თავს:

მიყვარდა?

არ ვიცი. ერთი ეს არის, იმდენს არავისზე არ ვფიქრობ. თუ ცირა არ მიყვარდა, მაშინ არავინ არ მყვარებია.

და ვეკითხები, სულ ვეკითხები თავს, რა იყო, რა დამემართა, სად გავრბოდი, ვინ მომდევდა, ვის ვემალებოდი!

ვუყვარდი.

მერე?

შემეშინდა, ისედაც დაჩაგრული იყო.

მერე?

მერე და რომ შემოსულიყო იმ ღამეს, იმ ღამეს თუ არა მეორე, მესამე ღამეს ატირებული...

მერე...

უნდა მოვფერებოდი, უნდა გადამეხვია ხელი, დამემშვიდებინა, მთვარის სინათლეზე ჩამეხედა ცრემლიან თვალებში და მეკოცნა.

გეკოცნა.

მეთქვა, რომ მიყვარს.

გეთქვა.

ჩამეკრა გულში.

ჩაგეკრა მერე.

ბებიას უყვარდა.

აბა ბებიას უნდა ძულებოდა, შენ რომ გყვარებოდა?

რა ვიცი.

ახლა?

ახლა ადექი დილას, წადი სამსახურში, იმუშავე საღამომდე, გამოიარე მაღაზიებში, იშოვე რამე, წამოიღე და ჭამე, თუ არა და იყავი.

რატომ ჰქენი?!

ვიცი?!

ვითომ არაფერი არ ეშველება? იქნებ კიდევ არ არის გვიან.

არც ეს ვიცი.



# ალამუთის ციხე და... ჰარვარდის უნივერსიტეტი



## ერთი სიტყვის ეტიმოლოგია

ასესინ — ეს ცნება ხშირად შეგხვდებათ დასავლეთის გაზეთების ფურცლებზე, როცა ისინი სიტყვას ჩამოაგდებენ ხოლმე მკვლელობაზე და ტერორზე. „კენედის ასესინ"—წარწერილი ჰქონდა ლი ოსვალდის პორტრეტს ინგლისურ და ამერიკულ გაზეთებში.

ასესინ—ინგლისურ ენაზე ნიშნავს მიგზავნილ მკვლელს, ყაჩაღს, ბოროტმოქმედს. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით შემორჩენილია დღევანდელ ფრანგულ (ასასენ), იტალიურ (ასასინო), ესპანურ (ასესინო) და პორტუგალიურ (ასასინუ) ენებში.

როგორ წარმოიშვა ეს ცნება?

ამ სიტყვის გენეზისს შუა საუკუნეების აზიის ისტორიაში გადავყავართ. ასასინი ევროპელების მიერ დამახინჯებული „ჰაშიშინოა". — ადამიანი, რომელიც ჰაშიშს ხმარობს. ჰაშიში წარმოადგენს ინდური კანაფის ზეთისაგან დამზადებულ ნარკოტიკს, რომელიც შეიძლება მოსწიო, დალიო ან დალეჭო.

მართალია, მუსლიმანებს წინასწარმეტყველმა მაჰმადმა ღვინო აუკრძალა, მაგრამ სამაგიეროდ ფართო გზა გაუხსნა ჰაშიშის გასავრცელებლად. ეს ნარკოტიკი ადამიანში იწვევს ჩვეულებრივი თრობის მსგავს განცდას, მაგრამ ხშირად უფრო მკვეთრსა და მძაფრს. ჰაშიშის მიღების შემდეგ ნარკომანი ჰკარგავს დროისა და სივრცის შეგრძნობას. იგი ხან თითქოს ცამდე მაღლდება, ხან საოცრად გულგრილად განეწყობა ირგვლივ მყოფთა მიმართ.

საიდან სადაო!—იფიქრებს მკითხველი. რატომ იქცა ეს სიტყვა მკვლელის სინონიმად და რატომ გავრცელდა ესოდენ ფართოდ მთელ ევროპაში, სადაც ჰაშიშს არ ხმარობენ?

აქ უკვე უშუალოდ მივადექით ასასინების სექტის ისტორიას—შუა საუკუნეებში ეს სექტა თავზარსა სცემდა მთელ ახლო აღმოსავლეთს, უფრო მეტიც შეიძლება ითქვას—ამ სახელის ხსენება შიშის ძრწოლას ჰგვრიდა დასავლეთის მეფეებსა და იმპერატორებს, აღმოსავლეთის სულთანებსა და ამირებს.

ამით აიხსნება თვითონ სიტყვა ა ს ა ს ი ნ ი ს ესოდენ ფართოდ გავრცელება მთელ მსოფლიოში.

ვინ იყვნენ ეს ასასინები?

## ორიოდე ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან"

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს:

„შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოისანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელგამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი, და ყოველნი იტყოდეს: „რა ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღუარ გვექნას და ვბრძოდით თათართა, და ჩუენ ერთი—ერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღუდგებით თათართა და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესეოდენ, რომელ ყოველ წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღუაწლთა შემთხუევად".

ჟამთააღმწერელი მეორე ადგილას აღნიშნავს:

„ესრეთ განაჩინეს თათართა, და განიყვეს საქართველო, და წარვიდეს ბრძოლად ალმუთს, და ქართველნი თანა-წარიტანეს, რომელნი განიყვეს ორად: ნახევარნი ერთსა წელსა, და ნახევარნი ერთსა წელსა უყვიან ალმუთს. რამეთუ შვიდ წელს განგრძელდა ბრძოლა ალმუთისი, რომელნი არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან".

რა ირკვევა ჟამთააღმწერლის ამ ცნობებიდან? მონღოლებმა დაიპყრეს მთელი ქვეყნები, ვერავინ აღუდგა წინ მათს ძლევამოსილ ურდოებს, ყველა სიმაგრე აიღეს და შელეწეს, გარდა ალამუთის ციხისა, რომელიც სწორედ ასასინების მთავარი ციტადელი იყო. აქედანვე ჩანს შემდეგიც: მონღოლებმა ასასინებს თვითონ რომ ვერაფერი მოუხერხეს, ქართველების ლაშქარი მიაყენეს და, როგორც ჩანს, ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო. მრავალი წლის გაафთრებული ბრძოლა დასჭირდა ალამუთის ციხის აღებას, და ეტყობა ამ ბრძოლამ სასხლისაგან დაწრიტა ქართველობა. ამიტომ კოხტის თავს შეთქმულნი, როგორც ჟამთააღმწერლის ზემოთ მოყვანილი პირველი ციტატიდან ჩანს, მონღოლთა უღლის გადაგდებისათვის აჯანყებას რომ ამზადებენ, განსაკუთრებით იმას გამოჰყოფენ—ალამუთის ბრძოლებმა გაგვწყვიტეს წელშიო („ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღვაწლთა შემთხუევად").

## ასასინების სამოთხე

ასასინები ცნობილნი იყვნენ მონღოლთა ლაშქრობების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. თავის დროზე ისინი თავზარსა სცემდნენ ევროპელ ჯვაროსნებს—ასასინებმა არა ერთი მუსლიმანი ამირა თუ ევროპელი გრაფი, მარკიზი და პრინცი გაისტუმრეს საიქიოს.

ასასინების საიდუმლო სექტა წარმოიქმნა ირანში, მე-11 საუკუნის ბოლოს, ისმაილისტთა ბანაკში მომხდარი განხეთქილების შედეგად. მას ხელმძღვანელობდნენ გავლენიანი ფეოდალები, რომლებიც ოსტატურად იყენებდნენ დაჩაგრული კლასებისა და ტომების უკმაყოფილებას. ასასინთა ცენტრი იყო ჩრდილო-დასავლეთ ირანში ციხექალაქი ალამუთი, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ამ ციხეს 1090 წელს დაეპატრონა ასასინთა სექტის დამაარსებელი ჰასან საბაჰი. აქედან ასასინთა მოძღვრება გავრცელდა სირიასა და ლიბანშიც, სადაც წარმოიშვა მათი ახალი კერები.

როგორ ამზადებდნენ ასასინები თავიანთ ტერორისტებს? აქ ისინი მართლაც ეშმაკურ ხერხს მიმართავდნენ. აირჩევდნენ რომელიმე მარჯვე ჭაბუკს, უგრძნობლად დაათრობდნენ, მერე შეიტანდნენ საგანგებოდ მოწყობილ ბაღში და გამოაფხიზლებდნენ. იმ ბაღში ჭაბუკი ხედავდა ყველაფერს, რასაც მაჰმადი თავის სამოთხეში ჰპირდება მართლმორწმუნეს—აქ იყო ულამაზესი ქალები, უნატიფესი საჭმელ-სასმელი თავზე საყრელად და ა. შ. ჭაბუკს მერე კვლავ უგრძნობლად დაათრობდნენ და ისევ გამოიყვანდნენ იმ ბაღიდან და ეტყოდნენ: წადი ახლა და ესა და ეს კაცი მოჰკალ, თუ შენც მოგკლეს, ამიერიდან იმ სამოთხეში იცხოვრებ, რომელიც უკვე ნახული გაქვსო.

გასაგებია რომ ასასინს აღარ ეშინოდა არაფრის და ზღაპრულ სიმამაცესა და ფანატიზმს იჩენდა. გაბრიყვებული ჭაბუკები უყოყმანოდ მიდიოდნენ მკვლელობაზე და ხშირად იქიდან ეშაფოტზეც.

ასასინებზე დაწვრილებით მოგვითხრობს მარკო პოლო; აი რას წერს იგი „მთის მოხუცის"—ასასინთა ბელადის შესახებ:

„მთის მოხუცმა... ორ მთის შუა მდებარე ველზე გააშენა არნახული ბაღი. მოჰყავდა ამ ბაღში ყველაზე უგემრიელესი ხილი. ააშენა იქ ყველაზე უკეთესი სახლები, ყველაზე ლამაზი სასახლეები, რომლებიც ოქროულითა და სხვა ძვირფასი ნივთებით შეამკო. გაიყვანა არხები: ერთში მოდიოდა ღვინო, მეორეში—რძე, მესამეში—თაფლი, მეოთხეში — წყალი. ამ ბაღში მან თავი მოუყარა მთელი ქვეყნის ყველაზე ულამაზეს ქალებსა და ქალიშვილებს. ისინი უკრავდნენ ყველა საკრავზე, მღეროდნენ და ცეკვავდნენ... მოხუცმა გამოუცხადა ყველას, რომ სწორედ ეს არის ის სამოთხე, რომელსაც მაჰმადი ჰპირდება მუსლიმანებს. და ვინც ამ სამოთხეში მოხვდება, ეყოლება იმდენი ლამაზი ცოლი, რამდენსაც მოისურვებს. ბაღის შესასვლელთან აღმართული იყო მიუვალი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება არავის შეეძლო".

ამ მკვლელებს სექტაში „ფიდაის" ანუ თავგანწირულებს ეძახდნენ.

## ალამუთის ციხის დაცემა

კოხტის თავის შეთქმულება, როგორც ჩვენი ისტორიკოსები აღნიშნავენ, მოხდა 1247 წელს. ამის შემდეგ ალამუთის ციხეს ცხრა წელს კიდევ გაუძლია—საბოლოოდ იგი აიღო მონღოლთა სარდალმა ჰულაგუ ყაენმა 1256 წელს.

ალამუთი ქართულად არწივების ბუდეს ნიშნავს. ეს ციხე აგებული ყოფილა მიუვალ კლდეზე, ზღვის დონიდან 3689 მეტრ სიმაღლეზე. როგორც ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი მოგვითხრობს, ალამუთის აღებისა და გაძარცვის შემდეგ ჰულაგუ ყაენი ციხის დასათვალიერებლად მაღლა ასულა და ამ მთის სიდიადით გაოცებულს თითზე უკბენია.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ, 1273 წელს სირიასა და ლიბანში დარჩენილ ასასინებს საბოლოოდ მოუღეს ბოლო მამელუკებმა. მათი სამფლობელოები ეგვიპტის სულთანმა შეიერთა.

## მისტიციზმის ახლანდელი მოციქულები

ამრიგად, ასასინების მთავარი იარაღი მაინც ჰაშიში იყო.

ქრისტიანულ ეკლესიას დღემდე არ მიუმართავს ამ საწამლავისათვის; ღმერთთან მორწმუნეების „დაახლოების" მიზნით ისინი იყენებდნენ ზემოქმედების სხვა ხერხებს—ქადაგებიდან წამებამდე.

მაგრამ დახეთ საოცრებას! ასასინებს ახლა ამერიკაშიც აღმოუჩნდათ მიმდევრები. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ პროტესტანტულ ეკლესიაში მღვდელმა მამაო სებასტიანმა განცვიფრებულ მსმენელებს აცნობა, რომ ყველაზე საუკეთესო და მოკლე გზა ღმერთამდე არის ნივთიერება, რომელიც ქიმიკოსებს შორის ცნობილია „ლსდ-25" სახელწოდებით.

სხვათა შორის, ეს ტვინის საწამლავი პირველად მიიღეს ხორბლეულის პარაზიტებიდან (ხორბლის ჭვავის რქა). ამჟამად დადგენილია, რომ „ლსდ-25" რამდენიმე საათში, დღე-ღამესა ან ერთ კვირაში (ეს დამოკიდებულია დოზაზე) სრულიად ჯანსაღ ადამიანს ხდის შიზოფრენიკად. და აი, სწორედ ამ „პრეპარატს" მიანიჭა მამაო სებასტიანმა „წმინდანობის ელექსირის" როლი!

რა თქმა უნდა, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს იმისა, რომ ასეთ მკრეხელობაში ყველა ამერიკელ მღვდელს დავდოთ ბრალი. პირიქით, სებასტიანის მოქმედებამ მორწმუნეთა ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ თავი იჩინეს რელიგიური ნარკომანიის სხვა ფაქტებმაც.

ჰარვარდის ცნობილ უნივერსიტეტში არც თუ დიდი ხნის წინათ შეიქმნა „შინაგანი თავისუფლების საერთაშორისო ფედერაცია". ამ ფედერაციის მოთავეთა განცხადებით, ადამიანის ხსნა „მისი შეგნების სფეროს გაფართოებაშია". ამის მიღწევა კი თურმე მხოლოდ ნარკოტიკებით შეიძლება. ნარკომანების ამ ახალი სექტის მოთავეებმა თავიანთ საქმიანობას „გამოყენებითი მისტიციზმი" უწოდეს. „ნარკოტიკები — ესაა გზა ღმერთისა და სიყვარულისკენ!" — ღაღადებენ ისინი.

მათ მიერ გზას აცდენილი ათობით ადამიანი უკვე გახდნენ ფსიქიატრების პაციენტები. სულ ცოტა ხნის წინათ კი ბოსტონის უნივერსიტეტის სამლოცველოში თეოლოგიური ფაკულტეტის ათობით სტუდენტმა წირვის შემდეგ ორღანის გუგუნში ნარკოტიკები მიიღო, რის შედეგადაც რამდენიმე ახალგაზრდა რელიგიურ ექსტაზს მიეცა და ლამის სიგიჟემდე მივიდა.

პრინსტონის უნივერსიტეტის „სწავლულმა" უ. სტეისმა კი სერიოზულად განაცხადა: „ის ფაქტი, რომ მოჩვენებები გამოწვეულია ნარკოტიკებით—სულაც არ არის იმის დადასტურება, რომ ეს მოჩვენებები სინამდვილეში არ არსებობენ".

ერთი სიტყვით, თავიანთ შუასაუკუნეების დროინდელი წინამორბედებისაგან განსხვავებით, დღევანდელი ნარკომანები „ღვთის სახელით" ცდილობენ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანონ ასასინთა „სიბრძნე" და თავიანთ მოქმედებას როგორმე „ფილოსოფიური ბაზა" გამოუნახონ.

**არ. შავლიაშვილი**

# ლექსები



## რომ ვიცოდე...

სათიბივით მინდორ-ველად
ვატყობ სიტყვა მომერია,
მაგრამ აქვე ყაყაჩოთა
ალიც ჩაუქრობელია, —
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან მოლისფერი მდელო —
თვალის ერთი გადავლებით,
წაიკითხე, წამკითხველო!

არა, ღმერთიც მინდორ-ველად
ნოხს არ გაშლის არასოდეს,
რომ ერთ ყვავილს დაუჭკნობელს
ყვავილებში არ აქსოვდეს...
მხოლოდ იმ ერთს დავტოვებდი,
რომ ვიცოდე რომელია,
მხოლოდ იმ ერთს: მკითხველები
მოუთმენლად რომ ელიან!



## ღამე ზღვისპირად

ძილს მიფრთხობს ჩუმი ზღვის მიმოქცევა,
ისე რომ თვალი შევავლო ღამის, —
ზღვისპირად ღამის ბინდბუნდში ვწევარ...
ვისი სუნთქვაა, ზღვისა თუ ღამის?!

ვინ გაიელვა და შემკრთალ ხეხილს
ყრუდ ვინ შესძახა: — ხელები მაღლა!
ბაღში რა უნდა ამ ცივ ქარტეხილს,
ჯერ დილის ხუთიც არაა ახლა.

ცა გვემუქრება ისევ ქარ-წვიმით,
ჰიშკარიც დამრჩა გადასარაზი...
წვერგაბარდნილი ღამე კაცივით
ვგრძნობ, იცქირება ჩემს ფანჯარაში!

და მაინც, მაინც, განა უნდო ვარ,
განა მწამს ვიღაც ლანდ-მიმალული! —
არა. მე ძილში ჩამყვა ბუნდოვან
ფიქრად — სახლ-კარის ღრმა სიყვარული...



მთა-გორები ჩავირბინე
და მინდორი მოთიბული,
ლაპარაკიც ბილიკივით
მიყვარს მიკიბ-მოკიბული,
ნაპირ-ნაპირ ყველა ბუჩქის
ტოტი ტოტებს ჩაეკონა,
რომ ორწოხზე შემორჩენილ
მზის შუქს არა გაეგო რა!

მივატოვე ნაკადულიც
მიმოკარგულ ბილიკებთან,
ვგრძნობდი: გულის საიდუმლოს
ხევ-ხევ გამიქილიკებდა, —
გამომტაცა ორი სიტყვა
და ჩემს ამბავს საიდანღაც
ქვიდან ქვაზე ხტომით, უკვე
შემომძახის ჩქარი ტალღაც...

ძირს კი ღია საგუბრები
და ყურ-ვიწრო ღარებია, —
ჩაცუცქული წისქვილები
უკვე გაუხარებია!
მთელს ქვეყანას მოსდებს ამბავს
ამ პატარა სამინდოდან,
მე კი ჩემი აღტაცება
გამემხილა არ მინდოდა...

ტალღა მაინც ტალღას ერთვის
და ნაკადულს — ნაკადული,
კაცს, მკერდამდე წყალში ჩამდგარს
ჰგავს მთა კალთებ-აკალთული.
ახლა ჩვენზე საჩურჩულოდ
აქ არავის არ სცალია,
გულისთქმა რომ გააზღაპრონ,
მოყვარულნი არც არიან!

სულ სხვა ზაფრით ელვიძებათ
აქ ამ კლდეებს ნალმიანებს,
და ტალღების მედგარ დენას
სხვა ეპოსი ახმიანებს!
ცადამართულ სართულების
ათას თვალს და ათას ციმციმს,
შენი სიტყვა მიაწვდინო
განა გშურს და განა გიმძიმს!

დიდი ბრძოლის მონაწილე,
იცი, ხევის წყალიც ხდება, —
მაგრამ ხევ-ხევ ნაკადულის
ტალღაც აღარ გავიწყდება, —
იყოს, იყოს, ილიკლიკოს,
წყენა გვიპატიებია,
თუ გაჰყვები, ბილიკ-ბილიკ
დასაკრეფი იებია!

თუ გაჰყვები — გაზაფხულის
მოყვარული არი შენებრ,
თუ გაჰყვები — სიჭაბუკეს
და სიყვარულს გაიხსენებ!..



## ძერა

მუდამ, როცა მთა-გორებს
დასტრიალებს ძერა —
ომის დღეებს მაგონებს
ცაში წრეთა წერა.
აი, ახლაც ფერდობი
გაიალმაცერა.
დახვდი, თვალს თუ ენდობი,
თუ გასროლის გჯერა.
დახვდი გულო, გაგიყვანს
ბილიკ-ბილიკ მზერა,
თუ შენი დღე არ გიყვარს —
ცა რაა და მზე რა?!
რა საგმირო წრთობაა
მწყერჩიტების ჭერა...
რაღა რაინდობაა,
რომ დაინდო ძერა?
რა არ მაამბობინა,
რა არ გამახსენა!..
ჩემი დარდი ყოფილა,
ჩემი თოფის წერა!



## ბალი

ბალის ტოტს განგებ რა აქანებს,
თუ არაა უკვე ბლობა?...
დაუზვერავთ ლამაზ ქალებს
გულო, შენი მეზობლობა.
აქაც ალბათ საიდუმლო
აქვთ ჩუმ-ჩუმად ჩანიშნული,
ყური უგდე საით უფრო
ისმის მათი შარიშური...
ხის ფოთლებში თვალს რა უნდა,
თვალს კი ბალიც გვიბრიალებს,
არ ესროლო ქვა და გუნდა
თვალებივით ჯიბრიანებს!
დასაკრეფად გვილიმიან,
მოიწიე თითო-თითო...
ეს ხომ თითქმის იგივეა
ბალს კუნწულა შეაწყვიტო!
დასაკოცნი ბალი ღვივის —
არი თრთოლვა, არი შური,
ლამაზ-ლამაზ თვალთა ღიმილს
ამხელს ფოთოლთ შარიშური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ქართული შრიფტის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე გამსახურდია**

შრიფტი თანამედროვე სიტყვის კულტურის გასაღებია, მისი მარადიული საუნჯე; ვიდრე გუტენბერგის გენიოსური გამოგონების მეოხებით ერები შესძლებდნენ შრიფტის ალბეჭდვის მექანიზებას, უძველესი ხალხები ძილზე ტვიფრავდნენ სიმბოლურ ნიშნებს, მაგალითად, მთის მაგივრად სამკუთხედ მწვერვალს, ტბას, მდინარეს და სხვათა.

ამგვარი ხატოვანი აზროვნების ალსაბეჭდავად მექსიკის აბორიგენებს — აცტეკებს შექმნილი ჰქონდათ მთელი ლიტერატურა, რომელიც ესპანელმა თავდამსხმელებმა სავსებით გაანადგურეს.

ჩვენს ერამდის, სამი ათასი წლის წინათ, ჩინელებს გააჩნდათ ხატოვანი შრიფტი, რომელიც მარტივ სიმბოლიზებას ემყარებოდა.

მზის ნაცვლად წრე, კაცის ნაცვლად თავი და ა. შ. ამ რებუსულ შრიფტში ალნუსხულია 60.000 პირობითი ნიშანი, რომელნიც ემყარება 214 ძირეულ ნიშანს.

დაახლოებით ამ რიგად შექმნეს იაპონელებმა თავიანთი კატაკანა, რომელიც განვითარდა 80 მარცვლიანი ნიშნებისაგან.

უხსოვარ დროებში გამოიგონეს მესოპოტამიისა და ირანის ხალხებმა ე. წ. რებუსული შრიფტი.

ამავე გზით განვითარდა კორეელებისა და ანნამიტების დამწერლობა.

უძველეს დროშივე შეიქმნა ეგვიპტური რებუსული შრიფტი, რომელიც დღესაც ამშვენებს ეგვიპტის ხუროთმოძღვრების უბრწყინვალეს ძეგლებს.

ფინიკიელთა ალფაბეტი ითვლება მთელი თანამედროვე ხალხების დამწერლობის საფუძვლად. ცნობილია ალფაბეტი ნიგურიელი თურქებისა, რომელმაც წარმოშვა მანჯურიისა და მონღოლეთის დამწერლობა.

არამეულ-სირიული შრიფტი დაედო საფუძვლად ზენდისა და პეხლევის შრიფტებს. მეცნიერები აგრე ვარაუდობენ: აქედანვე წარმოდგა სანსკრიტული. ბერძნული რომ ფინიკიურიდანაა წარმოშობილი, ამას ადასტურებენ არა მარტო თავათ ბერძნები, არამედ თვით სახელები ბერძნული ასო-ნიშნებისა: ალფა—ფინიკიურად ნიშნავს „ალეპს“ — ხარს, „გამმა“ — აქლემს და ა. შ.

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი რევოლუცია შეიტანა გუტენბერგის გამოგონებამ ამ დიდ საქმეში. ევროპის ხალხებმა აითვისეს ეს ტექნოლოგია შრიფტისა.

ჩვენ ვიცით, თუ როგორის ყურადღებითა და რუდუნებით ექცეოდნენ ევროპის ხალხები თავიანთი შრიფტების მეურნეობის პროგრესის საქმეს.

არსებითად, ჩვენს პლანეტაზე არც თუ მრავალია შრიფტი. ცნობილია ძველსპარსული ჰანგური შრიფტი, იაპონური კატაკანა, არაბული ნეში, სანსკრიტული, ჰებრაული, ბენგალური, ტიბეტური, რუნული, ლათინური, სომხური, ქართული, ბერძნული, რუსული, სლავური, ეგვიპტური.

ევროპის დასავლეთის ხალხებმა დიდის წარმატებით აითვისეს და განავითარეს ლათინური, ხოლო რუსებმა — სლავური შრიფტი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე რეფორმირებულ იქნა მრავალგზის და იგი ამჟამად ლათინურსა და ბერძნულს უფრო წააგავს, ვიდრე სლავურს.

დიდის რუდუნებით ვუვლიდით ჩვენ და სომხები ჩვენს შრიფტებს. თვალი გადაავლეთ მრავალ ათას ხელთნაწერს, ჩვენს მუზეუმებში დაცულს და დარწმუნდებით, თუ როგორი განსაცვიფრებელი სიყვარულით მოუვლიათ ჩვენს წინაპრებს შრიფტებისათვის.

ეს გასაოცარი კალიგრაფია არაფრითა ჰგავს ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ჯღაბნას, სამწუხაროდ, არც ჩვენი ლიტერატურისა და პრესისათვის განკუთვნილ „ლეტებს“ — ჩამოსხმულ ასოებს, რომელნიც სიამის ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს და ამიტომაც დიდ მანძილებზე უსაშველოდ ღლიან მკითხველის თვალს.

დაათვალიერეთ ქართული ბიბლიის თარგმანები, ოთხთავები, ფსალმუნები, „ვეფხისტყაოსანი“, აქ კალიგრაფებს ხელოვნება მოუშველებიათ.

ყოველი აბზაცი ასომთავრულით იწყება და ეს უკანასკნელი წარმოდგენილია როგორც რომელიმე ფრთალამაზი ფრინველი.

თავის დროზე მე დამითვალიერებია ჰოლბაინის სატიტულო ფურცელი, გერმანული რენესანსის ჟამინდელი, გოტური ასოები, იზრაელ ფონ მეკენრის მიერ შესრულებული, ვენეციური და ნიდერლანდური სამკაულები ყდისა და პირველ ასოთა, ჰოლბაინისეული წიგნის ყდა, წიგნთსამკაულები ანტვერპენული და ფრანგული, წიგნის ერთი გვერდი, დიდი ოსტატობით შესრულებული მორისის მიერ ლონდონში.

როგორც მთელს მსოფლიოში, ისე ევროპასა და ჩვენში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდის დიდი გასაქანი არა ჰქონდა ბეჭდურ ხელოვნებას. ცხადია, მსოფლიო პრესამ დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში. შილლერის და გოეტეს დროს წიგნს თვით ავტორები სცემდნენ, რადგან მშრომელი კლასი უწიგნური იყო და არისტოკრატიას კი არც ეცალა წიგნის საკითხავად.

ბურჟუაზია დაინტერესდა წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმით, რა თქმა უნდა, არა ხელოვნების სიყვარულით, არამედ მერკანტილური მოსაზრებებით.

საფრანგეთში შეიქმნა დიდი რომანი, რომლის თავკაცები იყვნენ ჰიუგო, ბალზაკი, შატობრიანი და ზოლა.

ამ ავტორების იმ ჟამინდელი გამოცემანი ბევრსა გვაქვს ნახული და, ცხადია, იქ არც თუ ჰოლბაინის დარ მხატვრებს აფორმებინებდნენ წიგნს, არამედ ტიპოგრაფიული ნიშნებით აწყობდნენ როგორც გარეკანს, ისე მთელს ტექსტს გამოსაცემი მასალისას. ბურჟუაზიის ხელში წიგნი გახდა ისეთივე სასპეკულაციო საგანი, როგორიცაა ხორცი, შაქარი და ღვინო.

ერთი ბედნიერება თან დაჰყვა ბერძნულიდან ევროპულ ენებზე გამოცემულ წიგნებს; ასომთავრულით დაწყება ტექსტისა, ასომთავრული წერტილის შემდეგ, ასომთავრული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბეჭდვისას.

ხუცური გვერდს არ უვლიდა ასომთავრულს, ამიტომაც ფრიად უცნაურია ქართულმა მხედრულმა არა და არ აითვისა ეს კარგი ტრადიცია.

ამ საკითხების გამო მე ადრეც დავწერე ერთი წერილი. ჩემამდისაც იყო ცდა ასომთავრულის შემოღებისა, მაგრამ ეს უშედეგოდ დარჩა. არც მწერლებმა და არც პოლიგრაფისტებმა, არც შრიფტის კომიტეტის წევრებმა ხმა არ გაიღეს.

* * *

1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ „მემნონის“ რედაქტორი.

ერთხელ მან ხელიდან გამომართვა ჩემი ბლოკნოტი, რომელშიაც ლამაზი ხელით ჩაწერილი იყო ერთი ლექსი.

ხელნაწერი გულდასმით დაათვალიერა და მთხოვა სტამბურად ნაბეჭდი წიგნი მიმეტანა. ბოლოს მომთხოვა მე თავათ დამეწერა რაიმე.

ყოველი ასო დავუწერე ჩემთვის მისაწვდომი კალიგრაფიული ხელით. სამი დღის შემდეგ მეწვია და მთხოვა ქართული ენა მესწავლებინა მისთვის. მხოლოდ ერთის პირობით, მე თავათ ვივლიო გაკვეთილებზე.

„რასა ბრძანებთ, ბატონო პროფესორო, მასწავლებელიც რომ არ ბრძანდებოდეთ ჩემი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული კაცი ხართ“... ვერასგზით გადავარწმუნე და ეს სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი ჩემთან დადიოდა და ენერგიულად სწავლობდა ქართულს.

საოცარ ამბებს დავაკვირდი ამასობაში, თითქმის ყოველ ქართულ სიტყვას ხან არამეულ ძირს გამოუძებნიდა, ხან ბერძნულს, ხან არაბულს. სამი თვის შემდეგ დასასვენებლად წავიდა და ქართულად მომწერა პირდაპირ კალიგრაფიული ხელით დაწერილი ბარათი: დიდი მადლობა, თანაც მიმიპატიჟა თავის ვილლაში. „ახლა უნდა მოგახსენოთ, ბატონო დოქტორო, მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება.

ერთია მხოლოდ აღსანიშნავი: ამ უაღრესად მრგვლურ ასონიშნებს უთუოდ ესაჭიროება ასომთავრულის თანდაყოლება, რადგან თქვენი ალფაბეტი დიდ მანძილზე უთუოდ თვალს დაუღლის მკითხველს“.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართულ შრიფტს პატრონი და გამკითხავი არა ჰყოლია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი ჩვენი მოღვაწის უანგარო ღვაწლს. ესენი, დიახაც, ზრუნავდნენ ამ საქმისათვის, მაგრამ მათ საამისოდ არც გემოვნება ჰყოფნიდათ და არც რესურსები.

საბჭოური ხელისუფლების დამყარებამდის მთელი ქართული, სტამბურად დაბეჭდილი ლიტერატურა სულ სამიოდე თვის საკითხავი იყო. დღეს ჩვენ სულ სხვა ეპოქაში შევედით.

ამ დრომ მოითხოვა გრანდიოზული სასახლეები, ასეთივე საჰაერო რაკეტები — უზარმაზარი „ლაინერები“ — სახაზო გემები; ქართულ მწერლობაში დაფუძნდა დიდი რომანი, რომლის გულდასმით წაკითხვას მთელ თვესაც ვერ შესძლებს გულდინჯი მკითხველი.

ქართულად ითარგმნა დიდტანიანი კლასიკური რომანები, პოემები და პოლიტიკური ნარკვევები.

ეს მდგომარეობა თავისთავად მოითხოვს ქართული შრიფტის რეფორმას. აუცილებლად საჭიროა შემოვიღოთ ასომთავრული, როგორც წიგნის ტექსტის დასაწყისში, ისე საკუთარ და გეოგრაფიულ სახელების აღნუსხვისას. იგივე ითქმის წერტილიდან დაწყებული ფრაზის მიმართ.

აზიის ზოგ ხალხებს დღემდის არა ჰქონიათ ასომთავრული და ეს გასაგებია, მათი პოლიგრაფია არც თუ ისე განვითარებულია; გარდა ამისა, ამ ხალხებში ანალფაბეტების რიცხვი ისე სჭარბობს, ალბათ არც საჭიროებენ ამგვარ რეფორმას. ეგზომ დიდი კითხვადობა მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რამდენად აღმოფხვრილია ამა თუ იმ ხალხის წრეში უწიგნურობა — ანალფაბეტიზმი.

* * *

მისასალმებელია გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივა ასომთავრულით დაწყება ტექსტური პერიოდებისა, მაგრამ ეს არამც და არამც არა კმარა. უცილოდ საჭიროა ასომთავრულით დაწყება ყოველი ახალი ფრაზისა, ასომთავრულით დაწერა გეოგრაფიული და საკუთარი სახელებისა.

ჩვენში, სხვათა შორის, ერთი ურიგო ჩვეულებაც არსებობს: ყოველ კაცს უნდა კომისიის თავმჯდომარეობა და წევრობა, მაგრამ ზოგს თავათ ავიწყდება ნაკისრი მოვალეობა.

თბილისში არსებობს საშრიფტო კომიტეტი, მაგრამ მისი არსებობა მხოლოდ ნომინალურია. საჭიროა ამ კომისიამ უფრო გულმოდგინედ მოჰკიდოს საქმეს ხელი. ეს არის უთუოდ გადაუდებელი და საშური საქმე.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საოცრებათა დიდ სამყაროში



აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი



1



2



3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დიდ ლაბორატორიაში მეცნიერთა მთელი კოლექტივი მუშაობს პრობლემებზე, რომლებსაც ჭეშმარიტად განუზომელი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო მეცნიერების წინსვლისათვის. აქ მკაფავენ ახალ გზებს ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლის სფეროში. მეცნიერთა ზემოხსენებულ კოლექტივს სათავეში უდგას გამოჩენილი ფიზიოლოგი, თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის მამამთავარი, საქართველოში ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი აკად. ივანე ბერიტაშვილი, რომელსაც გასული წლის დეკემბერში დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტები ესტუმრნენ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დიდ ლაბორატორიას და ფირზე აღბეჭდეს ამ ლაბორატორიის დაძაბული მუშაობის ერთი დღე.

ფოტოებზე: 1. მიმდინარეობს კურდღლის ბაჭიის ტოტალური გასხივება რენტგენის აპარატით.

2. ცდამ კარგად ჩაიარა. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები კმაყოფილი არიან. მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. მღვდლაძე, კ. კაკაბაძე, ე. კაზიანი, მ. ჯანჯღავა.

3. ტვინის ქერქის და ქერქქვეშა ნივთიერების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელ ლაბორატორიაში. მარცხნივ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ს. ნარიკაშვილი, მარჯვნივ — უფროსი მეცნიერ-მუშაკი ს. ბუთხუზი.

4. მეცნიერ-მუშაკი მერი კაკულია (მარჯვნივ) და ლაბორანტი ნ. გოქსაძე.

5. ექსპერიმენტი იონიზირებული გამოსხივების გავლენის შესასწავლად. ინსტიტუტის თანამშრომლები — კ. კაკაბაძე და ნ. მღვდლაძე.

6. მიმდინარეობს ცდა ცხოველების ხანგრძლივი მეხსიერების შესასწავლად. მარცხნიდან — აკად. ი. ბერიტაშვილი, ინსტიტუტის თანამშრომლები — კ. მარტიროსოვი, ი. აივაზაშვილი, ნ. გელაშვილი, ლ. გუგუშვილი.

7. შუქსიგნალისა და ზარის ხმის შემდეგ ცდის ქვეშ მყოფი ძაღლი გამოდის გალიიდან და მიემართება საკვებიანი ყუთისაკენ.

ფოტო ო. თურქიასი და ვ. კახოვისა





5



6




ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო დოლიძე

ვიქტორი მეტად მოუსვენარი, მუდამ რაიმე ახლით გატაცებული ყმაწვილი იყო — ხან მუსიკით და მაშინ მთელი დღეები უკრავდა, ან მღეროდა: ხან რომელიმე ახალი წიგნით, ხან კიდევ რაიმე ძიებით ტექნიკის სფეროდან, — ვთქვათ უცებ ტელეფონს მოაწყობდა პირველი სართულიდან მეორეზე, ან ელექტრონის ყველა მრიცხველებსა და შტეპსელებს შეაკეთებდა, ადგილიდან ადგილზე გადაანაცვლებდა. ერთხელ გრამაფონიც კი გააკეთა თვითონ. არ ვიცი, ვფიქრობ, რომ მემბრანა იშოვა სადმე, თორემ ასე სახელდახელოდ როგორ გააკეთებდა, ან სად ექნებოდა ყველა ხელსაწყო ასეთი სათუთი და რთული დეტალისთვის. ისე კი ნამდვილი გრამაფონი იყო. მშვენიერი საყვირით (სადღაც ეშოვნა თუნუქის ფურცელი, შესანიშნავად მოედრიკა და საჭირო ფორმა მიეცა). ზამბარი წესიერად მუშაობდა, ფირფიტების საყრდენი ტრიალებდა, ყუთიც ხომ თვითონ გამოჭრა და კიდევაც შეღება ისეთივე მოყვითალო ფერებით, როგორც ჩვეულებრივ ღებავდნენ იმ დროს გრამაფონებს; რეზონანსიც წესიერი იყო. მახსოვს, არავის სჯეროდა, რომ თვითონ ვიქტორმა გააკეთა ეს გრამაფონი. იგი დიდხანს შერჩა ჩვენს ოჯახს, სანამ ნამდვილი გრამაფონი შეიძინეს, და ეს — ვიქტორისეული, ჩვენ, ბავშვებს გადმოგვილოცეს. ჩვენც მალე მოვუღეთ ბოლო.

სმენა ბავშვობიდანვე კარგი ჰქონდა. ჭერ კიდევ ოზურგეთში, ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა, თურმე ყველა მეზობელ საპატარძლოების გიტარის ამწყობი ეგ იყო. გურიაში ხომ ქალი ვერ გათხოვდებოდა ისე, რომ გიტარაზე არ დაემღერა „სულიკო“ მაინც, სულ ერთია ჰქონდა მას ხმა ან სმენა თუ არა. ვიქტორს მეხსიერებაში დიდხანს ჩარჩა ასეთი უხმო, ნამეტნავად განაზებული პატარძლების სიმღერა და ისე ბაძავდა მათ, რომ სიცილით გვხოცავდა.

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭს — კომერციული სასწავლებლის მეექვსე-მეშვიდე კლასის მოსწავლეს უკვე მუსიკოსის სახელი ჰქონდა გავარდნილი ნაცნობ-მეზობლებში თუ ამხანაგებში.

ვიქტორი უკრავდა მრავალ ინსტრუმენტზე — გიტარაზე, მანდოლინაზე, ვიოლინოზე, როიალზე, რა ვიცი, თუ რაიმე ინსტრუმენტი შეხვდებოდა, ყველაფერზეააწყობდა ხმას. და ეს თვითონ, თავისით, სმენით, იმიტომ რომ მუსიკის სერიოზული სწავლა გვიან დაიწყო.

ვიქტორს უყვარდა ცა, ვარსკვლავები, იტაცებდა კოსმოსის საიდუმლოებანი. მახსოვს, თვრამეტცხრამეტი წლის ჭაბუკი შეგვყრიდა უმცროსებს სადმე აივანზე (ეს უკვე თბილისში, ახლანდელ კლარა ცეტკინის ქუჩაზე. შემდეგ ის სახლი დაინგრა ქუჩის გაფართოების გამო, მარტო კაკლის და აკაციის ხეები, მაშინ რომ დარგა ოჯახმა, შერჩა აქამდე), დაგვსვამდა მოაჯირთან და გვაჩვენებდა ცდომილებს, ვარსკვლავებს, გვიამბობდა ირმის ნახტომის საიდუმლოებაზე, სხვადასხვა თანავარსკვლავედის დაჯგუფებებზე. აქვე გადმოგვცემდა ძველ ბერძნულ, რომაულ თუ ასირიულ მითებს და გვიხსნიდა რის გამო შეერქვა ესა თუ ის სახელი სხვადასხვა ვარსკვლავებს.

აქამდე მახსოვს მისი ცოცხალი, მუქი, როგორღაც პრიალა დიდი თვალები, ფერმკრთალი სახე, გამტაცებელი, ამყოლი სიტყვები. მოყოლა ხომ საუცხოო იცოდა. როგორც შემდეგ თავის ოპერებში, თავით ბოლომდე იტაცებდა ხოლმე მაყურებელს სანახაობით, ისევე გატაცებული საუბარი იცოდა. არ შეიძლებოდა თავით ბოლომდე არ მოგესმინა იგი, სულ ერთია სასაცილო ანეგდოტს ჰყვებოდა რომელიმეს, გულის ამყუჩებელ ამბავს, ოდისეის მოგზაურობას, ედგარ პოს შემაძრწუნებელ მოთხრობებს, თუ ძმები კარამაზოვების სატანჯველ გზას, ან თუ გინდ იმ შორეული ვარსკვლავების გამო ჰიპოტეზებსა და ხან და ხან შეიძლება სრულებით დაუსაბუთებელ, საკუთარ დასკვნებს, — ყურის მოწყვეტა ძნელი იყო. ის ყოველთვის გიტაცებდა, და მისი ყოველთვის გჯეროდა. მახსოვს ისე მოგვაჯადოებდა ხოლმე სამყაროს ამ უდიდესი საიდუმლოებით, ისე გვიტაცებდა, რომ მერე სიცოცხლის ყოველდღიურობა, სხვა ოცნებები ისეთ წვრილმანად მიგვაჩნდა, რომ აღარა გვინდოდა რა, თუ არა ზეცა, ვარსკვლავეთი. კოსმოსი, ეს უძირო საიდუმლოება, მისი გახსნა, ოდნავ მაინც ფარდის აწევა, — აი რისთვის ღირს სიცოცხლე, სხვა ყოველივე წვრილმანია, ფუჭი, უღირსი...

მაგრამ, აი, ვიქტორი სხვა გუნებაზეა, და უმალვე ჩვენი პატარა ბინა აგუგუნდება, ახმაურდება „კარმენის“, „პიკის ქალის“, „აიდას“, „ტოსკას“, თუ „ჯამბაზების“ მელოდიებით. ვიქტორი კარგად მღეროდა, უკეთ რომ ვთქვათ, კარგად ასრულებდა მრავალ საოპერო არიასა თუ სიმღერას. ახალგაზრდობისას მას საამო, მუსიკალური ხმა ჰქონდა, ტენორი, ის ხომ სიმღერას სწავლობდა ერთ დროს პროფ. რიადნოვთან, და ყელის ავადმყოფობა რომ არა, იქნებ მომღერალი დამდგარიყო. ხან სულ არ შეეძლო სიმღერა, ხან კი ისე ლამაზად, ისეთი მუსიკალობით და გემოვნებით ასრულებდა საყვარელ არიებს (განსაკუთრებით უყვარდა ხოზეს „არია ყვავილით“ და უკვე განწირული კავარადოსის არია „ტოსკადან“ — „ვარსკვლავნი კრთოდნენ“). ახლაც მახსოვს ეს მომხიბლავი ბგერები... ვიქტორს ხომ სასიმღერო ხმა აღარა ჰქონდა, მაგრამ ალბათ ისე კარგად ჰბაძავდა ზღაპარივით მომხიბლველ ბულბულს — ვანო სარაჯიშვილს, ისე ათვისებული ჰქონდა მისი მანერა, მუსიკალობა, ტემბრი (ვანო ხომ შეუდარებელი იყო ამ პარტიებში), ისე ფაქიზად გადმოსცემდა მისი ხმის მოქნილობას, ტემპერამენტს, ლირიზმს, რომ ყოველთვის აღტაცებას იწვევდა.

„ვანოა, ვანო, ეს დალოცვილი — იტყოდნენ მსმენელნი“, და რამდენჯერ უთქვამთ ვიქტორისათვის — შენ მომღერალი უნდა ყოფილიყავიო. ვიქტორი გაიცინებდა: „—ვითომ რა, კომპოზიტორად მიწუნებთ თუ?“...

ხან გვიმღეროდა, ხან გვიყვებოდა სხვადასხვა კომპოზიტორის, თუ მათი ნაწარმოების ბედ-იღბალზე, როგორ არ გაუმართლა ბიზეს სიცოცხლეში მისმა უბადლო „კარმენმა“, რა მძიმე ხვედრი ჰქონდა ბეთჰოვენს, ან როგორ ფეიერვერკივით აფრინდა უცებ როსინი. და როცა მუსიკალურ, თუ სასიმღერო ხასიათზე დადგებოდა, ისე გაგიტაცებდა მუსიკის, ამ მაღალი ხელოვნების მწვერვალებისკენ, რომ ახლა უკვე სხვა აღარა გინდოდა რა.

ჰო, საოცარი გატაცების უნარი ჰქონდა ვიქტორს, ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც იცოდა გატაცება მთელი გულით, მთელი არსებით. ამით თუ აიხსნება ის, რომ ყოველი მისი ნაწარმოები, ყოველთვის გულწრფელი, ხალასი გრძნობით ჩაგონებული, საკუთარი, ორიგინალური მელოდიით გაულენთილი და დიდი შთაგონებით იყო შექმნილი, და არა ნაძალადევად შეთხზული მეტი ეფექტის მოსახდენად, თუ ცოდნის გამოსამჟღავნებლად.

ვფიქრობ, სწორედ ამ გულწრფელობით და უშუალობით იტაცებდა და აქამდე იტაცებს იგი მრავალრიცხოვან მსმენელს, ისევე, როგორც ბავშვობაში ჩვენ — პატარა და-ძმებს გვხიბლავდა თავისი თხრობით თუ მუსიკით. მართლაც, მე არ მახსოვს და ალბათ არც ვინმეს ახსოვს, რომ ვიქტორის რომელიმე ახალ ნაწარმოებს ხალხი ცივად შეხვედროდა და უხვი ტაშით თუ ოვაციებითაც არ დაეჯილდოებინა, სულ ერთია კომიკური ოპერა იყო ეს თუ დრამატული, სიმფონიური პოემა, საფორტებიანო კონცერტი, რომანსი თუ ვიოლინოს პარტია. შეიძლება შემდეგ, როცა დაფიქრდებოდნენ, გაითვალისწინებდნენ, ანალიზს გაუკეთებდნენ, მრავალი ნაკლი ენახათ და აღენიშნათ (ხშირად მეტიც, ვიდრე სინამდვილეში იყო). არც საკვირველია, აბა რა არის უნაკლო, ან რად იქნებოდა ვიქტორ დოლიძე უნაკლო, მით უფრო, თავის ადრინდელ ნაწარმოებებში, — მაგრამ თეატრში, ესტრადაზე მოსმენის დროს ყველა ერთთავად იხიბლებოდა, თვით ყველაზე უფრო მომთხოვნი სკეპტიკოსებიც აღფრთოვანებულნი ტაშს უკრავდნენ და ვაშას გაიძახოდნენ, მხოლოდ შემდეგ დერეფანში კი გაიგონებდი: „არა, მაინც, აი აქ, კუპლეტური ფორმაა“, ან „ორკესტრის თანხლება გაუბრალოებულია“, და მისთანანი...

მაგრამ ეს სკეპტიკოსები კიდევ და კიდევ ისეთივე ხალისით ესწრებოდნენ ამ სპექტაკლებს, თუ კონცერტებს და კვლავ კმაყოფილებით უსმენდნენ ვიქტორის ნაწარმოებებს, ისეთი დიდი იყო ამ კაცის ხალასი ნიჭით შთაგონებული გატაცების უნარი, ისეთი გულწრფელი იყო ყოველი მისი მუსიკალური ფრაზა, ყოველი კომიკური, თუ დრამატული სიტუაცია; ისე ბუნებრივად, ორგანულად შერწყმული იყო მუსიკა და მოქმედება მის ნაწარმოებებში; არაფერი ძალად მოზიდული, მოქმედების ნაძალადევად გაძლიერებისათვის, ან რაიმე რთული პასაჟების გამოყენება, ხშირად მარტო თავისი ცოდნის დემონსტრაციისთვის; არაფერი ზედმეტი, ნაძალადევი, არა რეალური, იმიტომ, რომ იგი მუდამ თვითონვე განიცდიდა თავის გმირების ყოველ სიტუაციას, თითქო უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული თავის მსმენელთან; და როგორც ჩვენ, ბავშვებს გვიტაცებდა ხოლმე თავისი ამბებით თუ სიმღერით ოდესღაც, ისევე იტაცებდა ხალხს, იმიტომ, რომ ხალხი ბოლოს და ბოლოს ისეთივე გულწრფელი, ამყოლი, ისეთივე შემგრძნობია ყოველი ხალისიანის, გულწრფელის, როგორც ბავშვი.

ვიქტორი მუშაობის დროსაც ისეთივე დაუცხრომელი იყო, როგორც ყოველთვის. ახლა მაგონდება ერთი ამბავი. ვიქტორის გარდაცვალების ცოტაოდენი ხნის შემდეგ სტუმრად თუ საქმეზე ვიყავი გმირთა მოედანზე, ასბინიან სახლში, ვიქტორის მომდევნო თაობის ერთი კომპოზიტორის ოჯახში. ჯერ მეუღლესთან ვიჯექი სასადილო ოთახში, მშვენიერ ახალ ბინაში (რის მსგავსი ვიქტორს არ ღირსებია). მეუღლემ დიდი მოკრძალებით მაცნობა, რომ „ქმარი მუშაობს, და ჯერ ნუ შევაწუხებთო“. კარგა საათნახევარი შევექცით საუბარს, — ცოტაოდენი საქმე მქონდა თვითონ მასთან, ბოლოს, ყურადღება მივაქციე, რომ ეს კომპოზიტორი რაღაც ძალიან ჩუმად მუშაობს, ალბათ პარტიების გადაწერით არის-მეთქი გართული, გავიფიქრე, და არა ახლის შეთხზვით. მაგრამ შევეშვდი, რადგან იმ დროისთვის კომპოზიტორების მდგომარეობა, და კერძოდ ჩემი მასპინძლის, იმდენად გაუმჯობესებული იყო, რომ მათ აღარ სჭირდებოდათ ნოტების თავისი ხელით გადაწერა, და ამ მექანიკურ საქმეზე იმდენი დროს დაკარგვა, რაც ეს წინათ, ვიქტორის დროს ხდებოდა. და თუნდაც გადაწერის დროსაც, ასეთი სიწყნარე... უცებ მომაგონდა, როგორ მუშაობდა ვიქტორი თუნდაც პარტიების გადაწერის დროს.

აი, ის ზის ჩვენს აივანზე, თუ ზაფხულია, ან არა და სასადილო ოთახში (რომელიც ამავე დროს მისივე და მიმყოლი ძმის საძინებელი ოთახიც იყო) მაგიდასთან, და იწერს თუნდაც ორკესტრის პარტიებს. უცებ წამოვარდება, ვიოლინოს დასტაცებს ხელს, ან როიალთან მიირბენს, ან თვითონვე დაამღერებს, თუნდაც საყვირის ხმის მისაბაძად. აქვე მოიგონებს, რა შესანიშნავად ჟღერს ვთქვათ ვერდის „აიდაში“ ასევე საზეიმოდ განწყობილი საყვირები. მერე ჩაიცინებს: „რად არ შეიძლება, გადმოიღო და მორჩე, მას ხომ შესანიშნავად აქვს ეს გაკეთებული, უკეთ ვერ მოახერხებ“, აქვე ააჟღერებს „აიდას“ საზეიმო მარშის ხმებს. „ჰა, ხომ ბრწყინვალეა! ხანდახან ვფიქრობ, ნეტა რას ვჩხირკედელაობთ, ყველაფერი უკვე დაწერილია, და უფრო გენიალურად, ვიდრე რომელიმე ჩვენგანს ძალუძს“... დაუკრავს, დაამღერებს, მერე წამოვარდება, ოთახში გაივლ-გამოივლის, ახლა საკუთარ მელოდიას დაამღერებს, გაიმეორებს, მოუსმენს, თითქო ვინმე სხვა ასრულებდეს, და ღიმილით წავა მაგიდისკენ. „არა, არის კიდევ რაღაც დაუწერელი“, ჩაილაპარაკებს და ისევ უჩუმრად დაიწყებს წერას. რამდენიმე სტრიქონი ან ფრაზა, და ისევ: „აბა, ნახე, ცუდია?“ და ისევ დაამღერებს ან დაუკრავს, კიდევ ერთხელ მოსინჯავს, როგორ ისმის ეს ხმა ამჯერად, განცალკევებით, და ისევ წერს. თუნდაც არავინ ჰყავდეს მსმენელი, თვითონ თავისთვის დაამღერებს, მოსინჯავს, და ისევ სიჩუმე, სულ ცოტა ხნით...

აქ კი, როცა შევედით ამ შესანიშნავ მდიდრულ კაბინეტში, ცოდვა გატეხილი სჯობია, ვერ მოვითმინე, ამ უზარმაზარ, კომფორტაბელურ საწერ მაგიდას მივუახლოვდი და ფარულად გავაპარე მზერა მასპინძლის სამუშაო მაგიდაზე, რომ მივმხვდარიყავი, რაზე მუშაობდა იგი ასე წყნარად. ის სწერდა, კი არ გადაწერდა (რას იკადრებდა!) არა, რაღაც ახალს სთხზავდა. მის წინ იდვა ნოტის სუფთა ქაღალდი და იგი თითო სტრიქონს რაღაცა ახალს ჰქმნიდა. დასწერდა ერთ ფრაზას, ჩაფიქრდებოდა, კიდევ რამდენიმე ნოტს მიაწერდა, მეთექვსმეტედს,

---

თავი წიგნიდან „ვიქტორ დოლიძე“.

# ჭროლა ავად არის...

შავთვალწარბა ქალიშვილს საწვიმარი ლაბადა თავზე დაუფარებია და მზად არის გასაქცევად.

— სად გარბიხარ, შვილო! მოიცადე, გათენდეს, ცოტას მაინც გადაიდარებს! — შეშფოთებულია დედა.

— რამდენი ხანია ვიცდი, თავი მომაბეზრა ამ გაუთავებელმა წვიმამ. — თინას თვალები აუწყლიანდა.

— ადექი, კაცო, გაჰყევი ამ ბავშვს, ხიდზე წყალი იქნება გადმოსული, — თავზე წამოადგა მძინარე მეუღლეს ანა.



— მერე მე რომელი გემის კაპიტანი მნახეთ?... დაიცადოს, წვიმა გადაიღებს და წყალიც დაწყდება.

— ვერ მოვიცდი, ვერა... საჭიმე დედალი გუშინ მოწყენილი იყო. არც კვერცხი დაუდვია, არც არაფერი ჩაუშვია პირში...

— მერე ერთი ქათმისათვის იკლავ, გოგო, თავს? ამდენ ქათამში წელიწადში ერთი უნდა მოკვდეს, აბა, როგორ გინდა ახლა შენ? თუ მართლა ასეა საქმე, მოჭერი თავი, ღვინო აგერაა და პატარა ლხინი გავაჩაღოთ... — „გაამხნევა“ მამამ ქალიშვილი.

— მარტო ერთ ქათამზე კი არ არის საქმე, მამი! ერთის ავადმყოფობა ხვალ მთელ ფერმას მოედება და...

— ჰო, კაი ახლა... თუ კი ასეა, რა გაეწყობა, აბა, წავიდეთ!

მამამ წყლით დაფარულ ხიდზე გაიყვანა ქალიშვილი და დაარიგა:

— იცოდე, თუ ჭროლა ავად დაგიხვდა, დაუყოვნებლივ გაიქეცი ნაზისთან... ის ჯერ კანტორაში არ იქნება, სახლში უნდა მიაკითხო. მართლა ჭირი არ ჰქონდეს იმ სამგლეს და ფერმა არ ამოგვიწყვიტოს, თავი არ მოგვჭრას საქვეყნოდ... აბა შენ იცი!

გადაუღებლად წვიმს სამტრედიაში.

მოსავალი უკვე დაბინავებულია. ჭირუტყვს საკვები არ აკლია, მაგრამ კოლმეურნეები მაინც წუხან, ცოტაც კიდევ ეცლია ამ დალოცვილსო.

წვიმს აქაც, სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმების ტერიტორიაზეც. აღარ გაისმის მამლების გაუთავებელი ყივილი, დედლების კრიახი, შეშინებული, გასაფრენად გამზადებული ქათმის ფრთების ტლაშუნი; დროგამოშვებით რომელიმე ამპარტავანი მამალი თუ გამობრძანდება გარეთ.

თინამ სწრაფად გამოაღო ფერმის უშველებელი კარები.

მომვლელის დანახვაზე ქათმები შეჯგუფდნენ, გახალისდნენ, კისრები დაიგრძელეს, ჭროლა დედალი კი, რომლისათვისაც ამდენს სწუხდა თინა, არსად ჩანდა.

— გშიათ, ქოჩორებო? მოითმინეთ, ჯერ გაისეირნეთ, მე საბუდრები უნდა დაგისუფთაოთ, ახალი წყალი მოგიტანოთ...

თურმე ქათმებსაც უყვართ ალერსი... საფრთხე ხომ ათასნაირი მოელით — ეს ასკარიდებიო, ჭირიო და კიდევ ვინ მოთვლის რა...

თინა გვიშიანი აგერ თითქმის ათი წელიწადია სამი ათასამდე ქათამს უვლის. ჯერ არც ერთი ავად არ გახდომია. გუშინ საღამოს კი ჭროლამ უეცრად მოიწყინა. თინამ ავადმყოფს ნისკარტთან მიუტანა წყალი, ჭროლამ უარი თქვა...

თინამ რიკულები დაალო, მამლებმა ყელი მოიღერეს და ამაყად წაუძღვნენ წინ თავიანთ მრევლს. ჭროლა კი ისევ ქანდარაზე ზის და თავი ფრთებში ჩაურგავს. საცოდავი, როცა კარგად იყო, ვერავინ გაასწრებდა გარეთ, კვერცხებსაც სხვებზე მეტს დებდა, ჭამის დროს სულაც არ იყო ხარბი. ახლა კი ავად არის და ქათმებს თითქოს დაავიწყდათ მისი აქ ყოფნა.

თინამ შეუსვენებლად დაასუფთავა იატაკი, საბუდრები, ქანდარები, სარწყულებლები ახალი წყლით შეავსო, ქათმებს საკვები მისცა, კარები გამოკეტა და სირბილით გაუდგა გზას სოფლისაკენ.

— თინა, კანტორაში მიდიხარ? მოიცა, რაღაც უნდა დაგაბარო — გამოსძახა მეზობელ ფერმიდან ციალა თოდუამ.

— არა, ნაზისთან მივდივარ!..

— რა მოხდა?

— რა და, ჭროლა მეორე დღეა უხასიათოდ არის, ჩემი ბრალია, გუშინვე უნდა მეთქვა ექიმისათვის, მაგრამ უკვე გვიან იყო, ფერმაში რომ რაიმე ავადმყოფობა გაჩნდეს, ხომ უნდა მოვიკლა თავი!..

მეურნეობის ვეტექიმი ნაზი მეიშვილი, ცოტა არ იყოს, დააფიქრა ამ ამბავმა. ავადმყოფობა არასგზით არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ფერმაში, თავის დროზე ჩატარდა ჭირისა და ხოლერის საწინააღმდეგო აცრები, მაშ რა უნდა მოსვლოდა ადგილობრივი საუკეთესო ჯიშის ქათამს?

...ჭროლა ქანდარიდან ჩამოსულიყო და ახლა საბუდრის წინ იჯდა გაყუჩებული. ნაზიმ ხელში აიყვანა იგი და კარგა ხანს ატრიალა. აქ იყვნენ ციალა თოდუა, თინა და ჩიტო გვიშიანები, ბრიგადირი ჭიჭიკო გეგუჩაძე.

— ჭია ჰყოლია შენს ჭროლას! — მშვიდად თქვა ბოლოს ექიმმა.

— ჭია? მე კი ქვეყანა შევყარე, რაღაც საშინელება მეგონა, ვიფიქრე, მთელი ფერმა ამოწყდებოდა ერთბაშად...

ნაზიმ ჭროლას ასკარიდების საწინააღმდეგო წამალი მისცა და საბუდარში ჩასვა.

მშენებლებს (ფერმის ტერიტორიაზე ახლახანს დაიწყეს საკვების დამმუშავებელი საამქროს მშენებლობა) შესვენებაზე საუზმე გაეშალათ ჯერ კიდევ გადაუხურავ შენობაში და თინასთან კაცი გამოგზავნეს, ქათამი თუ არ მორჩება, აქ მოგვგვარეთ, დაე, ჩვენ გადაგვედოს ავადმყოფობაო.

— მოშორდით აქედან, ჯერ საქმე დაამთავრეთ და მერე მე თვითონ ჩაგიხოხბავთ ერთ ბებერ მამალს, — დაუცაცხანა თინამ აბეზარ ბიჭს. ბიჭი ხითხითით შეუერთდა თანამოსაქმეებს.

— ამ დილით რამდენი კვერცხი შეაგროვეთ? — იკითხა ბრიგადირმა.

— შვიდასი. საღამოს ალბათ უფრო მეტი იქნება. — თქვა თინამ.

— კარგია!.. ჭროლა, როგორც ექიმმა გითხრათ, ცალკე მოათავსეთ საბუდარში, ქათმები ჰაერზე უნდა გაუშვათ, თუ არ ისურვონ, ძალით გარეკეთ, ამ დილით თევზის პასტა მიეცით? — დაინტერესდა ჭიჭიკო.

— კი, მხოლოდ ზოგმა უარი თქვა.

— აქაც ძალა უნდა ვიხმაროთ, ქათმებს ჭკუა ვინ მისცა?...

— მწვანე მასა ხვალისათვის არა გვაქვს, როგორმე უნდა ეცადო, ბრიგადირო, იგი ქათმებს ბლომად უნდა ჰქონდეთ.

— მე ახლა კანტორაში მივდივარ, ეგ საქმე ჩემზე იყოს!

...ფერმის შესასვლელში თინამ ამ ორიოდე წლის წინათ გამოაკრა ლამაზად დაწერილი დღის რეჟიმი:

„დილის 8 საათზე — კარის გაღება, სუფთა ჰაერზე ქათმების გაშვება; შემდეგ, საბუდრების, სარწყულებლების დასუფთავება, ახალი წყლის დასხმა. საკვების მიცემა (კომბინირებული საკვები, მწვანე მასა, თევზის პასტა), იატაკის დასუფთავება. 11 საათზე — ისევ საკვები, მერე კვერცხის შეგროვება; შემდეგ, ისევ დასუფთავება, წყალი, საკვები, ქანდარების ჩამოშვება. 5 საათზე კვერცხის შეგროვება და ჩაბარება. საღამოს ფერმაში ქათმების შერეკვა, სარკმლების დაკეტვა“...

ცოტა საქმეა?

ქალალდი უკვე გაცრეცილია, სიტყვები წაშლილია, ანდა რაში სჭირდება თინას თვალწინ გაკრული დღის რეჟიმი? არაფერში არ სჭირდება! აგერ ორი წელიწადია, არც შეუხედავს მისთვის, მაგრამ იყოს, ხანდახან მისი უმცროსი და, მეთერთმეტეკლასელი თამარი მოდის ფერმაში, დაე, მან იკითხოს, ისწავლოს როდის რა უნდა ქათამს. ვინ იცის, იქნებ ისიც გახდეს ფრინველთა დიდი ოჯახის დიასახლისი. რატომაც არა? თინას ოთხი და ჰყავს, ერთმა — ჩიტომ, უკვე კარგა ხანია აირჩია მეფრინველის პროფესია, ორი და გათხოვილია და ისინიც კოლმეურნეობაში მუშაობენ, თამარი კი, თამარი საშუალო სკოლას დაამთავრებს და აუცილებლად მოვა მეფრინველეობის ფერმაში; აბა ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ გული აქეთ რომ მოუწევს, ეს ჩვენი პროფესიის სიყვარულით არ მოსდის?

სამტრედიული ქათამი ძველთაგანვე განთქმულია თავისი გემოთი (თუმცა თინას იგი არასოდეს ემეტება დასაკლავად). ჰოდა, რახან ხელი მოჰკიდე მის მოვლას, სირცხვილიც არ უნდა ჭამო, უნდა გაამრავლო ეს სახელგანთქმული ჯიში.

თინას არც უჭამია სირცხვილი! შარშან იგი შრომაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მეურნეობის დირექციამ მაჯის საათით დააჯილდოვა.

ფერმა, რომელსაც თინა გვიშიანი უვლის, მეურნეობას ყოველდღიურად 1.800 ცალ კვერცხს აძლევს.

გუშინ და დღეს კი ორი კვერცხი დააკლდა სათვალავს, მაგრამ რა ვუყოთ, ამასაც უნდა შეურიგდეს კაცი!

ახლა ჭროლა მშვენივრად გრძნობს თავს. საკვებსაც მიირთმევს, წყალსაც სვამს, არც თევზის პასტაზე ამბობს უარს; უხმაუროდ შედის საბუდარში, კვერცხს დადებს და სხვა ქათმებივით ხმაურით კი არ აიკლებს იქაურობას, აქაოდა ყველამ გაიგოს ჩემი გმირობაო.

ფერმაში ყოველდღიურად ყივიან ამაყი მამლები, კრიახებენ დედლები, საღამოთი კი ჩამოშვებულ ქანდარებზე თვალებს მილულავენ მაძღარი, კმაყოფილი ფრინველები. თინა რაღაც საინტერესო წიგნს კითხულობს სახლში და მერე თბილ საბანში გახვეული, როგორც ყველა ახალგაზრდა, ოცნებობს მომავალ ცხოვრებაზე, სწავლაზე, ბედნიერ ოჯახზე, რა თქმა უნდა, არც თავის ქათმებს ივიწყებს. თინას გულით უნდა რაც შეიძლება მეტი მოამრავლოს საქვეყნოდ განთქმული სამტრედიული ჯიშის ქათმები.

ივერი ტაბიძე

---

თუ მერვედს, აკორდი და მისი ჰარმონიული გახსნა. იგი სთხზავდა ახალს ასე ჩუმად, დამშვიდებით, ყოველგვარი გატაცების გარეშე...

მაგონდება კიდევ ერთი შეხვედრა. ორმოციან წლებში, მაშინდელ ყორღანოვის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ხმა დაირხა, რომ მეზობელ სახლში გადმოვიდა, თუ გადმოდის მაშინ სულ ახალგაზრდა, თუმცა უკვე საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი.

და უცებ ახმაურდა მიდამო. აქამდე მიწყნარებულ სახლიდან მოვარდებოდა როიალის ხმა, მძლავრი გრუხუნი, მერე სიჩუმე, ისევ გრუხუნი, აკორდები, ხმაურიანი პასაჟები, ან სულ წყნარი მელოდიური ბგერები. ისევ სიჩუმე, და ისევ მუსიკა, ხან მინორული, წყნარი, ხან მაჟორული, გამახალისებელი. მივხვდი, რომ კომპოზიტორი უკვე დასახლდა მეზობელ სახლში.

არ დავასახელებ არც ერთს და არც მეორე კომპოზიტორს, რა საჭიროა, მე მხოლოდ საილუსტრაციოდ მოვიყვანე ეს მაგალითები და არა ვინმეს განდიდების ან დამცირებისათვის. რა თქმა უნდა, ყოველი შემოქმედი სხვადასხვანაირი ხასიათით, თავისებური, განსაკუთრებული შრომის უნარით გაირჩევა. და მაინც, ვფიქრობ, რომ არც მოცარტი, არც ბეთჰოვენი, როცა ახალ ნაწარმოებს ჰქმნიდნენ, ასე ჩუმად არ ისხდნენ თავიანთ კაბინეტებში და ალგებრული სისწორით არ სწყვეტდნენ დომინანტ სეპტაკორდების განვითარებას.

და ეს იმიტომ, რომ თუ შემოქმედი, სულ ერთია, მუსიკოსია იგი, ლიტერატორი, თუ ფერმწერალი, — თვითონ არ არის გატაცებული თავისი შემოქმედებით, იგი ვერასდროს გაიტაცებს და აიყოლიებს მსმენელს თუ მაყურებელს.

# მოკლედ უცხოეთზე

## კანონი — კანონია



ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ქალაქსა და შტატში მოქმედებს უცნაური კანონები, რომლებიც ოდესღაც ამა თუ იმ მიზეზის გამო მიუღიათ. ამ კანონებმა უკვე კარგა ხანია, რაც თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს, მაგრამ, რატომღაც, დღემდე არავის გახსენებია მათი გაუქმება.

ერთ-ერთი კანონის მიხედვით, ოკლახომას შტატში სასტიკად იკრძალება სანადიროდ სიარული... ქალაქის პარკებში; ილინოისის შტატში კლიენტებს უფლება არა აქვთ საპარიკმახეროებში... დაიძინონ; ამავე შტატის ზოგიერთ ქალაქში კი მოქალაქეებს ეკრძალებათ ღიღინით გაიარონ ქუჩაში.

ბოსტონში აკრძალულია კვირადღით ბანაობა, ლოს-ანჯელოსის მოქალაქეებს კი კანონი უკრძალავს ბინებში იყოლიონ... ბეჰემოტი.

## ტყვიის „წვიმა“



კალიფორნიის (აშშ) უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ოკეანეების ზედაპირზე ყოველწლიურად ეცემა 50.000 ტონაზე მეტი ტყვია.

როგორც გამოირკვა, ამ უცნაური „ნალექების“ ძირითად მიზეზს ავტომანქანები წარმოადგენენ: ძრავის შეუფერხებელი მუშაობისათვის ბენზინში, როგორც წესი, მცირე რაოდენობით უმატებენ ტეტრაეტილტყვიას. ეს ნივთიერებები მანქანიდან გაზებთან ერთად გამოიყოფა, ღრუბლებს უერთდება, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ისევ თავის წარმოშობ დედამიწას უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეპარატი პაპიროსის წინააღმდეგ

იუგოსლაველმა ექიმმა კურზიმანოვიჩმა დაამზადა პრეპარატი, რომელიც ადამიანს ეხმარება თავი დაანებოს პაპიროსის წევას.

ახალი პრეპარატი ძირითადად თამბაქოს შემცველი ნივთიერებებისაგან შედგება. ამ ნივთიერებათა მცირე დოზა, რომელსაც პერიოდულად იღებენ პაციენტები, არავითარ მავნე გავლენას არ ახდენს ორგანიზმზე.

წამლის მიღების შემდეგ ადამიანს ნიკოტინით მოყირჭების გრძნობა უჩნდება და პაპიროსის მოწევის სურვილი ეკარგება.



კურზიმანოვიჩის პრეპარატს ამჟამად სამედიცინო დაწესებულებებში ცდიან. გამოქვეყნდა ცნობა, რომ მკურნალობის სრული კურსის ჩატარების შემდეგ ასი პაციენტიდან სამოცდაათმა თავი დაანება თამბაქოს წევას.

## შოფერო გაიღვიძე!

ბალტიმორელმა პედაგოგმა (აშშ) ენდრო პაპამინომ მანქანით მოგზაურობის დროს საჭესთან ჩასთვლიმა, ავარია მოუხდა და, როგორც იტყვიან, ბეწვზე გადაურჩა დაღუპვას.

გამოჯანმრთელების შემდეგ პაპამინომ გადაწყვიტა დაემზადებინა ისეთი მოწყობილობა, რომელიც კონტროლს გაუწევდა შოფერს და საშუალებას არ მისცემდა საჭესთან დაეძინა.

რამდენიმე თვეში პედაგოგმა მართლაც შექმნა გონებამახვილური მოწყობილობა: მან შოფრის გვერდით დაამონტაჟა მინიატურული რადიომიმღები, რომელიც ზუსტად აღნუსხავს შოფრის პულსისა და გულისცემის ხმას. როგორც კი ეს ხმა მოყრუვდება და შემცირებას დაიწყებს—ეს კი ნიშნავს, რომ შოფერი ჩაძინებას იწყებს,—ავტომატურად ჩაირთვება ელექტროზარი და მანქანაში ცაბმით გაისმის გამაფრთხილებელი წკრიალის ხმა.



გამომგონებელი ირწმუნება, რომ ასეთი მოწყობილობა მარტივად მზადდება და მეტად იაფი ჯდება.

## სწავლა... ცეკვით

„ტვისტი“ თანდათან გამოდიოდა მოდიდან, როცა ამერიკაში მას ახალი დამცველები გამოუჩნდნენ. ზოგიერთი პედაგოგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ცეცხლოვან“ ცეკვას დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს... მოსწავლეებს.

მათი მოთხოვნით კომპანია „მოტივეიშნ რეკორდსმა“ დიდი რაოდენობით გამოუშვა ფირფიტები, რომლებზეც „ტვისტის“ მოტივზე ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და სხვა მეცნიერებათა საფუძვლებია ჩაწერილი. ადვილი მისახვედრია, როგორ „საფუძვლიან“ ცოდნას მიიღებენ ახალგაზრდები, რომლებიც შეუჩერებლად ცეკვავენ და ხმამაღლა იზეპირებენ გაკვეთილებს.

# რატომ უთეთრდება თმა ადამიანს?

გაჭაღარავება — თმის პიგმენტების დაკარგვას ნიშნავს. როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა, იგი, ჩვეულებრივ, ოცდათხუთმეტი წლის ასაკიდან იწყება. ამ ასაკში ადამიანს ჯერ საფეთქლებზე უჭაღარავდება თმა, შემდეგ კი კეფაზე. მაგრამ გაჭაღარავება შეიძლება უფრო ადრეც დაიწყოს (ეს დამოკიდებულია საყოფაცხოვრებო პირობებზე, კვებაზე, თმის ფერზე და სხვ.).

თუ ახალგაზრდა ადამიანი გაჭაღარავდა, ეს როდი ნიშნავს, რომ მისი ორგანიზმი დროზე ადრე დაბერდა. ასეთი პროცესი თმაში პიგმენტების წარმოქმნის შეცვლაზე მიგვითითებს. დროზე ადრე გაჭაღარავება, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობითაც გადაეცემა. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა ექვსი-შვიდი წლის ბავშვები გაჭაღარებულან.

ჭაღარა შეიძლება თანდაყოლილიც იყოს. ასეთ შემთხვევაში ნორმალური ფერის თმებში შეიმჩნევა ნასთი, რომელსაც ნაწილობრივ ალბინიზმს უწოდებენ (ლათინური სიტყვიდან „ალბუს“ — თეთრი).

მედიცინამ დროებით გაჭაღარავების შემთხვევებიც იცის. ასეთი მოვლენა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი წამლის, მაგალითად, რეზოქინის გადაჭარბებულმა მიღებამ. კანის დაავადებებს ხშირად მთლიანი ანდა ნაწილობრივი გაჭაღარავება მოსდევს. თავის კანის წითელი ქარისებური ანთებისა და ე. წ. ბუდობრივი გამელოტების შემდეგ, დაზიანებულ კანზე პირველად უფერული თმა იწყებს ამოსვლას. მძიმე ინფექციური დაავადებანი, სისხლნაკლებობა, ვიტამინების ნაკლებობა ანდა მათი ცუდი შეთვისება აჩქარებს გაჭაღარავებას.

გაჭაღარავების მიზეზი, ისევე როგორც თმის პიგმენტის დაკარგვა, ჯერ კიდევ აუხსნელი რჩება მეცნიერებისათვის. მაგრამ უდავოა, რომ გაჭაღარავებაში მთავარი როლი ნერვულ სისტემასა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს უნდა მივაკუთვნოთ. ეს იმითაც დასტურდება, რომ ზურგის ტვინის, ფარისებრი ჯირკვლების, თავის ტვინის სიმსივნისა და სხვა მსგავსი დაავადებების დროს ადამიანები შედარებით სწრაფად ჭაღარავდებიან.

შეიძლება თუ არა ვუმკურნალოთ გაჭაღარავებულ ადამიანს? ამ კითხვაზე მეცნიერება ჯერჯერობით უარყოფით პასუხს იძლევა. მართალია, საფრანგეთის სამედიცინო ლიტერატურაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ვიტამინების ხანგრძლივი მიღება თმას დაკარგულ პიგმენტებს უბრუნებს, მაგრამ ეს დასკვნები გულმოდგინე შემოწმებას მოითხოვს. საბჭოთა სპეციალისტების მიერ ჩატარებული დაკვირვებები ჯერ კიდევ არ ემთხვევა ფრანგი მეცნიერების მონაცემებს.

გაჭაღარავებული ადამიანები, როგორც ცნობილია, ხშირად იღებავენ თმას. ასეთ შემთხვევაში, ადამიანმა უმჯობესია დახმარებისათვის საპარიკმახეროს მიმართოს. თმის შეღებვა ურსოლის საშუალებით კანონით იკრძალება. ეს ნივთიერება თავის კანის, ყურებისა და სახის კანის მძიმე ანთებებს იწვევს. აღმდგენელი, რომელიც გოგირდსა და ტყვიას შეიცავს, ასევე ხშირად იწვევს ქრონიკულ მოწამვლას: ადამიანს ეწყება თავის ტკივილი, აწუხებს საერთო სისუსტე, ეკარგება მადა და ა. შ. წყალბადის ზეჟანგი, რომელიც თმას ოქროსფრად ღებავს, ძლიერ აშრობს თმას და იგი ადვილად მტვრევადი ხდება. გარდა ამისა ზეჟანგს კანის ანთებაც შეუძლია გამოიწვიოს.

თმის შესაღებად სრულიად უვნებელი საშუალებაა ხნა, ბასმა და გვირილის ნაყენი. ხნასა და ბასმას ერთმანეთში ურევენ (ბასმა, როგორც წესი, ცალკე არ უნდა ვიხმაროთ, იგი თმას მოლურჯო-მომწვანო ფრად ღებავს). ეს ნარევი თმას სხვადასხვა სასიამოვნო ფერს აძლევს (ღია ფერიდან — საკმაოდ მუქ ელვარებამდე).

უნდა გვახსოვდეს, რომ აღმდგენელის შემდეგ ხნასა და ბასმას გამოყენება დაუშვებელია. გვირილის ნაყენი, მართალია, თმას ლამაზ ოქროსფერ იერს აძლევს, მაგრამ ჭაღარა თმას იგი მაინც ვერ ღებავს.

ჩვენი მრეწველობა ამჟამად უშვებს საღებავს, რომელსაც „გამა“ ეწოდება. ამ საღებავით თავისუფლად შეგვიძლია შევღებოთ როგორც მუქი, ისევე ღია ფერის თმა. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, დიდი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანს, რომელსაც ჭინჭრის ციება, ეგზემა, ანდა კანის სხვა დაავადება აქვს, გამის მოქმედების შედეგად შეიძლება თავის, ყურებისა და სახის კანის გაღიზიანება დაეწყოს.

და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თმის ხშირად შეღებვა მავნეა — იგი თმის ცვენასა და შეთხელებას იწვევს.



# ორნი ქვეითად

ალექსი გოგუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

იქ სადაც ორი დაუდგრომელი ჩანჩქერი ერთმანეთს ერთვის, თეთრი ქაფის დუღილსა და ტალღების გრიალში იბადება მესამე, უფრო ძლიერი და გიჟმაჟი მდინარე.

წყლისპირს საცალფეხო ბილიკი მისდევს. თუ არ დაიზარებ და ამ ვიწრო ბილიკს ბოლომდე გაჰყვები, ერთ პატარა სოფელში შეხვალ, სადაც ჩემი მოთხრობის გმირები ცხოვრობენ: ძველი ნამგალივით დალეული პატარა ხუმპირი და ულალწვერა მთაკაცი — ხაჭილუათირი.

საოცარია, ისინი სულ ერთმანეთს დასცინიან, ეჩხუბებიან, მთელი კვირაობით უმძრახად დადიან, მაგრამ უერთმანეთოდ ცხოვრება მაინც არ შეუძლიათ. სწორედ იმ ჩანჩქერებსა ჰგვანან, რომელთა გრგვინვა-ქუხილში ჩაიარა მათმა სიჭაბუკემ.

იმ საღამოს ჩემი ბერიკაცები წაბლის ტყით დაჩრდილულ ბილიკზე შეხვდნენ ერთმანეთს. ტყიდან ხაჭილუათირი გამოვიდა. რეზინის მაღალყელიან ჩექმებს ტალახში მოატყაპუნებდა. ხელში თავისი განუყრელი კომბალი ეჭირა. ხუმპირი რომ დაინახა, ხეს მოეფარა და ერთი კი გაიფიქრა, უკან დავბრუნდებიო, მაგრამ ხუმპირს ვინ რას გამოაპარებდა. ის მდინარის პირას იდგა და ტალახიან კალოშებს ირეცხავდა. თითქოს ტანმა უგრძნო, რომ მისი ძმაკაცი აქ იყო და ისე სწრაფად მოიხედა, ხაჭილუათირმა დამალვა ვერ მოასწრო.

„სად ეშმაკებში მიაბოტებს? ვერ დაეტევა თავის ჭვარტლიან ქოხში?“ — ბრაზიანად გაიფიქრა ხუმპირმა და ისევ კალოშებს მიუბრუნდა.

„— რა დაგიშავე ასეთი, ღმერთო, რომ სადაც წავალ, ყველგან ეს არდასაცალებელი უნდა შემახვედრო“ — ჩაილაპარაკა ხაჭილუათირმა, ნაბდის ქუდი ოფლად გაღვარულ შუბლზე ჩამოისვა და რიხიანად მიესალმა.

— საღამო მშვიდობისა, დად! ასე გვიან სახლიდან რამ გამოგიყვანა!

— იცოცხლე, ჩემო კარგო მეზობელო! მაღაზიას მინდა მივუსწრო. შენ რატომ შეწუხებულხარ, დად! — მიუგო ხუმპირმა.

— საბჭოდან შემომითვალეს, ამ საღამოს აუცილებლად ჩამოდიო. რა ვქნა, არ შეიძლება, რომ არ წავიდე...

ხუმპირმა კალოშები გარეცხა, კალთები დაიბერტყა, პირისახეზე ცივი წყალი შეისხა და წელში გაიმართა. ერთიმეორეს ხელი ჩამოართვეს და გზას გაუდგნენ. უხალისოდ მიაბიჯებდნენ დაბურულ ბილიკზე. უხალისოდ იმიტომ, რომ ორივენი ერთსა და იმავე საქმეზე მიდიოდნენ და ერთმანეთს კი უმალავდნენ. საბჭოცა და მაღაზიაც ამიტომ მოიგონეს.

კარგად დაღამდა. ქარმა ღრუბელი თანდათან გადარეკა და ბერიკაცებს თავზე ისეთი ვარსკვლავებიანი ცა დაადგა, რომ ხუმპირმა ღიღინი წამოიწყო. თამბაქოს საშრობ ფარდულთან ვიღაცის ძროხა ბღაოდა. ნაწვიმარ ბილიკზე ალაგ-ალაგ გუბე იდგა. ხაჭილუათირი პირდაპირ ამ გუბეებში კამეჩივით მიაბოტებდა და წყალს ირგვლივ აშხეფებდა. ხუმპირი ერთ-ორჯერ განზე გაუხტა, მერე გულმოსულმა ხელი ჩაიქნია და თანამგზავრს წინ გაუსწრო.

გულზე ცეცხლი შემოენთო ხაჭილუათირს, ხუმპირი რომ ასე უპატივცემულოდ მოექცა. ჯავრიანად ჩაახველა და იმწამსვე მოიფიქრა, სამაგიერო როგორ გადაეხადა.

— ფეხით რატომ დადიხარ, დად ხუმპირ? შენი ხნის კაცს ამ ღორღებზე სიარული სად შეუძლია.— უთხრა მან და ულვაშებში ისე ჩაიცინა, დღე რომ ყოფილიყო, ალბათ ხუმპირს გული გაუსკდებოდა.

ხუმპირი წამიერად შეცბა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ენადაგვალული არც ის გახლდათ და სიტყვა მაშინვე ჩაუჭრა.

— უნაგირის კეხი გამიტყდა, დად! უბელო ცხენზე კი, ბალღი ხომ არა ვარ, რომ წამოვსკუპდე. შენი კი ძალიან მიკვირს, ხაჭილუათირ, ამოდენა კაცი ძლივს მოჩანჩალებ ამ აღმართზე. შენისთანა ცხენუნაგირი რომ მომცა...

ხუმპირმა აღარ დაამთავრა. არც იყო საჭირო, რადგან ხაჭილუათირი მაშინვე მიხვდა, სად უმიზნებდა ქრისტეს ფეხის მჭამელი ხუმპირი.

— ჩემს ძარღვებში პატიოსანი გლეხის სისხლი დუღს, ხუმპირ! მე არ შემიძლია ჩემი წინაპრების ზნე-ჩვეულებას გადავუდგე და... — ხაჭილუათირმა სიბნელეში კომბალი აღმართა და ვიღაცას დაემუქრა: — თავი უნდა გაუხეთქო იმისთანა უნამუსო კაცს, მაგრამ გული რომ არ მიშვებს!

ხუმპირმა ერთი კი ახედა მაღლა ამართულ კომბალს ნაბიჯს მოუჩქარა.

— ასე რამ გადაგრია, შე კაი კაცო?

— ისე მეკითხები, ვითომ არ იცი, რომ აგერ მეოთხე თვეა ჩემს იორღას ქუჩირი დააჭროლებს ალმა-დალმა! შენ თუ ბუღალტერი ხარ, კეთილი ინებე და საკუთარი ცხენი შეიძინე. სხვისას კი თავი გაანებე. ერთხელ დაგდე პატივი და იკმარე. ნამუსიც კარგი საქონელია.

— ბოდიში მაინც თუ მოიხადა?

— რას ამბობ! მასეთ კაცს ბოდიში დამცირებად მიაჩნია.

— ქუჩირმა მეც ძალიან მაწყენინა, ჩემო ხაჭილუათირ! რამდენი ხანია, ჩემი უნაგირი წაიღო და ახლა ხმას არ იღებს. ვითომ არ ახსოვს. მე კი ხომ იცი, სად ვცხოვრობ, სანამ იქიდან ჩამოვალწევ და ქუჩირს ვეახლები, რომ ჩემი თავი გავახსენო, მანამდე კიდეც დაღამდება. მერე ბნელში ამ კლდეებზე ფეხით უნდა ვილოღიალო.

— იმას არ გაუთენდა ხვალინდელი დღე. ცხენი ჩემი წაიყვანა, შენ უნაგირი გამოგართვა, მათრახი ალბათ სხვაგან ინათხოვრა. რაღა უჭირს, იცის ვაუბატონმა, რომ ჩვენში სირცხვილად ითვლება— მეზობელს წარამარა შეახსენო, ნათხოვარი ნივთი უკან დამიბრუნეო, ვალი გადამიხადეო. იცის და ამით სარგებლობს.

— მაგის წამალი მე ვიცი. ერთხელ ისეთი შიში ვაჭამე, მუხლებზე დაჩოქილი მევედრებოდა, მაპატიეო. ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა და მითხრა: „შენი ჭირიმე, ხუმპირ, მიშველე, შრომა-დღეებზე ფული რომ გეკუთვნის, ცოტა ხნით მასესხე, მევალე კარზე მომადგა და დანა ყელზე მომაბჯინაო“. რახან ეგრეა, კი ბატონო-მეთქი, ვუთხარი. უწყისზე ხელი ისე მოვუწერე, ჩემი ფული თვალითაც არ დამინახავს. იმ უსინდისომ მერე სხვებიც ასე მოატყუა, თურმე ფულს აგროვებდა ავტომანქანის შესაძენად. მაგრამ გაუგეს და შავი დღე დააყენეს. ხალხის ფული უკანვე მოატანინეს. მეც ავდექი და ვუთხარი: —ჩემო ქუჩირ, მე ყველაფერი ვიცი, ჩემი მოტყუება ძნელია-მეთქი. თანაც ლაპარაკში ერთი-ორჯერ ჩემი ძმისწული ვახსენე, ქალაქში რომ მსახურობს. მისი სახელის გაგონებაზე ქუჩირს ფერი ეცვალა, მამის ტოლა კაცი ხარ, მაპატიე, სისულელით მომივიდაო. მეც რა უნდა მექნა, ავდექი და ვაპატიე. ამ ბრიყვის გამო მის პატიოსან მამას, ბიძებს, ნათესავებს აბა როგორ ვაწყენინებდი. კრინტი არ დამიძრავს, ჯანდაბას მაგის თავიცა და ჩემი ფულიც-მეთქი — გავიფიქრე და კანტორიდან გამოვედი. მაგრამ შენ ახლა მიყურე, თუ ჩვენი ბუღალტერი ცხარე ცრემლით არ ვატირო ჩემი უნაგირის გამო. შენ ხომ იცი, მე ხუმრობა არ მიყვარს!

— ერთი ფეთება მეც ვუჩვენე ჩემი ცხენის მომტაცებელს! — ახლა ხაჭილუათირმა დაიწყო ტრაბახი, რომ მეზობლის თვალში ლაჩარი არ გამოსულიყო: — აი, იმ კვირას ქუჩირი გზაზე შემხვდა. დავინახე თუ არა, გავჩერდი და ყალიონი ამოვიღე, ვტენი ამ ყალიონს და ხმას არ ვიღებ, ვტენი და ხმას არ ვიღებ. ქუჩირი დამდუღრულივით ცხენიდან ჩამოხტა და ცეცხლი მომაწოდა. ისიც ხმას არ იღებს, მხოლოდ ქშინავს დასიცხული კამეჩივით... მე ჩემი ყალიონი გემრიელად გავაბოლე და გზას გავუდექი. მაშ რა მექნა? თვითონ არაფერი მითხრა და... მე ხომ ჩხუბს არ დავუწყებდი. მაგრამ დღეს კი, ჩემო ხუმპირ, უკან აღარ დავიხევ. თუ კიდევ სიტყვის ტკეპნა დამიწყო, ამ კომბალს ხედავ? ერთს ისეთს მივაყოლებ ზურგში, შენი მოწონებული... მერე წავიდეს და სადაც უნდა მიჩივლოს.

ასე ტრაბახობდა ეს ორი მოხუცი და თანდათან აჯერებდნენ ერთმანეთს, რომ ბუღალტერ ქუჩირს სამაგიეროს გადაუხდიდნენ.

სოფელი დაქანებულ ფერდობზე იყო შეფენილი. ყველაზე მაღალ ადგილზე კოლექტივის კანტორა იდგა. ამ სიმაღლეზე ამოსვლა ბერიკაცებს ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ შურისძიების წყურვილმა მათ მუხლებს სიფიცხე შემატა, და მათაც მთელი ის აღმართი სულ ცუხცუხით აიარეს.

* * *

მუხის ბოძებზე შემდგარი გამგეობის სახლი ბნელში უფრო მაღალი ჩანდა. ახლა აქედან სოცილი და ტაშფანდურის ხმა მოისმოდა. ეტყობოდა, ყანიდან დაბრუნებული ახალგაზრდები ძილს ჯერ კიდევ არ აპირებდნენ. ეზოში ორი ფარანი ბჟუტავდა. იქვე ხეივანში სავაჭრო ფარდული იდგა. ნახევრად გაღებული კარიდან მკრთალი სინათლე გამოდიოდა.

უსაშველო აღმართმა მოხუცებს ილაჯი გაუწყვიტა, ამიტომ სანამ გამგეობაში შევიდოდნენ, ცოტა ხანს ფარდულის წინ გამართულ სკამფიცარზე ჩამოსხდნენ, რომ უეცრად ნაცნობი ხრინწიანი ხმა გაიგონეს. ხუმპირმა ფარდულში შეიხედა, მერე ჩუმათ ჩაიცინა და ხაჭილუათირს ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

დახლთან ბუღალტერი ქუჩირი იდგა. ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და სადღეგრძელოს ეუბნებოდა თავის განუყრელ ძმაკაცს — ლუჯილს.

თაროზე შემოდგმული ლამფა ძლივს ანათებდა დახლზე დაწყობილ ბოთლებს და რაღაცა დასაყოლებელს. ფარდულის გამგეს ხელები გულზე დარდიანად დაეკრიფა და კედელს მიყრდნობოდა.

ქუჩირმა მოხუცები დალანდა თუ არა, ჭიქა დახლზე დადგა და გაჩუმდა. ფარდულის გამგე კი აბუზღუნდა.

— გეყოფათ. დაამთავრეთ! გვიანია! ნეტავ სად გადაიკარგა ეს ბოქლომი? — იგი ხვნეშითა და ბურდღუნით აფათურებდა იატაკზე ხელებს. გაისმა ცარიელი ბოთლების წკრიალი, ფარდულის გამგე ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ქუჩირი არ მოელოდა ორივე მოხუცის ერთად დანახვას, ამიტომ დაბნეულად მისჩერებოდა მათ. გრძნობდა, რომ უსიამოვნო ლაპარაკს ვერ გადაურჩებოდა. მაგრამ მოხერხებულმა მეგობარმა ლუჯილმა იხსნა ამ გასაჭირისაგან.

— გახსოვს, ქუჩირ, წელან რომ გითხარი, მარჯვენა თვალი მითამაშებს-მეთქი? ხედავ, რა მალე ამისრულდა? — მერე ხუმპირს მიუბრუნდა და ხმა უფრო დაუტკბა: — როგორ გამიხარდა შენი დანახვა! ქუჩირს კი მარჯვენა ყური უხურდა, მაშინვე ვუთხარი, ჩემო ძმაო, შენ დღეს ისეთ კაცს შეხვდები, ვისაც ძალიან უყვარხარ და შენთვის კარგი სიტყვა არასდროს არ დაენანება-მეთქი.

ეს რომ თქვა, ლუჯილმა ჭიქა შეავსო და ხაჭილუათირს გაუწოდა.

— ის კაცი ალბათ თქვენ ბრძანდებით, ჩემო ბატონო!

მოხუცები თავჩაქინდრულნი უსმენდნენ ლუჯილის პირფერულ სადღეგრძელოს. ხელში სავსე ჭი-

ქები ეჭირათ, დაბნეულობისაგან ის ჭიქები ვერც დაეცალათ და ვერც დახლზე დადგმა მოეხერხებინათ.

ლუჯილმა შეატყო, რომ ახლა ცეცხლის შენთება იყო საჭირო. ჭიქა მაღლა ასწია და რიხიანად შესძახა:

— დავლიოთ, ქუჩირ, ჩვენი სახელოვანი ხუმპირისა და ხაჯილუათირის სადღეგრძელო.

ამ შეძახილმა ბუღალტერი გონს მოიყვანა, ჭიქას ხელი დაავლო, ლუჯილის სავსე ჭიქას მიუჯახუნა და თქვა:

— ვკოცნი იმ ბაგეს, რომელსაც ეს ოქროს სიტყვები მოსწყდა. თქვენზე უფრო პატივსაცემი სტუმრები მე ჯერ არ მყოლია და ალბათ არასოდეს არ მეყოლება. თქვენი ჭირი წაგვეღოს მე და ლუჯილს!

ღვინო გადაჰკრა, ტუჩპირი შეიწმინდა და ლუჯილს ჩუმათ გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, მეტი კიდევ რა ვქნაო.

ლუჯილმა ჩაახველა და დაიწყო:

— ბოდიშს ვიხდი, რომ უნდა გავკადნიერდე და ჩემი სურვილები გამოვთქვა. კურთხეული იყოს მარად თქვენი სახელი. ერთი ღრუბელი არ მენახოს თქვენი ცხოვრების გზაზე. დღემდე ისე გიცხოვრიათ ამ ქვეყანაზე, რომ ხალხის წინაშე თავი არ შეგირცხვენიათ. თქვენი კარგი სახელი ჩვენი სოფლის კარგი სახელია. ჩვენში კაცს რომ გაუჭირდება, რჩევა-დარიგების საკითხავად თქვენთან მოდის. ხალხისათვის თქვენ არაფერი არ გეშურებათ, არც კეთილი სიტყვა და არც...

ლუჯილმა ისევ ჩაახველა და გულაჩუყებულმა განაგრძო.

— თქვენ განსაკუთრებით ჩვენისთანა გამოუცდელ ახალგაზრდებზე ზრუნავთ. დღე და ღამე იმაზე ფიქრობთ, რომ ჩვენ თავი არ შევირცხვინოთ. უნდა გამოვტყდე, ჩვენ არა ვართ ღირსი თქვენი ამაგისა. მაგრამ ჩვენ მუდამ გვახსოვს თქვენი ბრძნული რჩევა-დარიგება და ახლა ფიცსა ვდებთ, ამ ღვინის მადლი გაგვიწყრეს... არა, ქუჩირ?

ლუჯილს გული ამოუჯდა, სიტყვა ყელში გაეჩხირა და ალბათ ჭიქა სწრაფად იმიტომ გამოსცალა, რომ იმ სიტყვისათვის გზა გაენთავისუფლებინა. მაგრამ ქუჩირი უკვე მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან მისი განუყრელი მეინახე და წაავდო ენა. ქუჩირმა თქვა, რომ თუ მთელი სოფლის მცხოვრებლები მხოლოდ მთის ძირში იმყოფებიან, ხუმპირი და ხაჯილუათირი ერცახუს მწვერვალზე ბრძანდებიანო. ისინი ხელუხლებლად ინახავენ ძველ ადათჩვეულებებს და ქვეყანა რომ დაიქცეს, იმ ადათჩვეულებებს არასდროს არ უღალატებენო.

— ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებულნი ვიყოთ, — ჩაურთო სიტყვა ლუჯილმა და ულვაშებში ჩუმათ ჩაიცინა. — მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ გამოლეულა ისეთი ადამიანები, მამა-პაპათა წმიდა წესებს თვალისჩინივით რომ უფრთხილდებიანო.

ბერიკაცები გაოგნებულნი უსმენდნენ ენაწყლიან მასპინძლებს.

ფარდულის გამგე დროდადრო გვერდზე გადაიწევს, დახლის ქვეშ ბნელში ხელებს აფათურებს და ჩუმათ ბუტბუტებს: „რა იქნა? სად წავიდა ის ტიალი!“ ამ ფათურსა და ფაცაფუცში იგი ცარიელ ბოთლებს წამოედო და ისინიც იატაკზე გაგორდნენ. მერე ისევ ხკამზე გასწორდა და ბალნიანი მკლავები გულზე დაიკრიფა.

— გმადლობ, დად! ყველა საქმეში გამარჯვებული მენახო, შვილო! — თქვა ხაჯილუათირმა. მისი ტუჩები ღიმილს გაეპო და თამბაქოსაგან გაყვითლებული სწორი კბილები გამოეჩინა: — ჩვენ, ბერიკაცები აწი რისი მაქნისი ვართ... ცალი ფეხი უკვე სამარეში გვიდგას, მაგრამ ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს — ახალგაზრდების. ჩვენ მეტი არაფერი გვინდა, მხოლოდ იმდენი შეგვძლებოდეს, რომ ცოტა ხანს კიდევ გემსახუროთ, უზანგი მაინც დაგიჭიროთ ხანდახან. — ხაჯილუათირმა ჭიქა გამოსცალა. გულაჩუყებულმა ხუმპირმაც გაიღიმა და მეგობრის მაგალითს მიჰბაძა.

რამდენიმე ჭიქა რომ გადაჰკრეს, ბერიკაცები გამხიარულდნენ. მათი დარდი და ნაღველი სადღაც გაჰქრა.

მთვრალი ბუღალტერი პირში ენას ძლივს აბრუნებდა, მაგრამ ხაჯილუათირს მაინც აქებდა: ამისთანა გლეხი სოფელში მეორე არ არისო. ამ ბერიკაცის სუფრაზე განა ყველს დაჭრიან და ისე მოიტანენ? როგორ გეკადრებათ! წველა-წველა დაახვავებენ, მიირთვი, რამდენიც გინდაო. ახლა საფუტკრეს არ იკითხავ? ცხენით ვერ შემოუვლი, იმოდენაა. ცხენიც ისეთი გაზარდა, ავ თვალს არ ენახვება. შეჯდომას ვერ მოასწრებ — უკვე მიფრინავს და თვალის დახამხამებაში ზღვის პირზე გაგიყვანსო. მერე რა გულკეთილი კაცია ეს ხაჯილუათირი. მხედავს, მის ცხენზე მე ვზივარ, მაგრამ გეტყვის საყვედურს? შენც არ მომიკვდე. პირიქით გამიცინებს და მეტყვის: „წადი შენს გზაზე არხეინად, მე მეგობარს ცხენზე არ გავცვლიო“.

— რას ამბობ ქუჩირ! ცხენიდან როგორ ჩამოგაგდებ კაცო! — შესძახა გულმომბალმა ცხენის პატრონმა — მადლობა ღმერთს, ჯერ სინდისი არ დამიკარგავს, შენ ჩვენი გულისათვის შრომობ, ციფრებმა თვალები ამოგილამა, ცხენს როგორ დავიშურებ შენთვის.

ქუჩირი კი ახლა ხუმპირს მიუბრუნდა.

— იცი, ლუჯილ, ხუმპირისთანა უნაგირი ძველად თავადიშვილებსაც არ ჰქონდათ! ნამდვილი აფხაზურია, ვერცხლით მოკაზმული, და ასეთ უნაგირზე მე ვზივარ, მე... ასეთი პატივი მცა ხუმპირმა. არაფერი არ ენანება ჩემთვის.

— ქუჩირ, — აფუსფუსდა მოთაფლული მოხუცი, — თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეს მეორედ აღარ მითხრა... უნაგირი რა არის შე კაცო, მაგაზე გაწყენინებ?

— ასეთი ხელგაშლილი კაცი ჯერ არ მინახავს ამ ქვეყანაზე — ხმა შეიმაღლა გახარებულმა ბუღალტერმა: — შენ ერთი ყურში ჩააწვეთე, უნაგირი მჭირდებაო და ნატვრაც მაშინვე აგისრულდება.

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი, ნუ მაწყენინებ, ქუჩირ! — შეევედრა ხუმპირი.

ისინი ერთხანს კიდევ საუბრობდნენ, ხალისიანად იცინოდნენ, ეხვეოდნენ და აქებდნენ ერთმანეთს. ამ ლაპარაკსა და ღვინის სმაში ხაჯილუათირს ერთბაშად მოეჩვენა, ქუჩირი და ლუჯილი ერთმანეთს ტყუპებივით ჰგვანანო. ორივეს თხელი და სწორი ცხვირები ჰქონდა სუფთად გაპარსულ პირისახეზე. ორივენი ერთი სიმაღლის ტანშედგმული ვაჟკაცები იყვნენ და პრიალა, ერთნაირი ჩექმები ეცვათ.

მერე ყველანი კარისაკენ მიტრიალდნენ. ფარდულის გამგე მაშინვე წამოხტა, ბოქლომიც იმ წამსვე იპოვნა, ეზოში გასულ შეხმატკბილებულ ამფსონებს კარი სწრაფად მიუჯახუნა და ჯერ ურდული გაუყარა, მერე ბოქლომიც ჩამოკიდა.

ქუჩირმა და ლუჯილმა სიბნელიდან ცხენები გამოიყვანეს და ისე სწრაფად მოახტნენ ზურგზე, ბერიკაცებმა უზანგზე ხელის მოვლებაც ვერ მოასწრეს.

ქუჩირი ათამაშებდა ხაჯილუათირის თეთრონს. იმ თეთრონის ზურგზე ხუმპირის მოვერცხლილი უნაგირი ბრწყინავდა.

— ნახვამდის, ბედნიერად გაგითენდეთ ხვალინდელი დილა! — შესძახა ქუჩირმა და ცხენი ადგილიდან მოსხლიტა.

ლუჯილმაც მოხუცებს თავი დაუკრა და მეგობარს დაედევნა.

წუთი და... ფიცხი ცხენების თქარათქური სიბნელეში მისწყდა.

ჩვენი ბერიკაცები კი გამგეობის დაცარიელებულ ეზოში კარგა ხანს იდგნენ და ერთმანეთს ჩუმათ შეჰყურებდნენ. ისინი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ როგორ ურცხვად ისარგებლეს მათი ალალი და დანდობილი გულით ქუჩირმა და ლუჯილმა.

ხუმპირს უნდოდა ეთქვა, ყველაფერი ჩვენი ბრალიაო, მაგრამ შეეშინდა, ხაჯილუათირი დამცინებსო და გაჩუმება ამჯობინა. ხაჯილუათირმა კი ნაღვლიანად გაიფიქრა: „რაღა ჩემი თეთრონი და რაღა ეს ყინულოვანი ერცახუ! ჩემთვის ორივე უსარგებლოა“.

ბერიკაცებმა ჩუმათ ამოიოხრეს და ასევე ჩუმათ შინისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ.

აფხაზურიდან თარგმნა
მერი ლორთქიფანიძემ



## უცნობი

ის ცხოვრობს ახლოს,
სადღაც ჩემს ახლოს,
მე ჩემით ვარქმევ მას ათას სახელს.
რაღაც უცნობი მოწყენა ახლავს
მის მოხუცებულ და გამხდარ სახეს.

ბაღში დასდევენ ბავშვები ბავშვებს
და სიხარულით ართობენ ხეებს,
შემოდგომის მზე თანდათან ავსებს
ყვითელი ფერით სექტემბრის დღეებს.

ის ისე უსმენს ბავშვების სიცილს,
თითქოს საკუთარ ბავშვობას ხედავს.
და მე მგონია, მან კარგად იცის
ამ შემოდგომის ფერი და სევდა.

ის შეუმჩნევლად შემოდის ბაღში
და მიდის თავის საყვარელ სკამთან,
იღებს ფანქარს,
თეთრ ალბომს გაშლის
და ფოთოლცვენის მოწყენას ხატავს.

* * *

ხელში მიჭირავს მაგნოლიის დიდი ყვავილი,
როგორც უძველეს ფაიფურის
თეთრი ლარნაკი,
პირამდე სავსე ზღვის სურნელებით
და ვსვამ ჩამავალ მზის სადღეგრძელოს.
ამ მზეს ეკუთვნის
გარუჯული და ალგზნებული
ჩემი სხეული.
და ყველა ნერვი,
ყველა ძაფი,
ყველა ქსოვილი,
გაჟღენთილია სიყვარულით და ალტაცებით!...

* * *

მე ვარ მასპინძელი,
სტუმრის მეხათრება,
მაინც მოვილხინეთ როგორც გვეკადრება!
უცებ მოგვანათა ოქროს კელაპტრებად
ჩვენმა თბილისმა და... გულზე ჯახანია!...
ირგვლივ ჭრიჭინების ჩუმი ლალანია,
მთვარეს კოჯრის გზაზე სახე ებადრება.
თვალით არ მინახავს, უკვე რა ხანია,
—ახლა იმერეთის მოები მენატრება.



# სხვა და სხვა

## ტელეფონი ყრუმუნჯებისათვის

იზრაელის სწავლულები ახლა მუშაობენ ისეთი კონსტრუქციის ტელეფონზე, რომელიც ყრუმუნჯებს ერთმანეთთან გასაუბრების საშუალებას მისცემს. აპარატი შესდგება ხუთკლავიშიანი გადამცემისა და მემბრანიანი მიმღებისაგან. კლავიშების მოქმედებით წარმოიშვება სხვადასხვა სიხშირის რხევები, რომლებიც შეიგრძნობა მემბრანის მიერ და გადაეცემა მსმენელის თითებს.

## რობოტი დასეირნობს ქუჩებში

ბუდაპეშტში, ტანაჩ-ბულვარზე გამვლელები მეტად გაოცებულნი ჩერდებოდნენ. მათ შორის მოულოდნელად გამოჩნდა 170 სანტიმეტრი სიმაღლის ალიუმინის რობოტი რობი, იგი სეირნობდა და თავის ზრდილობიანი დაკვრით ესალმებოდა ადამიანებს; როცა ჩერდებოდა, იწყებდა სიმღერებს და წარმოთქვამდა ლექსებს.

რობი მარტო სეირნობის დროს იქცევა ასე: „სამსახურში“ კი იგი იძლევა სხვადასხვა ინფორმაციებს და ეწევა საქონლის რეკლამირებას.

# ფეხბურთი და მაყურებელი

გურამ ფანჯიკიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სასახლეში, ოქროს მედლების გადაცემის დღეს.

მაყურებელი საფეხბურთო სანახაობის ორგანული ნაწილია; საფეხბურთო აჟიოტაჟი, გულშემატკივრებით გაჭედილი ტრიბუნები, შეძახილები და ოვაციები არა მარტო ჰქმნის დიდებულ და საზეიმო განწყობილებას, არა მარტო აძლიერებს, ამძაფრებს და ალამაზებს ასპარეზობის სპორტულ და სანახაობითს მხარეს, არამედ ზემოქმედებას ახდენს ფეხბურთელებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის ანგარიშზეც კი. ხალხური ანდაზა ამბობს: „შინ საკუთარი კედლებიც გეხმარებიანო“. ეს გამოთქმა ყველაზე უფრო ფეხბურთისათვისაა ზედგამოჭრილი, რადგან აქ „კედლებს“ სტადიონის ტრიბუნები წარმოადგენენ; ამ ტრიბუნებზე ათეულათასობით მაყურებელი ზის, რომლებიც გამაყრუებელი შეძახილებით ამხნევებენ თავიანთ გუნდს.

თუ უბრალო სტატისტიკას გადავხედავთ, თითქმის ყველა გუნდი საკუთარ მოედანზე უკეთეს შედეგებს აღწევს, ვიდრე გასვლით თამაშებზე.

ფეხბურთელს აღაფრთოვანებს მაყურებლის მხარდაჭერა. დაცინვა კი აბნევს და ანერვიულებს. მაყურებლის უარყოფითი რეაქცია ყველაზე უფრო ახალბედა ფეხბურთელებზე მოქმედებს. საკმარისია მაყურებელმა მხარი არ დაუჭიროს ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომ იგი სამუდამოდ შეიპყროს მოედნის შიშმა, დაკარგოს სიმხნევე, ინიციატივა. მაყურებლის უარყოფითი რეაქცია თვით უძნელეს საფეხბურთო ასპარეზობაში გამოწრთობილ ფეხბურთელებზეც კი მეტად ცუდ ზეგავლენას ახდენს. მოსკოვში, ევროპის თასზე, შვეციის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრის წინ, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა ურუგვაელებთან. ჩვენმა ფეხბურთელებმა სძლიეს სამხრეთ ამერიკელებს, მაგრამ საერთოდ თამაშმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, რამაც სამართლიანად აღაშფოთა მაყურებელი. იმავე საღამოს, სპორტული გადაცემისას, რადიოთი გამოვიდა ნაკრების მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი. მან მაყურებლებს თხოვნით მიმართა, მომავალში ფეხბურთელების მიმართ ასე აშკარად არ გამოეხატათ დაცინვა და აღშფოთება, რადგან ისინი ძალზე ნერვიულობენ და თამაში აღარ გამოუდითო.

— ფეხბურთელებს მოედანზე სჭირდებათ მხარდაჭერა, წაქეზება და არა დაბნევა და განერვიულება, — თქვა მან.

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს. მოსკოვში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ახლა თურქეთს ეწვივნენ. მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თურქებს რევანში სწყუროდათ. ვალერი ვორონინი იგონებს: „მოედანზე გამოვედით თუ არა, მაყურებლის ღრიანცელმა გამაყრუა. როცა ორკესტრმა თურქეთის ჰიმნი შეასრულა, მთელმა ხალხმა თვალები მაღლა აღაპყრო და ისეთი ვედრებითა და ფანატიზმით აღსავსე ხმით იმღერა ჰიმნი, მეგონა ტანზე ათასი ჭიანჭველა მაინც დამესია-მეთქი. მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი რამ არსად არ მინახავს. თითქოს შიშმა შემიპყრო, დავიბენი და ბურანში გავეხვიე“.

„— მე ძალიან მომწონს და ხშირად ვიმეორებ ერთი მექსიკელი ტორეადორის სიტყვებს, — თქვა ერთხელ შოთა იამანიძემ, — „როცა კორიდაზე გამოვდივარ, მყავს ორი მტერი — ხარი და მაყურებელი. მე ვიცი როგორ ვებრძოლო პირველს, მაგრამ არ ვიცი რა მოვუხერხო მეორეს“. რასაკვირველია, ეს ცოტა გადამეტებულია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გამოხატავს ფეხბურთელისა და მაყურებლის დამოკიდებულებას, მაყურებელს უყვარს კარგი, გააზრებული, ლამაზი ფეხბურთი, გულშემატკივარს განსაკუთრებით სიამოვნებს, როცა გამარჯვებას მისი საყვარელი გუნდი აღწევს.

ფეხბურთელსაც უყვარს ობიექტური, ფეხბურთის ნიუანსებში გარკვეული მაყურებელი. მაყურებელი, რომელიც ტაშს უკრავს არა მარტო გატანილ ბურთზე, არამედ იმ ძირითად ფაქტორებზე, რომელიც მიმართულებას აძლევს და წარმართავს მატჩს.

— პირადად მე, როცა მოედანზე გამოვდივარ და ტრიბუნებზე ცარიელ ადგილებს ვხედავ, — განაგრძობდა შოთა, — თითქოს განწყობილება და ხალისი მეკარგება. ფეხბურთი წარმტაცი და ლამაზი სანახაობაა, ამ სანახაობას ძალზე ავსებს და აძლიერებს მაყურებელი. მე ბედნიერება მქონდა ბრაზილიაში დავსწრებოდი რამდენიმე მატჩს. სამწუხაროდ, ფეხბურთელები იშვიათად გამოვდივართ მაყურებლების როლში. იქ განსაკუთრებულად ვიგრძენი თუ ამ დიდ სანახაობაში როგორ ერწყმის ერთმანეთს მაყურებელი და ფეხბურთელი. მხოლოდ ერთ მატჩს გავიხსენებ. რიო დე ჟანეიროში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ფლამენგო“ და „ბოტაფოგო“. მატჩის დღე ბრაზილიაში ნამდვილი ფიესტაა. საფეხბურთო განწყობილება ჯერ კიდევ დილიდან დაიწყო. მაყურებლები ექვსი-შვიდი საათით ადრე გაემართნენ სტადიონისაკენ (ბრაზილიაში ყოველთვის ცდილობენ მნიშვნელოვანი მატჩები უქმე დღეებს დაემთხვეს). „მარაკანას“ წინ იყიდებოდა მაშხალები, სპეციალური რევოლვერები და ფუჭი ვაზნები. სტადიონის შესასვლელთან ჯგუფჯგუფად იდგნენ მუსიკოსები: ტრიოები, კვარტეტები, კვინტეტები. მსურველებს, რომლებსაც ჯიბეში სათანადო გარანტია აქვთ, შეუძლიათ დაიქირაონ ორკესტრი და სტადიონზე გვერდით მოისვან. მათი სათაყვანებელი გუნდის მიერ გატანილი გოლი სათანადო გამოხმაურებას პოულობს მუსიკალური თვალსაზრისითაც.

თქვენ წარმოიდგინეთ, სან პაულოს ახალ სტადიონზე გათვალისწინებულია სამწვადე მაყლებიც კი.

ახლოვდებოდა თამაშის დაწყების დრო. გუნდები კი არ ჩანდნენ. მოედანზე ირეოდა უამრავი ფოტოკორესპონდენტი. ისინი დარბოდნენ, აპარატებს აჩხაკუნებდნენ, მიკროფონებს ამზადებდნენ. ყველას დაგვეუფლა რაღაც სასიამოვნო მოლოდინის განწყობილება.

„ფლამენგო“ რიო დე ჟანეიროში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ გუნდში არც ერთი ვარსკვლავი არ თამაშობს. ტრიბუნების ნახევარი „ფლამენგოს“ გულშემატკივრებით იყო სავსე. მათ ხელში თეთრი დროშები — ფლამენგოს კლუბის ალმები ეჭირათ. ქალიშვილებს კი დროშის მსგავსი მატერიისგან შეკერილი კაბები ეცვათ. სტადიონის მეორე ნახევარზე „ბოტაფოგოს“ გულშემატკივრები ისხდნენ. ისინი ცისფერ ალმებს აფრიალებდნენ.

მატჩის დაწყების დრო მოვიდა. ფეხბურთეელბი კი არ ჩანდნენ. ფოტორეპორტიორები და ჟურნალისტები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და გამოსასვლელთან ირეოდნენ.

უცებ მოედანზე გამოჩნდა ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმული „ფლამენგო“. ნახევარი სტადიონი ფეხზე წამოდგა. ტრიბუნაზე იქუხა მუსიკამ. „ფლამენგოს“ გულშემატკივრები გამაყრუებელი სროლითა და ალმების ფრიალით შეხვდნენ საყვარელ გუნდს. „ბოტაფოგოს“ მომხრეებმა კი სტვენა და ყვირილი ატეხეს.

როცა მოედანზე „ბოტაფოგო“ გამოჩნდა, ყველაფერი პირიქით მოხდა.

გუნდები მოედანზე გამწკრივდნენ. დიქტორმა მათ მიკროფონით ჩამოუარა და ყველას პატარა სიტყვა ათქმევინა. ბევრი ფეხბურთელი უმოწყალოდ ტრაბახობდა, ეს მაყურებლებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ მომხრეები ტაშს მაინც უკრავდნენ.

დაიწყო თამაში. მაყურებელი ისე ორგანულად ჩაერთო ამ სანახაობაში, რომ რაღაც საოცრად სასიამოვნო განწყობილება დამეუფლა. მაყურებლის რეაქცია თითქოს უფრო ლამაზსა და ადვილად შესაგრძნობს ხდიდა მატჩის ყოველ ეპიზოდს.

ეს იყო რიოს შტატის უკანასკნელი



ლეილა აბაშიძეს ლანგარით მოაქვს საჩუქრები დინამოელებისათვის.

თამაში. ანგარიშს მათი სატურნირო მდგომარეობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ფეხბურთელებსაც დიდი მონდომება არ ეტყობოდათ. მაგრამ საქმეში მაყურებლები ჩაერივნენ. წამახალისებელი შეძახილები, მუსიკა, სროლა, ალმების ფრიალი... ფეხბურთელები ეშხში შევიდნენ და ერთმანეთს თავდაუზოგავად ეკვეთნენ.

გარინჩამ ბურთი მიიღო, მოწინააღმდეგის მოედანზე შეიჭრა, მაგრამ... ბურთი წაართვეს.

ხალხმა ამოიგმინა, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლება გარინჩასაც წაართვან ბურთი. მაშინ კი გაბრაზდა გარინჩა, გაბრაზდა და... მოწინააღმდეგის კარში სამი ბურთი გაიტანა.

ყოველ გატანილ გოლს ისეთი სროლა მოჰყვა, კაცს რომ თვალი დაგეხუჭა, თავი ფრონტზე გეგონებოდა.

როცა ბურთი ბადეში გაეხვევა, ფეხბურთელები ეხვევიან გოლის ავტორს, ჰკოცნიან, ერთმანეთს ზურგზე ახტებიან. ზოგი მუხლებზე ემხობა. პელე ყოველი გატანილი გოლის შემდეგ ხელებს ზეცისკენ იშვერს. თითქოს ღმერთს უხდის მადლობას. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ათი ბურთი რომ გაიტანონ და თავის კარში არც ერთი არ გაუშვან, მეათე ბურთსაც კი ასეთივე ექსცენტრიული მიზანსცენებით შეალამაზებენ. მახსენდება შვეციის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ფილმი. როცა ვავამ საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში მეორე გოლი გაიტანა, თანაგუნდელები ისეთი გახარებული ეძგერნენ თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს, რომ კოცნით კინაღამ მოახრჩვეს და ფეხიც დაუზიანეს. ვავა იძულებული გახდა მოედანი ათი წუთით დაეტოვებინა.

იგივე თამაში რომ ნახევრადცარიელ სტადიონზე მენახა, ალბათ ამის მეათედი შთაბეჭდილებაც კი არ დამრჩებოდა. მაყურებლებს ხშირად შეუძლიათ წარმართონ მატჩი და თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის ანგარიშზეც კი იქონიონ დიდი ზეგავლენა. მე ბევრჯერ თვითონ ვყოფილვარ მოწმე, თუ როგორ მოგვხმარებიან თბილისელი მაყურებლები, როგორ გავუმხნევებივართ და აღვუგზნივართ საბრძოლველად.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ცუდია როცა მაყურებელი ბრმად გიდგება და ზომიერების გრძნობას ჰკარგავს. ეს უმთავრესად იმ მაყურებლებს მოსდით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქულებს შესტრფიან და არ აფასებენ ფეხბურთის სანახაობით მხარეს.

ჩემზე და ალბათ ბევრ ჩემს მეგობარზე ძირითად ზეგავლენას მაინც თბილისელი მაყურებელი ახდენს. როცა სხვის მოედანზე ვთამაშობ, უარყოფითი რეაქცია ან დაცინვა კი არ მაბნევს, უფრო მიღვიძებს ბრძოლის ჟინს. თბილისში კი სულ სხვაა. აქ განსაკუთრებით გვამხნევებს გულშემატკივართა მხარდაჭერა და ასევე განსაკუთრებით გვაბნევს მათი უკმაყოფილება — ალბათ იმიტომ რომ ამ დროს ტრიბუნებზე სხედან ჩვენი მშობლები, ძმები, მეგობრები... სწორედ ამ დროს გვჭირდება ყველაზე მეტი გამხნევება."

შოთა იამანიძის ეს სიტყვები სტოკჰოლმში გამახსენდა, როცა „რასუნდას" სტადიონზე ვუყურებდი შვეციისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ორთაბრძოლას ევროპის თასზე.

შვედები მეტისმეტად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სტოკჰოლმში გამარჯვება მათ დარჩებოდათ.

— ამ მატჩზე გაიყიდა ყველა ბილეთი, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ შვეციის და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენს ფეხბურთელებს მხარში ამოუდგება 53 ათასი მაყურებელი და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება, — მითხრა ერთმა შვედმა ჟურნალისტმა.

როგორც კი მოედანზე გუნდები გამოჩნდნენ, იმავე წუთში მენიშნა შვედი ჟურნალისტის სიტყვები. ტრიბუნების წინ დადგნენ „დირიჟორები". მათ ხელში შვეციის ეროვნული ალმები ეჭირათ. ალმები დირიჟორის წკეპლის მოვალეობას ასრულებდნენ. მთელმა სტადიონმა ისე ხმაშეწყობილად დააგუგუნა რაღაც ლექსი, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. როცა ლექსის შინაარსი ვიკითხე, მისი ტექსტი დაახლოებით ასე გადმომითარგმნეს: „თუ ხალისიან გუნებაზე ხარ, მაშინ მოედანზე კარგი განწყობილებაა და მოგებაც უფრო იოლია. ჰეია, ჰეია, ჰეია!."

მთელი მატჩის განმავლობაში გუგუნებდა სტადიონი. დირიჟორები ხშირად იცვლებოდნენ. ახალგაზრდებს ბავშვები ცვლიდნენ, ბავშვებს მოხუცები.

მიუხედავად ასეთი დიდი მხარდაჭერისა, შვედი მაყურებელი არასდროს არ ჰკარგავს ობიექტურობის გრძნობას. შვედები საგანგებო ყურადღებას აქცევენ ფეხბურთის სანახაობით მხარეს, მქუხარე ტაშით აჯილდოებენ ყოველ ლამაზ კომბინაციას, გადაცემას, ცალკეულ ილეთს, სულ ერთია, ამას შვედები ასრულებენ თუ მეტოქენი. ყველაზე უფრო კი ერთი რამ მომეწონა: როცა სიმონსონმა ორი მიუტევებელი ბურთი ვერ გაიტანა, მაყურებლებს მაშინაც კი არ გასტეხიათ გული, არ გაულანძღავთ მოთამაშე და კვლავ მონდომებით ამხნევებდნენ საყვარელ ფეხბურთელებს. უკანასკნელ წუთებში ჰამრინის მიერ გატანილ გოლში მაყურებლებსაც მიუძღვით დიდი ღვაწლი. ჩემი შვედური შთაბეჭდილებები შოთა იამანიძეს გავუზიარე.

— ხშირად მაყურებელსაც ვერ გაამტყუნებ, — მითხრა მან, — ის მოედანზე მიდის გამარჯვების იმედებით აღსავსე და როცა ცუდი თამაშით ხასიათს გაუფუჭებ, ძნელია აუკრძალო აღშფოთების გამოხატვა. ამ დროს ხშირად მაგონდება ხოლმე პელეს მამის სიტყვები. პელეს მამა ფეხბურთელი იყო. იგი ერთხელ მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივარმა ბიჭმა გალანძღა. პატარა პელემ ვერ მოითმინა და ბიჭს სახხუბრად ეძგერა. როცა მამამისმა ეს ამბავი გაიგო, შვილს უთხრა:

— ფეხბურთი ასეთია, ერთნი რომ ტაშს გიკრავენ, მეორენი გისტვენენ. ხანდახან, თუ თამაში ვერ ააწყვე, საკუთარი გულშემატკივრებიც არ დაგინდობენ. განა ღირს შეეპასუხო ვინმეს? ყველაზე კარგი პასუხი მოწინააღმდეგის კარში გატანილი ბურთია.

(დასასრული იქნება)

# გოეთეს ლირიკა ქართულ ენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

**ცნობილი ქართველი მკვლევარისა და ლიტერატურის თეორეტიკოსის პროფესორ სერგი დანელიას (1888-1963) წერილი „გოეთეს ლირიკა ქართულ ენაზე" პირველად იბეჭდება. წერილი თავისი შინაარსითა და პრობლემატურობით სცილდება რეცენზიის ფარგლებს და ეხება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობისათვის მეტად საინტერესო საკითხებს, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ თავის აქტუალობას.**

ს. დანელია

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა კრებული გოეთეს ლექსებისა, თარგმნილი ხარიტონ ვარდოშვილის მიერ. ამ წიგნმა, ნაწილობრივ მაინც, შეავსო ის ხარვეზი, რომელიც ჩვენს მწერლობას ახასიათებდა მის გამოსვლამდე; თუ ყოველი ეროვნული ლიტერატურა აუცილებლად საჭიროებს დიდ საკაცობრიო ლიტერატურასთან მჭიდრო კავშირს, ქართულ ეროვნულ ლიტერატურასაც თავისი ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის არ შეიძლება არ სჭიროდეს ის მძლავრი ნაკადი, რომელიც გოეთეს გენიალური შემოქმედებიდან მოდის.

არ არსებობს პოეზიის ისეთი დარგი, სადაც გოეთეს არ შეექმნას მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები. ეპოსში, ლირიკაში, დრამაში — გოეთე ყველგან გვევლინება მსოფლიო მასშტაბის პოეტად. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია მისთვის ლირიკა. შეიძლება ითქვას, რომ არსად გოეთეს ინდივიდუალობა არ აღბეჭდილა ისეთი სიწრფელით, როგორც მის ლირიკაში, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არა პოეტის თვითდაძლევა თვითასახვის საშუალებით.

ხ. ვარდოშვილის მთელი წიგნიც გოეთეს ლირიკისადმი არის მიძღვნილი; რა თქმა უნდა, პოეტი ვარდოშვილი არ არის პიონერი გოეთეს ლირიკული ლექსების ქართულ ენაზე გადმოთარგმნის საქმეში. მაგალითად, არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ისეთი დიდი სახელები, როგორც გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე. გრ. ორბელიანმა სთარგმნა ქართულ ენაზე, ლერმონტოვის მიერ გაკეთებული თარგმანის მეშვეობით, გოეთეს სახელგანთქმული ლექსი „იბერ ალენ გიპფელნ ისტ რუჰ" (მეორეჯერ იგივე ლექსი თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ, მაგრამ უშუალოდ გერმანული დედნიდან), ხოლო ილია ჭავჭავაძემ სთარგმნა ლექსი „ბედა დერ პრედიგერ". აქვე უნდა მოვიხსენიოთ პოეტები ვალერიან გაფრინდაშვილი და სანდრო შანშიაშვილი, რომლებმაც სთარგმნეს გოეთეს მშვენიერი ბალადა „ერლკენიგ" და პოეტი გიორგი ლეონიძე; რომელმაც გადმოიღო ქართულ ენაზე გოეთეს ლექსი „ჰაიდენ რესლაინ".

მაგრამ არ იქნებოდა მართებული არ გვეთქვა ისიც, რომ გოეთეს ლირიკული ლექსები იშვიათად თუ პოულობდნენ ქართველ პოეტებს შორის თავის მთარგმნელებს: პირველხარისხოვანი პოეტები სხვის ნაწარმოებთა თარგმნას ამჯობინებდნენ თავისი საკუთარი ლექსების დაწერას, ხოლო ნაკლები ზომის პოეტები, აუცილებელი დამარცხების არა მთლად უსაფუძვლო შიშის გამო, ვერ ბედავდნენ ბუმბერაზ გოეთესთან შებმას. მით უფრო გულითადი მისალმების ღირსია პოეტი ვარდოშვილი, რომელმაც შესძლო გადაელახა ეს დაბრკოლებები და მოგვცა გოეთეს ლირიკული ლექსების ქართულ თარგმანთა მთელი წიგნი, 244 გვერდისაგან შემდგარი.

ამ წიგნში მოცემულია გოეთეს ას ხუთი ლირიკული ლექსი, მათ შორის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსები, როგორც „პრომეთე", „მგზავრის ღამეული სიმღერა", „ტყის მეფე", „რომაული ელეგიები", „მინიონ" და ბევრი კიდევ სხვა.

წიგნში შესულია ლირიკული ლექსები — დაწყებული გოეთეს პოეტური ბიოგრაფიის ლაიფციგური პერიოდიდან, როდესაც გოეთე ვილანდის ზეგავლენას განიცდიდა და თავის ლირიკაში როკოკოს მხატვრულ სტილს ბაძავდა, და გათავებული გოეთეს ცხოვრების უკანასკნელი წლებით. წიგნის პირველ გვერდებზე მოთავსებულია ლექსი „ჩემს დედას", რომლის გერმანული დედანი დაიწერა 1767 წელს, როდესაც გოეთე თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, ხოლო თავდება წიგნი ლექსით „საქმრო", რომლის დედანი დაწერილია 1828 წელს, ე. ი. გოეთეს გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე.

ამრიგად, ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანთა წიგნში საკმაოდ სრულად წარმოდგენილია გოეთეს თავგადასავალი, როგორც ადამიანისა და როგორც პოეტის. დიდი გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ქართველ მკითხველს შეუძლია, პირველი წყაროების გამოყენებით, გაეცნოს გოეთეს პოეტურ ბიოგრაფიას, მისი მსოფლგანცდისა და მსოფლგაგების ხანგრძლივ ევოლუციას.

კარგად არის, მაგალითად, ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანთა წიგნში წარმოდგენილი ის ეტაპი გოეთეს ლირიკული შემოქმედებისა, რომელმაც როკოკოს გაპრანჭული სტილი შესცვალა ჰერდერის ნაყოფიერი გავლენით აღმოცენებული და შტრასბურგელ ახალგაზრდა მწერალთა მიერ გაბედულად დაცული სტილით — აი იმ ლიტერატურული პერიოდის მბობოქარი სტილით, რომელსაც ეწოდა „შტურმ უნდ დრანგ" („ქარიშხალი და შეტევა") და რომელმაც ომი გამოუცხადა გამოფიტულს და უსულო ფრანგულ კლასიციზმს: უარჰყო მისი მონური მიმბაძველობა, უარჰყო დახავსებული პოეტიკური კოდექსი და ამით მოუპოვა გერმანულ პოეზიას განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა. გოეთეც ხომ ერთ დროს „ქარიშხალისა და შეტევის" პოეტთა ჯგუფში შედიოდა და ამ ჯგუფის მეთაურად იქცა „ახალგაზრდა ვერტერის ვნებათა" გამოქვეყნების შემდეგ. პოეტი მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტად პოეტი, როდესაც ის არის შემოქმედი, ხოლო შემოქმედება ნიშნავს ახლის შექმნას და არა სხვების მიერ უკვე შექმნილის განმეორებას — ასეთი იყო შტრასბურგელ შტურმერთა პოეტური მრწამსი, რომელიც მშვენივრად გამოვლინდა გოეთეს ლირიკაშიც.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ვარდოშვილის თარგმანთა წიგნში



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მოთავსებული ორი ლექსი—„მგზავრის სიმღერა ქარიშხალში“ და „პრომეთე“. პირველი ლექსი გვაწვდის მასალას გოეთეს პოეტური მრწამსის გასაცნობად მისი შემოქმედების შტრასბურგულ პერიოდში, ხოლო მეორე ლექსი წარმოგვიდგენს ამავე ქრონოლოგიური პერიოდის გოეთეს, როგორც მოქალაქეს და მოაზროვნეს, რომელსაც დანარჩენ შტურმერთა მსგავსად, ეზიზღებოდა დესპოტიზმისა და ტირანიის ყოველგვარი გამოვლინება. რომ შევადაროთ დედანთან „მგზავრის სიმღერა ქარიშხალში“, ჩვენ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თარგმანში საკმაო სიზუსტით გადმოცემულია ორიგინალის არა მხოლოდ აზრისეული შინაარსი, არამედ მისი „შტურმერული“ ოსტატობის ხერხებიც — თავისუფალი რიტმი, ურითმო სტრიქონები და სხვა, რაც ასე დამახასიათებელი იყო „შტურმერების“ ლექსისათვის, რომელიც, გენიალობის სახელით, შეგნებულად იმიჯნებოდა კლასიციზმის ულმობელი „წესებისაგან“.

ასეთსავე შედეგს მივიღებთ, თუ ვარდოშვილის „პრომეთე“ შევადარეთ ამ ლექსის ორიგინალს.

რა არის მთავარი ამ ორიგინალში? ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობაო, — გვეუბნება გოეთეს ბევრი კომენტატორი. მაგრამ არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ ამ ლექსში მთავარია დესპოტიზმის წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნების თვითშეგნებულობა. პრომეთე არის თავისუფლებისათვის მებრძოლი ტიტანი, რომელსაც მთელი არსებით სძულს ზევსის დესპოტიზმი, სძულს ოლიმპის ტირანია. ადამიანსაც გოეთეს ლექსში პრომეთე იმიტომ კი არ ქმნის, რათა მიანიჭოს მას უღრუბლო ბედნიერება; მყუდრო ბედნიერება და ყოველგვარ უსიამოვნებისაგან დაცლილი ცხოვრება არ არის პრომეთეს იდეალი, ვინაიდან მისი იდეალია ბრძოლით სავსე ცხოვრება: პრომეთეს იდეალი „შტურმერ“ გოეთეს იდეალია. ქარიშხალი — აი რა უყვარს ტიტან პრომეთეს.

ადამიანებსაც პრომეთე სწორედ იმ მიზნით ქმნის, რათა მათი ცხოვრება იყოს მოძრაობითა და ბრძოლით სავსე და არ გავდეს დამყაყებულ ჭაობს, ვინაიდან პრომეთეს სურს ადამიანში იპოვნოს მოკავშირე, რომელიც ჩაებმება მის ტიტანურ ბრძოლაში ოლიმპიელ ღმერთების წინააღმდეგ და მოეხმარება მათი მეუფების დამხობის დიადი მიზნის განხორციელებაში:

მე მტკიცედ ვზივარ და გამოვჭედავ
ჩემნაირ რწმენის ადამიანებს,
ისეთ თაობას, რომელიც ჩემებრ
შესძლებს იტანჯოს, ჩემებრ იტიროს
და ჩემებრ დასტკბეს ამ ცხოვრებითა;
შენ კი ჩირადაც აღარ ჩაგაგდონ,
ისე, როგორც მე ამას ჩავდივარ.

აი, რა ნათელი ენით არის ქართულ თარგმანში გადმოცემული გოეთეს ამ გენიალური ლექსის დასასრული. როგორც ვხედავთ, თარგმანში შენარჩუნებულია დედნის მეამბოხე პათოსი, გადმოცემულია პრომეთეს ზიზღი მჩაგვრელთა მიმართ, მისი ძლიერი პროტესტი. ერთ-ერთი საშუალება კი ასეთი შედეგის მისაღებად იყო მთარგმნელისათვის ის, რომ მან კარგად შეუნარჩუნა თავის თარგმანს დედნის შეკითხვითი ინტონაცია, რომელიც აძლიერებს ლექსის გამომეტყველებას.

რამდენადაც ვიცით, გოეთეს „პრომეთე“ უწინ არავის უთარგმნია ქართულად. ამ შესანიშნავი ლექსის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მისასალმებელი მოვლენაა არა მხოლოდ პოეზიის, არამედ საზოგადოებრივი აზროვნების ინტერესთა თვალსაზრისით. აქ იმდენი აზრია შეკუმშულად მოცემული, იმდენი გრძნობაა ჩაქსოვილი, რომ დაკვირვებული მკითხველი ამ ლექსს გულგრილად ვერ ჩაუვლის.

ზევით ჩვენ შევეხეთ იმ ლირიკულ ლექსთა თარგმანებს, რომლებიც გოეთეს ახასიათებენ როგორც „შტურმერს“, როგორც „ქარიშხალისა და შეტევის“ პერიოდის პოეტს. არა ნაკლები ოსტატობითაა თარგმნილი ის ლექსები, რომლებიც გოეთეს პოეტური ევოლუციის სხვა პერიოდებს ეკუთვნიან. კარგად არის, მაგალითად, გადმოთარგმნილი „რომაული ელეგიები“, რომლებიც საკაცობრიო ლირიკის უდიდეს მიღწევად არიან აღიარებული. ბელინსკიმ „რომაული ელეგიების“ შედარებით მდარე რუსული თარგმანის გამოსვლას (უკეთესად სთარგმნა შემდეგ ეს ელეგიები ათანასე ფეტმა) უძღვნა სტატია, სადაც აღინიშნა, რომ „რომაული ელეგიები“ „დიდი გერმანელი პოეტის დიდი ქმნილებაა“, „რომაული ელეგიების“ ქართულ თარგმანში კარგად არის გადმოცემული ამ ელეგიების ძირითადი სულისკვეთება — აი ის წარმართული მსოფლგანცდა, რომელიც უწინაც ახასიათებდა გოეთეს, მაგრამ განსაკუთრებით გაიზარდა იტალიაში მოგზაურობის შემდეგ. სანიმუშოდ მოვიყვანოთ აქ მცირე ნაწყვეტი მეხუთე ელეგიიდან, სადაც ასე კარგად გამოვლინდა გოეთეს ნეოკლასიციზმი, რომელმაც, უკუაგდო რა „შტურმერული“ სულისკვეთება, იწყო სხეულის დათრგუნვილ უფლებათა რეაბილიტაცია და, ამასთან ერთად, მუსიკის ნაცვლად ქანდაკება გამოაცხადა წამყვან ხელოვნებად. აი ეს ნაწყვეტიც ქართულ თარგმანში:

„განა არ ვსწავლობ, როს საყვარლის მკერდს ვაკვირდები...
ამ დროს მე ვწვდები მარმარილოს საცნაურს სრულად,
ვჭვრეტ შემხებ თვალით და აღვიქვამ მხედველი ხელით“.

ამ სტრიქონებზე უფრო ზუსტი თარგმანი ძნელად თუ განსახორციელებელია. „შემხები თვალი“ და „მხედველი ხელი“ — ამ სიტყვებში დაჭერილია ის დიდი ესთეტიკური კონცეფცია, რომლის აპოლოგეტად იქცა გოეთე იტალიიდან დაბრუნების შემდეგ. ამავე დროს, რა თამამად გამოთქმულია ამ ლექსში ქრისტიანული სპირიტუალიზმის საწინააღმდეგო მსოფლგაგება, რომელიც სირაქლემასავით არ მალავს თავს სილაში და გულახდილად აღიარებს, რომ სხეულს, ტანს, ხორცს, მატერიას აქვს თავისი საკუთარი ხელშეუვალი უფლებები. სხვა ვინმეს რომ დაეწერა თუ როგორ ეხება იგი ქალის თეძოებს და როგორ ტკბება მისი გულ-მკერდის ცქერით, მას პორნოგრაფად გამოაცხადებდნენ. მაგრამ, როდესაც ასეთი სტრიქონები გოეთეს ლექსშია მოთავსებული, ვინღა გაბედავს ეჭვის შეტანას მათ მაღალ პოეტურ ღირსებაში? რაც სხვისი კალმის ქვეშ პორნოგრაფიად იქცეოდა, იგი გოეთეს პოეტურ აპერცეპციაში ქვირფას მარგალიტად არის ქცეული, ვინაიდან არაფერი არ ეზიზღება პოეზიას ისე, როგორც ფარისევლობა, გულწრფელობის უქონლობა, სიცრუე.

თავისთავად ცხადია, რომ ვარდოშვილის წიგნში მოთავსებულ ლექსებს თანასწორი ღირსება ვეღარ ექნებათ: ზოგი უკეთესია, ზოგი უარესი. მაგალითად, შედარებით სუსტ თარგმანებად მეჩვენება მე ლექსები „მინდვრის ვარდი“ და „თულეს მეფე“; როგორც ცნობილია, ამ ორი ლექსის გერმანული დედნები, ხალხური პოეზიისადმი იმ ღრმა ინტერესის ნაყოფია, რომელსაც უნერგავდა საზოგადოებას „ხალხთა ხმების“ შემდგენელი ჰერდერი. მაშასადამე, გერმანული დედნების ეს ხალხურ-პოეტური სტილი უნდა შერჩენოდა ქართულ თარგმანებსაც, მაგრამ ამ უკანასკნელებს აღარ ეტყობათ ამის ნიშნები, და ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ქართული ხალხური პოეზია საკმაოდ უხვ საშუალებებს აწვდიდა მთარგმნელს იმისათვის, რათა მისი თარგმანები დედნებს გათანასწორებოდნენ; სხვა არა იყოს რა, პოეტს რომ გახსენებოდა დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“, მას გაუადვილდებოდა გოეთეს „მინდვრის ვარდის“ უკეთესად გადმოთარგმნა. „გულმოკლული“ რჩება დედანში არა ბიჭი, არამედ მინდვრის ვარდი, რომელიც ბიჭმა მაინც მოსწყვიტა, თუმცა ვარდი ეკლებით იცავდა თავს. რა თქმა უნდა, ამ ბიჭის სახით გოეთემ წარმოადგინა არა „გარეწარი“ ვინმე, არამედ სავსებით ნორმალური არსება.

მთარგმნელის სასარგებლოდ ოღონდ ამას უნდა დაემატოს ის, რომ ხალხურ-პოეტური სტილის ლექსების თარგმნა უცხო ენაზე ძალიან ძნელია: უფრო ადვილად გადაითარგმნება ქართულ ენაზე ლერმონტოვის «Выхожу один я на дорогу», ვიდრე ხალხური ლექსი «Выдавала меня матушка далече замуж».

შენიშვნას იწვევს აგრეთვე „მგზავრის ღამეული სიმღერა“, რომელიც ასეთი მშვენიერი სტრიქონით იწყება:

„დადუმებულან ზვიადი მთები“.

თარგმანში კარგად არის დაცული გერმანული დედნის რიტმი. ოღონდ, ერთი სტრიქონი მაინც არ არის მთლად უნაკლო. ეს სტრიქონია „დაიცა, მალე დაგეძინება“.

ამის წამკითხველი იფიქრებს, რომ ლექსში ლაპარაკია ჩვეულებრივ მგზავრზე, რომელიც დღიური მოგზაურობისაგან ძალიან დაღლილა და რომელსაც ენატრება სასტუმროს მყუდრო ოთახი, სადაც ის შესძლებს კარგად გამოძინებას, რათა მეორე დღეს განაგრძოს გზა: ვფიქრობ, რომ ასეთი თარგმანი აუბრალოებს გოეთეს ლექსის ღრმა შინაარსს. სიტყვა „დაგეძინება“ არ არის აქ თავის ადგილზე ნახმარი.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას აგრეთვე „მინიონის“ თარგმანზე. ეს ლექსი („კენნსტ დუ დას ლანდ“) ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს აგრეთვე ჩვენს ნიჭიერ პოეტს სიკო ფაშალიშვილს. ჩემის აზრით, ვარდოშვილმა შესძლო დედნის საკმაოდ სწორი გადმოცემა. შენიშვნას იწვევს მხოლოდ ლექსის რეფრენი „იქითკენ წამო ჩემთან ერთად, იქითკენ წამო“, რომელიც სამი სტროფისაგან შემდგარ ლექსში სამჯერ მეორდება. თუ არ ვცდები, სჯობდა, რომ სიტყვა „წამო“ სხვა სიტყვით შეცვლილიყო, რადგან გოეთეს ლექსის ამაღლებულ რომანტიკულ სულისკვეთებას იგი არ შეეფერება: სიტყვა „წამო“ მშვენივრად აქვს გამოყენებული პოეტ იოსებ გრიშაშვილს თავის ლექსში „ტყეში წამო“, რომელიც რომანტიკული სტილის ლექსს არ წარმოადგენს, მაგრამ, ის, რაც სავსებით შესაფერისია რომანტიკულ სულისკვეთებისაგან დაშორებულ ლექსში, არ არის მთლად კარგად შესაფერისი რომანტიკული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოეტ ვარდოშვილის თარგმანთა წიგნში ჩვენ ვერ ვპოულობთ გოეთეს ზოგიერთ ლექსს, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოეთეს ლირიკაში. ასეთი ლექსების ჩამოთვლა აქ უადგილოა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი გადმოთარგმნა მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს. არაფერს ვამბობ მე აქ ზოგიერთ თარგმანში დაშვებულ ფაქტიურ შეცდომებზე, რომლების გამოსწორება შემდგომს გამოცემაში ძალიან ადვილი საქმეა. განა პოეტური თარგმანი ფაქტიურ შეცდომების ჩამოთვლით ფასდება?

აზრის სინათლე, ლექსის მოქნილობა, ორიგინალის მხატვრული სახეებისა და ინტონაციის შენარჩუნება ანიჭებენ ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანებს სასიამოვნოდ საკითხავ თარგმანთა ღირსებას. მისი ლექსიკონი მდიდარია, ხოლო ფრაზა ლამაზად ჩამოყალიბებული.

სადავოა ბერძნულ მითოლოგიიდან სახელთა გადმოღების წესი, რომელსაც მისდევს ავტორი. ფორმა „პრომეთე“ უკანონოა: თუ ჩვენ ვამბობთ „ზევსი“, მაშინ თანმიმდევრობა მოითხოვს ვთქვათ „პრომეთევსი“. ამნაირადვე დარღვეულია თანმიმდევრობა „ქარიტა“ სიტყვის ხმარებისას. „ქარიტა“ სიტყვას იგივე ძირი აქვს, რაც „ხარიტონს“, და, თუ მართებულია ფორმა „ხარიტონი“, მაშინ მართებული უნდა იყოს „ხარიტა“ და არა „ქარიტა“. უკანონოა აგრეთვე ფორმა „ანტიური“, რომელსაც ხმარობს მთარგმნელი. ჩვენ არ ვამბობთ „ფიზიური“, „ლოგიური“, „პოლიტიური“, არამედ ვლაპარაკობთ „ფიზიკური“, „ლოგიკური“, „პოლიტიკური“. ამათ მსგავსად უნდა ითქვას, არა „ანტიური“, არამედ „ანტიკური“.

პოეტური ნაწარმოების თარგმნა არის ერთგვარი შეჯიბრება, თავისებური ორთაბრძოლა დედნის დამწერ პოეტსა და მის მთარგმნელ პოეტს შორის. ამ ორთაბრძოლაში მთარგმნელი პოეტი ხშირად მარცხდება — ზოგჯერ არა პირადი დანაშაულის გამო, არამედ იმიტომ, რომ მან ვერ იპოვნა თავის ლიტერატურულ გარემოში ბრძოლისათვის საჭირო იარაღი. პოეტ ვარდოშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი გოეთეს ლირიკული ლექსების ქართულ ენაზე გადმოთარგმნის ძნელ საქმეში მან შესძლო პოეტის ღირსების შენარჩუნება. მისი თარგმანები პოეტური თარგმანებია და არა სიტყვათა მონური გადმოღება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარი მიზეზი ასეთი კარგი შედეგისა საძიებელია იმ მდიდარ პოეტურ არსენალში, რომელიც შექმნა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართულმა პოეზიამ — პოეზიამ შოთა რუსთაველისა, დავით გურამიშვილისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ვაჟა-ფშაველასი.

ვარდოშვილის თარგმანთა წიგნს დართული აქვს გიორგი ნადირაძის კარგად დაწერილი შესავალი სტატია „გოეთეს ლირიკა“ და საგნის მშვენიერი ცოდნით შედგენილი კომენტარები.

# მილიციელის სასტვენი

ღამის სუსხიანი ღამე იყო. მილიციის საგუშაგო სამსახურს ვამოწმებდი. დაახლოებით ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა მორიგე ათეულის მეთაურის თანხლებით, ვაკეში, უკანასკნელი საგუშაგო შევამოწმე და უკან გამოვბრუნდი.

უცებ რაღაც ხმაური შემომესმა. შევჩერდი. შორიდან დავინახე: მილიციელთან რამდენიმე ახალგაზრდა იდგა და მაღალი ხმით ესაუბრებოდა. ვიფიქრე: „ალბათ ნასვამები არიან და გუშაგს თუ აუხირდნენ-მეთქი". ფეხი ავუჩქარე, ახლოს მივედი; ხუთნი იყვნენ, მათში — ორი ქალი. ვიცოდი, ზოგ ახალგაზრდას მილიციის მუშაკი მაინცდამაინც გულში არ უზის; ახლაც ალბათ რაღაცაზე წალაპარაკდნენ-მეთქი, მაგრამ სულ სხვა რამ გავიგონე:

— მაგ შენ დუდუკს ვენაცვალე, ძმობილო! — იძახოდა ერთი და მილიციელს ხელს ართმევდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა! — ამბობდა მეორე.

დამაინტერესა გამეგო, რაში იყო საქმე? ახალგაზრდებმა ჩემი ფეხის ხმაზე მოიხედეს, და როცა დამინახეს, ახლა მე მომმართეს.

— დიდი მადლობელი ვართ, ამხანაგო კაპიტანო, თქვენს ამაგს სიკვდილამდე ვერ დავივიწყებთ. თქვენ რომ არა, სირცხვილი უნდა გვეჭამა....

— ბიჭო, სირცხვილს ვინღა ჩივის, ცოტაც და... გაგვისტუმრებდნენ საიქიოს.

— არ მეტყვით რაშია საქმე?

— სტუდენტები გახლავართ, ბატონო, — წამოიწყო ერთმა, — ჰოდა, დღეს საღამოს ერთად ვმეცადინეობდით... ლაპარაკში გავერთეთ და ვერ შევამჩნიეთ როგორ შეუმჩნევლად გაგვეპარა დრო. ტრანსპორტი აღარ იყო და ფეხით მოგვიხდა წამოსვლა. აი, იმ შესახვევს რომ მივაღწიეთ, ორი უცნობი გადაგვეღობა, იშიშვლეს ბებუთები და გვიბრძანეს შესახვევში შევბრუნებულიყავით. მეტი რა გზა გვქონდა, ისინი ბებუთებით იყვნენ შეიარაღებულნი, ჩვენ კი ფანქრებისა და ავტოკალმების მეტი არაფერი გაგვაჩნდა. იძულებულნი შევიქენით მათი ბრძანება შეგვესრულებინა. იქ მესამე ბოროტმოქმედიც აღმოჩნდა, იმასაც ბებუთი ეჭირა ხელში.

— აბა, ჩქარა, გაიხადეთ ტანსაცმელი, — გვიბრძანა ერთმა. მივხვდით, რომ მათთან ვერაფერს გავაწყობდით, არ დაგვინდობდნენ, ჯანდაბას... წაიღონ, თუმცა, ღონეზე რომ მიმდგარიყო საქმე, ჩვენ მათ არ დავუვარდებოდით, მაგრამ აბა, ბასრი ბებუთის პირისპირ შიშველი ხელით რას გახდები? პალტოები გავიხადეთ.

— პალტოები მიწაზე დაალაგეთ და ტანსაცმელიც გაიძრეთ, ჩქარა, — ხელახლა გაისმა ბრძანება და ზედ სამსართულიანი გინება მოჰყვა.

— ადამიანები არა ხართ? იკმარეთ პალტოები, — შევევედრეთ ჩვენ.

— ჩქარა-მეთქი, სიცოცხლე თუ რამედ გილირთ. — სამივემ დანები შემართეს.

— კი, ბატონო, გავიხდით, მაგრამ, ქალები მაინც დაინდეთ.

— თქვენი ქალების დედაც და თქვენიც... ჩქარა-მეთქი....

ეს რომ გავიგონეთ, ახლა კი ვიფიქრეთ — სიცოცხლეც აღარა ღირს ასეთი, რაც მოგვივა, მოგვივიდეს — არ დავნებდებით...

და ის იყო, იმ სიჩუმეში მილიციელის სასტვენის ხმა გავიგონეთ.

ხშირად, როდესაც ასე უცებ, მოულოდნელად გამიგია მილიციელის სასტვენის ხმა, გული მომსვლია და გაბრაზებულს წამომიძახნია: რას უქშუტუნებ კაცო, გული გამიხეთქე! იმ წუთებში ის ხმა გულისგამხეთქი კი არა, ხსნის მაუწყებელი იყო. სასტვენის ხმაზე ყველა ინსტინქტურად გავშეშდით. მძარცველებმა შიშნარევი მზერა მიაპყრეს იმ მხარეს, საიდანაც სასტვენის ხმა მოისმა. როდესაც მეორედ, უფრო ახლოდან გაისმა სასტვენის ხმა, ის უკვე წკრიალს კი არა, ბომბის აფეთქების ხმას ჰგავდა.

ქუჩებში სამარისებური სიწყნარე იყო. ყველას ეძინა და აი, ამ მყუდროებაში სასტვენის ხმა უფრო მკვეთრად მოისმა. მძარცველებმა თავი მიგვანებეს, დაფრთხნენ და სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ.

ჩვენ ჯერ გვეგონა, რომ მილიციელმა როგორღაც შეიტყო ჩვენი უბედურება და მოსახმარებლად წამოვიდა, წინასწარ კი სასტვენს ჩაბერა, რომ ჩვენთვის სიმხნევე მოეცა. როდესაც შესახვევიდან ქუჩაში გამოვედით და... შორით მოვკარით თვალი ნელი ნაბიჯით მომავალ მილიციელს, გაგვიკვირდა, რომ ის არ მორბოდა ჩვენკენ, არამედ, წყნარად მოაბიჯებდა, ხელში სასტვენი ეჭირა და საჩვენებელ თითზე ატრიალებდა, ჩვენ მისკენ გავეშურეთ. მის მშვიდ სახეზე აღელვების ნიშანწყალიც კი არ ჩანდა. მან თურმე არაფერი იცოდა ჩვენი უბედურების შესახებ და მეზობელ გუშაგ მილიციელთან გამოსახმაურებლად დაუსტვენია, და აი, ამ დასტვენამ გვიხსნა.

— მთელ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ღამე, — თქვა ერთმა სტუდენტმა ქალმა—რას წარმოვიდგენდი, თუ მილიციელის სასტვენს ასეთი ძალა ექნებოდა... მართლაც რომ გაჭირვების ტალკვესი ყოფილა ეგ სასტვენი.

— ახლაც იტყვით, რას უქშუტუნებ შე ოჯახქორო, გულები დაგვიხეთქეო? — ღიმილით შევეკითხე მე.

— არა, რასა ბრძანებთ...

— არ ვიცით, სიტყვა ვერ მოგვინახავს, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, — მოგვაძახეს მათ და გახარებულებმა გასწიეს შინისკენ.

მე გუშაგი მილიციელი გავაფრთხილე, რომ ფხიზლად ყოფილიყო.

როდესაც სამილიციო განყოფილებაში დავბრუნდი, მორიგეს დავუბარე იმ უბანზე გუშაგების დასახმარებლად მარქაფიდან პატრულები გამოეყო და გაეგზავნა, შეიძლება მძარცველები შორს არ იყვნენ წასულნი და ახალ მსხვერპლს ელოდნენ.

მის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა: ის სტუდენტები ალბათ ახლა კურსდამთავრებულები არიან და უკვე მუშაობენ. დარწმუნებული ვარ, მართლაც არ დაივიწყეს ის ღამე.

აი, რა ძალა აქვს თითბრის პატარა სასტვენს მილიციელის ხელში...

და ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ამბის მოწმენი არიან მილიციელი და მისი სასტვენი.

გიორგი მათიაშვილი



# მზეზე

ამ სივრცით ნასულდგმულები,
კლდე ფერდობს მისვენებია,
ეს მთები, როგორც ცურები
ალაზანს იწველებიან...

აბა შენს მნახველს რა მომკლავს
ციხევ,
ჭიუხო, გზაშარავ,
კლდეს ჯიხვმა რქები ჩამოჰკრა,
კლდემ ნაპერწკლები გაშალა...

აქ მე ვივსები ჭანწივით,
თხემნი ბილიკებს სწელავენ,
აქ ხომ ყაშყაშით არწივი
ალვიძებს მთვლემარ მწვერვალებს;

აქ მაქვს სათავე...
მთებიდან
ალაზანივით ვიწყები,
ხალხის გულს, ვით ზღვას, ვერთვი და
ხალხში, ვით მზეში, ვიწვები.

დილის შემოსვლას ვესწრები
და გავცქერ მაღალ სერიდან:
— მზის შესახვედრად ეს მთები
რა ლაღად გამოფენილან!..

გიორგი შეთეკაური

ალ. ქრისტინაშვილი

# წინათ-ლახვრით, ახლა კალმით




მალე ოცი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც დამთავრდა დიდი სამამულო ომი. მიუხედავად ამისა, ამ თემას კვლავ გატაცებით უბრუნდებიან ჩვენი მწერლები; იხსენებენ გარდასულ ბრძოლებს თვითონ მხედრები— სამშობლოს მამაცი დამცველები. მათს წიგნებს მკითხველი მუდამ უღრმესი ინტერესით ჰკიდებს ხელს — ეს ხომ ეპოქის უძვირფასესი დოკუმენტებია, რომლებიც ჩვენი ხალხის ლეგენდარულ სიმამაცეზე, მის თავისუფლებისმოყვარეობაზე, ჩვენი არმიის საზღაპრო გმირობაზე მოგვითხრობენ.

წიგნთა ამ სერიას ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძის წიგნი „გმირთა სისხლით". ესაა უაღრესად საინტერესო ფურცლები ომის მატიანისა, იმ მატიანისა, რომელიც მართლაც გმირთა წმინდა სისხლით იწერებოდა. ამიტომაც იყო, რომ ეს წიგნი გამოსვლისთანავე ძალზე პოპულარული გახდა.

წიგნის ავტორს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ომის დასაწყისში, ის მძიმედ დაჭრილი და უმწეო, ტყვედ იგდეს ხელთ გერმანელებმა. მაგრამ მას არ დაუკარგავს სიმხნევე; როგორც კი ფეხზე წამოდგა და ჭრილობები ოდნავ მოიშუშა, გაქცევაზე დაიწყო ფიქრი. მან მალე შეისრულა ეს განზრახვა, თავი დააღწია ფაშისტურ ჯოჯოხეთს და შეუერთდა უკრაინაში მოქმედ კოვპაკის პარტიზანულ შენაერთს. აი, აქედან იწყება დ. ბაქრაძის მძიმე ბრძოლები ფაშისტებთან უკრაინისა და ბელორუსიის ველებზე. კოვპაკის პარტიზანული შენაერთი ჭეშმარიტად ინტერნაციონალური იყო, მასში შედიოდნენ სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები: რუსები, უკრაინელები, ქართველები, უზბეკები, ფრანგები, ჩეხები, პოლონელები და სხვ. დ. ბაქრაძემ დაგვიტახა ამ მებრძოლთა დაუვიწყარი სახეები. მკითხველი აქ ეცნობა პარტიზანული მოძრაობის სახელოვან მეთაურებსაც და რიგითი მებრძოლებსაც.

კოვპაკის პარტიზანებს მტრის მიერ დროებით დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებში გამარჯვების დიდი რწმენა შეჰქონდათ. ისინი მორალურად განამტკიცებდნენ და ეხმარებოდნენ ხალხს; ამიტომ თვითეული პარტიზანის გამოჩენა დაპყრობილ სოფლად და ქალაქად, დიდ ენთუზიაზმსა და სიხარულს იწვევდა. გლეხობა არაფერს არ ზოგავდა — სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა მათ და გვერდში ედგა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით ბაქრაძის წიგნში ნათლად არის ნაჩვენები რუსი, ქართველი და უკრაინელი ხალხის განუყრელი მეგობრობა; ჭეშმარიტად ეს წიგნი საერთოდ ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია. კოვპაკი, რუდნევი, კორნეევი, ვერშიგორა, პანინი, პავლოვსკი, სტროკაჩი, ფედოროვი, სოზინა, ანისიმოვი, ბაქრაძე, რეხვიაშვილი, შავგულიძე, ბერიძე და სხვები — აი, ის ადამიანები, რომლებიც ძმურად ედგნენ მხარში ერთი-მეორეს და სიცოცხლეს არ ზოგავდნენ საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

პარტიზანების ძმური ოჯახი უძლეველი იყო იმიტომ, რომ ის ხალხთა ძმობის დუღაბზე იყო დაფუძნებული; რასაც ომის წლებში დავით ბაქრაძე იარაღით ხელში აკეთებდა, დღეს იმ საქმეს მისი წიგნი აკეთებს — განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას, აძლიერებს მკითხველის სიყვარულს ჩვენი დიდი სამშობლოსადმი.

# უცხოური იუმორი



ახალგაზრდა კაცი ტელეფონით ურეკავს შეყვარებულს:
— მართა, გუშინ ბიძაჩემისაგან მემკვიდრეობა მივიღე, შევიძინე მსუბუქი ავტომანქანა, საცხოვრებლად გადავედი საკუთარ ბინაში. თანახმა ხარ თუ არა, ცოლად გამომყვე?
— თანახმა ვარ! — მიუგებს ქალი, — მხოლოდ მითხარი, ვინ მელაპარაკება ტელეფონით?

* * *



— გოგოებო, დღეს განსაკუთრებით თავაზიანად უნდა მოიქცეთ, — ეუბნება რესტორნის პატრონი ოფიციანტებს, — ყველამ კოხტად დაივარცხნეთ თმები, მანიკიურები გაიკეთეთ და ეცადეთ, რაც შეიძლება თავი მოაწონოთ კლიენტებს.
— რაშია საქმე, სერ, ვინმე საპატიო პიროვნებას ელოდებით?
— არა, დღევანდელი კერძები ძალზე ცუდი ხორცისაგან არის დამზადებული.

* * *

პაციენტი ღელავს:
— პატივცემულო ექიმო, ოპერაციას პირველად ვიკეთებ.
— დაწყნარდით, ეს ოპერაცია ჩემთვისაც პირველია, მაგრამ ხომ ხედავთ როგორ მხნედ მიჭირავს თავი!..

* * *



— მეგონა შიშისაგან მოვკვდებოდი: ტყეში მივდიოდი და გველი დავინახე!
— მერე?
— როდესაც მივუახლოვდი, აღმოჩნდა, რომ გველი კი არა, ჯოხი იყო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ როგორ შემეშინდა?
— კი მაგრამ, რამ შეგაშინათ?
— იმან, რომ ჯოხი, რომელსაც ხელი ვტაცე, რომ ვითომდა გველისათვის დამერტყა, აღმოჩნდა... გველი!

* * *

ორმა მეგობარმა ქუჩაში ცხენზე ამხედრებული კინოვარსკვლავი დაინახა.
— აჰ, ნეტავ მის ცხენად მაქცია, — ინატრა ერთმა.
— ჰკითხე იქნებ, სახედრითაც მოისურვოს გასეირნება, — ურჩია მეორემ.

* * *



— მოგიტანეს მაღაზიიდან, დღეს დილას რომ ვიყიდე? — ჰკითხა სამსახურიდან დაბრუნებულმა ჰანსმა მეუღლეს.
— მოიტანეს... უკვე მოვხრაკე კიდეც.
— როგორ თუ მოხრაკე! ის ისეთი თუთიყუში იყო, ექვს ენაზე ლაპარაკობდა, — აღშფოთდა ქმარი.
— მერე, რატომ არაფერი მითხრა? — მიუგო მშვიდად ცოლმა.

* * *

მეთევზე ტურისტმა ადგილობრივ მცხოვრებს ჰკითხა:
— არ იცით სად არის აქ ყველაზე უკეთესი სათევზაო ადგილი?
— ვიცი. გაჰყვებით ამ გზას და მოსახვევში წარწერას დაინახავთ: „გავლა აკრძალულია“. ცოტა კიდევ იქით წახვალთ ტბაზე, სადაც ბოძზე ფირფიტა ჰკიდია: „თევზის ჭერა სასტიკად აკრძალულია“. აი იქ ყველაზე უკეთესი სათევზაო ადგილია.

* * *



ცირკის დირექტორთან ერთი უმუშევარი მივიდა და სთხოვა, ოღონდ სამსახურში მიმიღე და რა სამუშაოც არ უნდა იყოს, სიამოვნებით შევასრულებო.
— ჩინებულია! თითქოს დაბარებულივით მოხვედით, — წამოიძახა სიხარულით დირექტორმა, — დღეს დილას ერთი შიმპანზე მოგვიკვდა და შემცვლელი არ გვყავდა. თქვენ სხვა არაფრის გაკეთება არ მოგიხდებათ. ჩაიცვამთ მხოლოდ მაიმუნის ტყავს და ლომზე შემჯდარი მანეჟზე გაივლით.
უმუშევარი მაშინვე დათანხმდა.
მაგრამ საღამოს, წარმოდგენის დაწყების წინ, ცოტა არ იყოს შიშმა შეიპყრო და როცა ლომზე შეჯდა, უკვე ცახცახებდა.
უცებ ლომმა თავი გვერდზე მოაბრუნა და ჩასჩურჩულა:
— ნუ გეშინია, ძმობილო, მეც უმუშევარი ვარ!

ყდის პირველ გვერდზე — საახალწლო სუფრაზე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. მეოთხე გვერდზე — ნამეხარი მუხა. ფოტო თ. ფურცხვანიძისა. ჩანართის პირველ გვერდზე — იანვარი საქართველოში; მეოთხე გვერდზე — სტუმრად ბებიასთან. — ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

# ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. კალანდაძე ცნობილი ქართველი ეტიუდისტია. იგი არა ერთხელ გამოვიდა წარმატებით საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებზე და მრავალი ჯილდო და პრემია დაიმსახურა. მისი ეტიუდები იბეჭდება ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, შვეციის და ევროპის მრავალი სხვა ქვეყნის ჟურნალებში.
ვაქვეყნებთ მის ორ ეტიუდს და ვთავაზობთ მკითხველს ამოსახსნელად.
პირველი ეტიუდი შედგენილია პატის თემაზე, მეორეში განხორციელებულია შამათის თემა.
პირველად ანალოგიური შამათი განახორციელა ცნობილმა საბჭოთა ეტიუდისტმა გ. კასპარიანმა.



თეთრები იწყებენ და იგებენ

| | |
|---|---|
| 1. ეa5 + | მd5 + ! |
| 2. ე:d5 + | e5 + |
| 3. ე:e5 + | მფh4 |
| 4. მe1! | f1ლ |
| 5. მf3 + | მფh3 |
| 6. ეh5+ | მფg2 |
| 7. ეh2× | |



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

| | |
|---|---|
| 1. კd3 + | მფf6! |
| 2. კb4! | კc6 + |
| 3. მფe3! | a1ლ |
| 4. კc3 + ! | ლ:c3 |
| 5. მd5 + | კ:d5 |

პატი

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/I-65 წ. გამომც. № 107, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 3505, უე 02825
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

# ჭადრაკის დღეები

საბჭოთა კავშირის ქალთა XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი თბილისის პიონერთა სასახლის საციგურაოზე. მარცხნიდან — ლენა რუბცოვა, ასტრა ერგლე, ნანა ალექსანდრია, რიმა კაზმინა.



ფოტო შ. კრიმსკისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონა ერთ წუთს არ აცილებდა თვალს პატარა ნანას.



თბილისის წინდების ფაბრიკა. მარცხნიდან: ნონა გაფრინდაშვილი, ფაბრიკის დირექტორი შუშანა გოგისვანიძე და ლენა რუბცოვა.



მარჯვნიდან — რიმა კაზმინა, ასტრა ერგლე, ნატალია კონოპლიოვა, ლენა რუბცოვა, ნანა ალექსანდრია და მისი სკოლის ამხანაგი, რომელიც ეს-ეს არის შეხვდა სპორტის სასახლესთან.



რაისა ვაპნიჩნაია მაგიდის ჩოგბურთის თამაშის დროს თბილისის პიონერთა სასახლეში.

აი თვით ბრძოლის ველიც...



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

